პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 106-107 (20808) ✦ კვირა, 6 მაისი, 1990 წელი. ✦ ფასი 5 კაპ.

## მკითხველს ვთავაზობთ

— სხვის ხარჯზე ცხოვრება უზნეობაა. და არც ერთ ხალხს, მათ შორის ჩემს ხალხსაც, არ სურთ იყონ უზნეონი, იცხოვრონ სხვათა ხარჯზე, — ამბობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ვალერიან ადვაძე.

2 გვერდი

პარადოქსები პოლიტიკაში?! — რამდენიც გნებავთ. მაგრამ... სულ სხვაა ვაცლავ ჰაველის მიერ განვლილი გზა — დისიდენტობიდან პრეზიდენტობამდე!

3 გვერდი

70 წელი შესრულდა რუსეთსა და საქართველოს შორის 1920 წლის 7 მაისს დადებული საზავო ხელშეკრულებიდან. ამასთან დაკავშირებით ვბეჭდავთ ლევან ალექსიძისა და კარლო ინასარაძის წერილებს.

4 გვერდი

ლექსო, ამოგთქომ ოხერო, თორემ იქნება ვკვდებოდეო!.. უთქვამს ხალხურ მელექსეს და, ფრიდონ ხალვაშის ეს მელანშეუმშრალი სტრიქონებიც ქართველი კაცის გულისთქმაა, ტკივილია, გულიდან ამოღებული!..

5 გვერდი

რა შთაბეჭდილებებით დაბრუნდა ჩვენი სახელოვანი ანსამბლი „რუსთავი“ ამერიკიდან, როგორ გასრულდა ქართული ხელოვნების ეს ჭეშმარიტი მარათონი?

6 გვერდი

## სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ მორიგ სხდომაზე განიხილა სკკპ XXVIII ყრილობის სამზადისთან დაკავშირებულ საკითხთა მთელი კომპლექსი. აღინიშნა, რომ ამ მუშაობას გადამწყვეტი ეტაპი დაუდგა. მუშაობაში აქტიურად ებმება მთელი პარტია. პარტიული ორგანიზაციები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ყრილობის დელეგატთა არჩევნებს, არჩევნების აბსოლუტური უმრავლესობა ერთმანდატიან და მრავალმანდატიან ოლქებში, ალტერნატიულ საფუძველზე, ეწყობა. თითოეულ დელეგატის მანდატზე საშუალოდ დასახელებულია 4-5 კანდიდატი. უკვე არჩეულია ყრილობის 200-ზე მეტი დელეგატი. პოლიტბიურომ საჭიროდ ცნო, რომ პარტიული ორგანიზაციები უფრო მტკიცედ ეწეოდნენ მუშაობას ყრილობის დელეგატთა ასარჩევად მუშათა და გლეხთა რიცხვიდან.

აღინიშნა, რომ პარტიაში ფართოდ მიმდინარეობს დისკუსია ცენტრალური კომიტეტის პლატფორმისა და სკკპ წესდების პროექტების გამო. ამასთან პოლიტბიურომ ხაზი გაუსვა, თუ რაოდენ საჭიროა გაითვალისწინონ და განაზოგადონ აზრთა ფართო მრავალფეროვნება, გამოიყენონ ეს საყრილობო დოკუმენტების დახვეწისას. სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა ჩამოაყალიბა ყრილობისათვის მზადების კომისია, რომელშიც შევიდნენ პარტიულ ორგანიზაციათა წარმომადგენლები. კომისიის წევრთა ნაწილი უკვე შეუდგა გამოქვეყნებულ დოკუმენტებთან დაკავშირებით შემოსული შენიშვნების განხილვას. ცენტრალური კრმიტეტის პოლიტბიურომ ჩამოაყალიბა მთელი რიგი ჯგუფები კომისიის წევრთაგან, რათა საერთო-პარტიული დისკუსიის შესაბამისად დახვეწონ ყრილობის ძირითადი დოკუმენტებისა და რეზოლუციების პროექტები. კომისიების ხელმძღვანელობა დაევალათ პოლიტბიუროს წევრებსა და წევრობის კანდიდატებს, ცენტრალური კომიტეტის მდივნებს. გათვალისწინებულია განახლდეს და შეივსოს ამ ჯგუფების შემადგენლობა, შეიქმნას ახალი ჯგუფები სკკპ XXVIII ყრილობის დელეგატთა მოზიდვის გზით.

სხდომაზე განიხილეს აგრეთვე რუსეთის პარტიული კონფერენციის მზადებასთან დაკავშირებული საკითხები. პოლიტბიურომ მიზანშეწონილად ცნო ურჩიოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ბიუროს, რომ კონფერენციის განსახილველად შეიტანოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის საყრილობო პლატფორმისა და პარტიის წესდების პროექტები, რუსეთის კომუნისტური პარტიის შექმნის საკითხები.

## საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

**4 მაისს** საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა საქართველოს კომპარტიის XXVIII ყრილობის მოსამზადებელი კომისიის სხდომა. კომისია, რომლის შემადგენლობაშიც ცენტრალური კომიტეტის წევრებთან ერთად ფართოდ არიან წარმოდგენილნი ჩვენი მეცნიერი და შემოქმედი ინტელიგენციის საუკეთესო ძალები, სულ უფრო ინტენსიურად მუშაობს, რათა რესპუბლიკის კომუნისტთა კარს მომდგარი ფორუმი, რომელსაც ეტაპობრივი მნიშვნელობა აქვს, ყოველმხრივ იყოს მომზადებული და ჩაიაროს მაღალ დონეზე როგორც ფორმის, ისე შინაარსის მიხედვით.

სხდომაზე აღინიშნა, რომ პირველადს და რაიონულ პარტორგანიზაციებში ნამდვილად დემოკრატიულ, გულახდილობის, კრიტიკისა და თვითკრიტიკის, აზრთა პლურალიზმის ვითარებაში მოეწყო პარტიული კრებები და კონფერენციები. მათ ცხადყვეს, რომ რესპუბლიკის კომუნისტები სისხლხორცეულად არიან დაინტერესებულნი თავიანთი პარტიის ბედით, ისი ბრძოლისუნარიანობისა და ავტორიტეტის ამაღლებით, მრავალპარტიულობის პირობებში მუშაობის შინაარსის, ფორმებისა და მეთოდების სრულყოფით, პარტიის ერთიანობით, რომელსაც ძალუძს რესპუბლიკის მრავალეროვანი მოსახლეობის შეკავშირება, მოქალაქეობრივი მშვიდობიანობისა და ეროვნული თანხმობის უზრუნველყოფა.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ყრილობის საპროგრამო დოკუმენტების მომზადების მდგომარეობას. აღინიშნა, რომ კომისიის წევრთა ერთობლივი ძალისხმევით, აზრთა გაზიარების, პარტიულ კრებებსა და კონფერენციებზე გამოთქმული მოსაზრებების გათვალისწინებით შემუშავებულია საქართველოს კომუნისტური პარტიის პროგრამისა და ორგანიზაციულ-სტრუქტურული წყობის ძირითად დებულებათა პროექტი, რომლის შესახებაც ფართოდ იმსჯელებენ მომავალ ყრილობაზე.

მოცემული პროექტის გამო სხდომაზე თავიანთი მოსაზრებები და შენიშვნები გამოთქვეს გაზეთ „სახალხო განათლების“ რედაქტორმა ა. სილაგაძემ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანმა რ. მეტრეველმა, გამომცემლობა „საქართველოს“ დირექტორმა ჯ. ჩარკვიანმა, საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარემ გ. ლორთქიფანიძემ, საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრმა ვ. შარაშენიძემ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა სამეცნიერო ინფორმაციის ცენტრის დირექტორმა ნ. კიკვაძემ, ჟურნალ „სახელმწიფო და სამართლის“ მთავარმა რედაქტორმა თ. ნინიძემ, საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ფ. მახარაძემ, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის ეკონომიკის, დაგეგმვისა და მართვის ინსტიტუტის დირექტორმა ვ. ადვაძემ, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ვ. კვარაცხელიამ, ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის კვანძის პარტკომის მდივანმა ა. ენუქიძემ, საქართველოს სსრ სახმომარაგების თავმჯდომარემ ვ. ალავიძემ, გორის ბამბეულის საწარმოო გაერთიანების პარტკომის მდივანმა ი. პაპიაშვილმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საქმეთა მმართველმა გ. ბაკურაძემ, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგემ გ. ინწკირველმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტიული კომიტეტის კომისიის თავმჯდომარემ ს. რიგვავამ, „თბილისგვირაბმშენის“ პარტკომის მდივანმა რ. გვენეტაძემ, საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის პოლიტეკონომიის კათედრის გამგემ ო. მაღლაფერიძემ, საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის რექტორმა ო. გოგიაშვილმა, თბილისის საწარმოო გაერთიანება „ჩარხმშენებლის“ პარტკომის მდივანმა ი. ჭილაძემ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორმა ნ. ჭავჭავაძემ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ო. ქვილითაიამ, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა ნ. ამაღლობელმა, გაზეთ „ხორურდაინ ვრასტანის“ რედაქტორმა ვ. ბაიბურთმა.

კომისიის წევრებმა უდავოდ დადებით ფაქტად მიიჩნიეს ის გარემოება, რომ ძირითადი საპროგრამო დოკუმენტები ეფუძნება საქართველოს ეროვნული განვითარების კონცეფციას, რომელიც გასული წლის სექტემბერში გამოქვეყნდა საერთო-სახალხო განხილვისათვის და ფართო საზოგადოებრიობის შენიშვნების გათვალისწინებით, რომელმაც მოიწონა ეს კონცეფცია, მიღებულ იქნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმზე, როგორც სამოქმედო დოკუმენტი.

საქართველოს კომპარტიის ძირითად საპროგრამო დებულებებში აისახა რესპუბლიკის სრული სუვერენიტეტის მიღწევის, ჰუმანური, დემოკრატიული, სამართლებრივი, მოქალაქეობრივი საზოგადოების აშენების, ეკონომიკური დამოუკიდებლობის, ტერიტორიული მთლიანობის, საკაცობრიო იდეალების პრიორიტეტის დამკვიდრების, პარტიის ინტერესებთან შედარებით საქართველოს სახელმწიფო ინტერესების უზენაესობის, მოქალაქეთა პირადი თავისუფლების, პოლიტიკური პლურალიზმის, სოციალური გარანტიების ეფექტიანი სისტემის შექმნის, დემოგრაფიული და ეკოლოგიური სიტუაციის გაჯანსაღების, რესპუბლიკაში მცხოვრებ ეროვნებათა ინტერესების პატივისცემის, საკუთრების ყველა ფორმის თანასწორი განვითარების, პირდაპირი საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის დამყარების, დამოუკიდებელი საბიუჯეტო, საგადასახადო და ფულად-საკრედიტო სისტემის შექმნის, კანონმდებელი, აღმასრულებელი და სასამართლო ფუნქციების გამიჯვნის, სახალხო განათლების, მეცნიერებისა და კულტურის განვითარების, ეროვნებათაშორისი ურთიერთობის სრულყოფისა და სხვა საკითხები.

კომისიის სხდომის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. გუმბარიძემ.

(საქინფორმი).

## საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

**2000** წლისათვის საბინაო პრობლემის გადაწყვეტა, ალბათ, მიმდინარე ათწლეულის ყველაზე აქტუალური სოციალური ამოცანაა. ამასთანავე, მთელი რიგი მიზეზების, უწინარესად სახლთსამშენებლო ბაზის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობის, სამშენებლო კონვეიერის მუშაობაში შეფერხებების გამო, საბინაო პროგრამის განხორციელების ტემპი 1989 სამეურნეო წელს არსებითად შენელდა. ბინების მშენებლობის გეგმა რესპუბლიკაში მხოლოდ 77 პროცენტით შესრულდა, წყობრში ვერ ჩადგა 418 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის მორიგ სხდომაზე ამ გარემოებას პრინციპული შეფასება მიეცა. მოსახლეობის აღწერის დამთავრებასთან დაკავშირებით რესპუბლიკის მთავრობამ დაავალა შესაბამის ორგანოებს საჭირო კორექტივები და დაზუსტებანი შეიტანონ „ბინა-2000“ კომპლექსურ პროგრამაში.

პრეზიდიუმმა მოსთხოვა სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სახმშენს, რესპუბლიკურ სამინისტროებსა და უწყებებს, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, ავტონომიური ოლქის აღმასკომებს და ადგილობრივ საბჭოებს კარდინალური ღონისძიებანი განახორციელონ საბინაო მშენებლობაში ჩამორჩენის ლიკვიდაციისათვის. ხაზგასმით აღინიშნა, რომ ამ პრობლემის გადასაჭრელად საჭიროა მოვიზიდოთ იჯარით მომუშავე საუწყებო სამშენებლო ორგანიზაციები, ფართო ფრონტით გავშალოთ ბინების მშენებლობა სამეურნეო წესით, წავახალისოთ კოოპერაციული და ინდივიდუალური მშენებლობა. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სამშენებლო ინდუსტრიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას, საშენ მასალათა წარმოების მოცულობის გაფართოებას, მშენებლობაში მტკიცე სახელმწიფო წესრიგის დამყარებას.

რესპუბლიკის ეკოლოგიის გაჯანსაღების სამთავრობო პროგრამის შესაბამისად მიღებულია დადგენილება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის ატომური რეაქტორის ფუნქციონირების შეწყვეტისა და სრული დემონტაჟის შესახებ. ეს ღონისძიება, ხაზგასმით აღინიშნა სხდომაზე, საქართველოს მეცნიერების განვითარებისათვის ზიანის მიუყენებლად, ამავე დროს ფასდაუდებელ სარგებლობას მოუტანს საზოგადოებას, გარემოს ეკობალანსის გაუმჯობესებას.

ადიგენის რაიონი ერთ-ერთი იმ რაიონთაგანია, სადაც ფრიად მწვავედ დგას დემოგრაფიული პრობლემა. ადგილობრივი სოფლების ბევრი მცხოვრების თაოსნობასა და ინიციატივას ხშირად ხელს უშლიდა მიწების ნაკლებობა, საკარმიდამო ნაკვეთების უქონლობა, რაც აიძულებდა მათ მიეტოვებინათ მშობლიური ადგილები. მთავრობამ გაითვალისწინა ეს გარემოებანი და შესაძლებლად მიიჩნია დათანხმებოდა ადიგენის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის წინადადებას რაიონის ტერიტორიაზე სხვადასხვა სოფელში 2500 გლეხური ოჯახის საკარმიდამო ნაკვეთებით დასაკმაყოფილებლად 514 ჰექტარი მიწის გამოყოფის შესახებ.

იმ მიზნით, რომ გაიზარდოს რესპუბლიკის მოსახლეობისა და შემსყიდველი ორგანიზაციების დაინტერესება სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების, შესყიდვისა და დამზადების გადიდებით, პრეზიდიუმმა დასახა მთელი რიგი წამახალისებელი ღონისძიებანი. მათი რეალიზაცია ხელს შეუწყობს მოსახლეობის მომარაგების მნიშვნელოვან გაუმჯობესებას.

საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების საქმიანობაში ახლებურად განვითარდება ახალგაზრდული პრობლემების რეალიზაციის სხვადასხვაგვარი ასპექტები. კერძოდ, სხდომაზე რეგისტრაციაში გატარდა საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებასთან შექმნილი ახალგაზრდა ნოვატორ-ტექნოლოგთა რესპუბლიკური ასოციაციის „საჩინოს“ წესდება, რომლის გასვლაც საერთაშორისო ასპარეზზე ხელს შეუწყობს რესპუბლიკის ინტელექტუალური და ეკონომიკური პოტენციალის გამდიდრებას.

ქართველი ხალხის ისტორიული, ლიტერატურული და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლაში, არქივების მოწესრიგებისა და დაცულობისათვის მუშაობაში სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებს ამიერიდან კარგ დახმარებას გაუწევს ცნობილი ისტორიკოსისა და პუბლიცისტის არჩილ ჯორჯაძის სახელობის ნებაყოფლობითი საზოგადოება, რომლის წესდება აგრეთვე რეგისტრაციაში გაატარა პრეზიდიუმმა.

მიმდინარე წლის 15 მაისიდან 20 ივნისის ჩათვლით მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკური საგარეოსავაჭრო გაერთიანება „საქიმპექსი“ თბილისის საქალაქო აღმასკომის საზოგადოებრივი კვების სამმართველოსთან ერთად საფრანგეთის სხვადასხვა ქალაქში მოაწყობს „ქართული სამზარეულოს დღეებს“. ეს დღეები დამთავრდება საფრანგეთის მხარესთან საქმიანი მოლაპარაკებით ერთობლივი საწარმოების შექმნის საკითხებსა და ორმხრივი კონტაქტებისა და თანამშრომლობის გაღრმავების სხვა ასპექტებზე. ოქტომბერში დასახულია საპასუხო ვიზიტი, თბილისში გაიმართება „ფრანგული სამზარეულოს დღეები“.

სხდომაზე განიხილეს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების სხვა საკითხებიც. (საქინფორმი).

## მეგობრობისა და თანამშრომლობის ინტერესებისათვის

**4 მაისს** საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გ. გ. გუმბარიძე შეხვდა თვალსაჩინო სომეხ მეცნიერთა ჯგუფს, რომლებიც სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის ვ. ა. ამბარცუმიანის მეთაურობით ჩამოვიდნენ თბილისში.

გაიმართა გულითადი და ამასთანავე საქმიანი, კონსტრუქციული საუბარი, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ა. ნ. თავხელიძე, სხვა ქართველი სწავლულები. საუბარი ეხებოდა მოძმე რესპუბლიკების ორმხრივი მეცნიერული კონტაქტების მდგომარეობას, მისი შემდგომი განვითარებისა და გაღრმავების პერსპექტივებს. ორივე მხარემ გამოთქვა მთელი რიგი კონკრეტული წინადადებანი, რათა გააერთიანონ ძალისხმევა მეცნიერების სხვადასხვა დარგში თანამშრომლობის გასაფართოებლად. მით უმეტეს, აღინიშნა შეხვედრაზე, რომ ასეთი თანამშრომლობის გარკვეული გამოცდილება უკვე გვაქვს. სამეცნიერო დაწესებულებანი სისტემატურად ცვლიან სწავლულებსა და სპეციალისტებს, ასპირანტებს, აწყობენ ერთობლივ სიმპოზიუმებს, სამეცნიერო კონფერენციებს, რომლებზეც განიხილავენ მეცნიერების განვითარების ყველაზე აქტუალურ პრობლემებს.

საუბრისას ხაზგასმით აღინიშნა, რომ ახლა, როდესაც მოკავშირე რესპუბლიკები ნამდვილ სუვერენიტეტსა და ეკონომიკურ დამოუკიდებლობას იძენენ, ფართო შესაძლებლობანი ისახება იმისათვის, რომ ორი რესპუბლიკის მეცნიერთა თანამეგობრობა ავიყვანოთ თვისებრივად ახალ დონეზე, რომელიც ქართველი და სომეხი ხალხების მეგობრობისა და ძმობის ოდინდელ ტრადიციებს შეესაბამება. სწორედ მეცნიერებმა, ინტელიგენციის წარმომადგენლებმა უნდა გაამდიდრონ ეს მეგობრობა, შთაბერონ მას ახალი შინაარსი. გამოითქვა სურვილი გაძლიერდეს რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიების კონტაქტები თანამშრომლობის ახალი ფორმების საფუძველზე, როგორიც არის, მაგალითად, ერთობლივი საპრობლემო დაფინანსება მეცნიერების სხვადასხვა დარგის მეცნიერული კვლევის პროცესისა და მიღწევების პრაქტიკული დანერგვის დაჩქარების მიზნით.

(საქინფორმი).

## საუბარი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

**4 მაისს** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ოთარ მელქაძემ მიიღო იაპონელ კულტურის მოღვაწეთა დელეგაცია, რომელიც რესპუბლიკაში იმყოფება საქართველოში იაპონიის კულტურის დღეების მოწყობასთან დაკავშირებით.

საუბრის დროს ოთარ მელქაძემ აღნიშნა, რომ იაპონიის დღეები დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა რესპუბლიკის კულტურულ ცხოვრებაში და უდიდესი წვლილი შეაქვს ჩვენს ხალხებს შორის უკეთესი ურთიერთგაგებისა და დაახლოების საქმეში. მან თქვა, რომ საქართველოს მთავრობა მზად არის და სურს დაამყაროს პირდაპირი კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობა ორივე ქვეყანას შორის. საქართველოში ასეთ ურთიერთობას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ, რადგან იგი ხელს შეუწყობს რესპუბლიკის მიერ პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის მიღწევას.

საუბრის მონაწილეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრები იმასთან დაკავშირებით, რომ მაისში ამომავალი მზის ქვეყანაში მოეწყობა საქართველოს კულტურის დღეები, რომლის დროს იაპონელებს შესაძლებლობა მიეცემათ უფრო ახლოს გაიცნონ რესპუბლიკის კულტურა და ტრადიციები. თავის მხრივ, იაპონიის დელეგაციის ხელმძღვანელმა, „იაპონია-საქართველოს“ მეგობრობის საზოგადოების თავმჯდომარემ ჰიროკო კაკომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ კულტურის დღეების მოწყობა კარგ წანამძღვრებს უქმნის ჩვენი ურთიერთობის განვითარებას, და გამოთქვა სურვილი ერთობლივი ძალისხმევით გახსნან თბილისში იაპონური ენის კურსები.

(საქინფორმი).

## გაზეთ „პრავდის“ ფესტივალის მონაწილეებსა და სტუმრებს

**გულითადად** მოგესალმებით „პრავდის“ პირველი ფესტივალის — სკკპ XXVIII ყრილობის სამზადისის დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენის გახსნის დღეს.

ვ. ი. ლენინის მიერ დაარსებულმა გაზეთმა პარტიასთან, ჩვენს ხალხთან ერთად გამარჯვებებისა და დანაკარგების ძნელი გზა გამოიარა. „პრავდა“ აქტიურად ჩაება საზოგადოების გარდაქმნა-განახლების, პოლიტიკურ ცხოვრებაში საჯაროობისა და დემოკრატიის დამკვიდრების, ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემის ხუნდებისაგან საბჭოთა ხალხის უზარმაზარი ინტელექტუალური და შრომითი პოტენციალის გამოთავისუფლებისათვის მიმდინარე მუშაობაში.

დღეს გაზეთის მთავარი თემაა კომუნისტური პარტიისა და საზოგადოების განახლება, ქვეყნის მთელი ჯანსაღი ძალების კონსოლიდაცია გარდაქმნის იდეების, ჰუმანური, დემოკრატიული სოციალიზმის პრინციპების გამარჯვებისათვის. ადამიანებმა უნდა იცოდნენ: პარტია გარდაქმნის ერთგულია და, ახლდება რა თვითონ, ცდილობს დაუმკვიდროს საბჭოეთის ყველა მოქალაქეს ღირსეული, სოციალურად უზრუნველყოფილი და სულიერად სრულფასოვანი ცხოვრება.

პრესის, პარტიული ჟურნალისტების ვალია საბოლოოდ უკუაგდონ სტერეოტიპები, გულახდილად, პატიოსნად ესაუბრონ ადამიანებს, გამოეხმაურონ მათს ცხოვრებისეულ ჭირსა და ლხინს, აქტიურად დაეხმარონ ადამიანს, რომ იპოვოს თავისი ადგილი გარდაქმნის კოლექტიურ სამუშაოში. მხოლოდ სიმართლე, როგორიც უნდა იყოს იგი, შეიძლება იყოს გაზეთის თუ ჟურნალის ავტორიტეტის საიმედო საფუძველი, ჭეშმარიტი პოპულარობისა და საზოგადოებრივ ცნობიერებაზე გავლენის პირობა.

დარწმუნებული ვარ, ჟურნალისტთა ასეთი მუშაობა საპასუხო გამოხმაურებას ჰპოვებს საბჭოთა ადამიანების გულში.

დაე, „პრავდის“ ფესტივალი გახდეს მასობრივი სახალხო დღესასწაული, დიდი ბჭობა მკითხველებთან სკკპ XXVIII ყრილობისათვის მზადების პერიოდში გაზეთის, მთელი ჩვენი პარტიული პრესის მუშაობის შესახებ.

მ. გორბაჩოვი.

## საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

**5 მაისს** გაიმართა საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

პლენუმმა გაათავისუფლა საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის მოვალეობისაგან ს. ი. გოგიბერიძე მისი საქართველოს სსრ სახალხო განათლების მინისტრის მოადგილედ გადაყვანასთან დაკავშირებით.

საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად არჩეულია გ. რ. ბარამიძე, რომელიც მუშაობდა საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნად.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო და სიტყვით გამოვიდა გ. გ. გუმბარიძე.

(საქინფორმი).

## ფოტორეპორტაჟი

**ჩვენი** ფოტორეპორტაჟი მოგვითხრობს რესპუბლიკაში მიმდინარე ამბების შესახებ.

...თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოტოსინთეზის პრობლემური სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის თანამშრომლები იკვლევენ მცენარეებში იზოპრენის ფოტობიოსინთეზის პროცესს. სურათზე ხედავთ მეცნიერ თანამშრომლებს ტარიელ ლოლაძესა და გიორგი თარხნიშვილს მუშაობის დროს.

...სადაცაა დაიწყება ჩაის კრეფა ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ხაბუმეს კოლმეურნეობის მწვანე პლანტაციებში.

...სამი წლის მანძილზე არც ერთი რეკლამაცია არ მიუღია ცხინვალის ავტობუსების სარემონტო ქარხნის კოლექტივს. ეს მჭერმეტყველურად მოწმობს მერემონტეთა გაზრდილ ოსტატობას, მათს შემოქმედებით დამოკიდებულებას შრომისადმი. სურათზე აღბეჭდილი არიან მოწინავე გაზშემდუღებლები მიხეილ ბესაევი, ალბერტ საძაგლიშვილი და გრიგოლ ხაჩატუროვი.







ვარლამ გენგიურის („კომუნისტი“), იოსებ დავითაშვილის, ლევგიორ გუსოვის (საქინფორმის ფოტოქრონიკა) ფოტოები.

პრობლემა | თვალსაზრისი | პოზიცია

# სსრ კავშირის სახალხო დეპუტატის ვალერიან ადვაძის გამოსვლა

## სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს მესამე სესიაზე მიმდინარე წლის 27 აპრილს

**კანონპროექტის** „სახელმწიფო, საარენდო, კოოპერაციული, საზოგადოებრივი და სხვა საწარმოების, გაერთიანებებისა და ორგანიზაციების გადასახადების შესახებ" ბევრ მიდგომას მე ვეთანხმები. მაგალითად, მოსაწონია ერთიანი მიდგომა საწარმოებისა და ორგანიზაციების საგადასახადო დაბეგვრისადმი, რომლებიც საკუთრების სხვადასხვა ფორმას ეფუძნებიან, რაც შესაძლებელს გახდის საწარმოთა ყველა სახის თანასწორობის პრინციპის განხორციელებას. ვეთანხმებით იმასაც, რომ სამინისტროებს ეკრძალებათ საწარმოთა მოგების გადანაწილება დარგის შიგნით.

მაგრამ რესპუბლიკების ეკონომიკური დამოუკიდებლობის თვალსაზრისით მე უკვე კონცეპტუალურად არ ვეთანხმები კანონის პროექტს. ჩემი შენიშვნის არსი შემდეგია.

ამჟამად არ არსებობს რეალური მონაცემები იმის შესახებ, თუ მოკავშირე რესპუბლიკებს რამდენი შეაქვთ საკავშირო ფონდში და რამდენს ღებულობენ იქიდან. ამიტომ დღეს პრაქტიკულად შეუძლებელია ფინანსური რესურსების რესპუბლიკათაშორისი გადანაწილებისადმი კონტროლი მათი მრავალარხიანი გადაცემის, ფასების არსებული სისტემის და სხვათა გამო. დღემდე ქვეყნის საფინანსო და საგადასახადო სისტემები, ფასების სისტემა ისეა არეული, რომ შეუძლებელია გაირკვეს, ვინ ვის „არჩენს".

ყოველკვირეული „ლიტერატურნაია როსიას" გასული წლის 50-ე ნომერში ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის ვიქტორ ჩეპუნენკოს სტატიაში მოტანილია ციფრები, რომელთა თანახმად ყოველწლიურად რუსეთის ფედერაციის ბიუჯეტიდან სხვა რესპუბლიკების ბიუჯეტებში გადაიტუმბება 38,5 მილიარდი მანეთი.

მე არც უარვყოფ და არც ვადასტურებ ვიქტორ ჩეპუნენკოს ზემოაღნიშნულ გაანგარიშებებს, მაგრამ ერთი რამ კი მტკიცედ ვიცი: სხვის ხარჯზე ცხოვრება უზნეობაა და არც ერთ ხალხს, მათ შორის ჩემს ხალხსაც, ჩვენი რესპუბლიკის ხალხებს არ სურთ იყვნენ უზნეონი, იცხოვრონ სხვის ხარჯზე, თუ ეს მართლაც ასეა.

გაიხსენეთ, პატივცემულო დეპუტატებო, ჩვენი უზბეკი კოლეგების ის ძლიერი, ჩემი რწმენით, სამართლიანი, აღშფოთება, რომელიც გამოიწვია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ვორონინის სიტყვებმა სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობის ტრიბუნიდან, სადაც განაცხადა, რომ უზბეკეთს სუბვენციები ეძლევა საკავშირო ბიუჯეტიდან და უზბეკეთი დოტაციური რესპუბლიკაა.

შეაქვს თუ არა დღეს განსახილველ კანონპროექტს გადასახადების შესახებ რაიმე სინათლე ამ საკითხში? არა, არ შეაქვს.

ზოგიერთი რესპუბლიკების მიერ შემოთავაზებული პრინციპი ბიუჯეტების ფორმირებისა იმით გამოიხატება, რომ საწარმოებს მათი უწყებრივი დაქვემდებარებისაგან დამოუკიდებლად ყველა გადასახადი შეაქვთ ადგილობრივ ბიუჯეტში მათი ადგილმდებარეობის მიხედვით. შემდეგ თითოეული ქვემდგომი ბიუჯეტი გადაურიცხავს ნორმატივების მიხედვით თავისი შემოსავლის ნაწილს ზემდგომ ბიუჯეტს: რაიონისა — საოლქოს, საოლქო — რესპუბლიკურს, რესპუბლიკური — გრძელვადიანი ნორმატივების მიხედვით — საკავშირო ბიუჯეტს საერთო სახელმწიფოებრივი, ფედერალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

კანონპროექტით კი გათვალისწინებულია თვით ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოების მოგებიდან ანარიცხები საკავშირო ბიუჯეტის სასარგებლოდ. რაგინდ გაუგებარიც უნდა იყოს საღი აზრისათვის, ცენტრალური ხელისუფლება არჩევს, რომ საკავშირო ბიუჯეტისათვის უკეთესია საქმე ჰქონდეს ასიათასობით საწარმოსთან და ორგანიზაციასთან, ვიდრე 15 მოკავშირე რესპუბლიკასთან.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს გაანგარიშებით, საკავშირო ბიუჯეტში რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოებზე საგადასახადო განაკვეთების დაწესებით კანონპროექტით გათვალისწინებული ზომით საქართველოს ბიუჯეტი მიმდინარე წელთან შედარებით ვერ მიიღებს 300 მილიონამდე მანეთს. ჩვენი რესპუბლიკისათვის ეს საკმაოდ დიდი თანხაა.

კი, მე მჯერა, რომ ცენტრალური ბიუჯეტიდან მოგვცემენ დოტაციას რესპუბლიკის ბიუჯეტში, მაგრამ რისთვის ხდება ეს? იმისთვის, რომ შეიქმნას შთაბეჭდილება: ცენტრი — ჩვენი „მამა მარჩენალი" არ დაგვტოვებს უბედურების ჟამს, ჩაგვაცმევს, გვარჩენს?

მე ვიმეორებ იმას, რაც არაერთხელ გვითქვამს მეც და სხვებსაც ამ ტრიბუნიდან: გავშორდეთ უნიტარიზმს, მივცეთ რესპუბლიკებს თუნდაც სრული ეკონომიკური დამოუკიდებლობა, რომელთა ხალხები უკვე სულ უფრო მტკიცედ მოითხოვენ პოლიტიკურ დამოუკიდებლობას. საჭიროა სხვა, გონივრული კონსტრუქციული (ეს რაფიკ ნიშანის ძის და ჩემიც საყვარელი სიტყვაა) მიდგომა, რაც ამ ტრიბუნიდან გუშინ თქვა დეპუტატმა გრიაზინმა.

გმადლობთ ყურადღებისათვის.

# ძმას ძმურად მოლაპარაკეთ

**საქართველოს** უზენაესი საბჭოს **ბოლო** სესიაზე, რომელმაც ჩვენი ხალხის სამომავლოდ ისტორიული მნიშვნელობის რამდენიმე გადაწყვეტილება მიიღო, ყველასათვის მოულოდნელი იყო სიტყვის ჩამოგდება კუთხური განკერძოებულობის სულისკვეთების გამოვლინების ფაქტზე აჭარის მკვიდრთა ერთ ნაწილში. ბუნებრივია, ახლანდელ, უკიდურესად გამძაფრებული საერთო ეთნოკრიზისის ვითარებაში ამან ყველანი შეგვაშფოთა და კითხვაც გაგვიჩინა: რამდენად რეალური და საფუძვლიანი შეიძლება იყოს ჩვენი ამგვარი შეშფოთება?!

როგორც საქართველოს ამ განუყრელ კუთხესთან სისხლხორცეულად დაკავშირებული კაცი, თავს უფლებას მივცემ შინაგანი რწმენის კარნახით განვაცხადო: არა მგონია ამის სერიოზული საფუძველი არსებობდეს. ალბათ ლაპარაკია ვიწრო კარიერისტული ინტერესებით შეპყრობილ ადამიანთა მცირე ჯგუფის დრომოჭმული განწყობილების გამოვლინებასთან, რაც რთული და უმძიმესი წარსულის მქონე მხარეში, გარკვეულად უარყოფითი ფაქტორების ზემოქმედებით, შეიძლება ჯერ კიდევ ბოგინობდეს.

მრავალი მყარი საფუძველი არსებობს, ეჭვი არ გვეპარებოდეს იმ ადამიანების ერთგულებაში დედასამშობლოსადმი, რომელნიც ღონივრად და მორჭმულად მკვიდრობენ უძველეს ქართულ მიწაზე; რომელთა წინაპრებმა საოცარი გამძლეობა, ქედუხრელობა გამოიჩინეს სასტიკ დამპყრობთა ექსპანსიის წინაშე და ყველაფერი იღონეს, რათა კვლავ დედა-საქართველოს დაბრუნებოდნენ; ან რა უნდა ჰქონდეთ გარეთ-გარეთ თვალსაცეცები იმათ, რომელთაც წალკოტივით თვალგასახარად აღორძინეს თავიანთი სამკვიდრებელი, მამა-პაპათა ყოფითი ტრადიციები, ერთსულ და ერთხორც ცხოვრობენ ძმებს შორის?! ამ ადამიანების ეროვნული თვითშეგნება, სულიერი ერთობის მრწამსი ისე ამაღლებულა და გასპეტაკებულა, რომ ერის სულიერი მამის სამოძღვრო გზებზე დღეს აქ ყვავილებს აფენენ. აჭარელთა დიდმა ნაწილმა კარგახანია იწამა, რომ მისი რელიგიური რწმენა იმ დროიდან კი არ დაწყებულა, როცა ოსმალთა ხმლების ალყაში მოქცეულთ ძალით აღებინებდნენ უცხო რჯულს, არამედ ქრისტიანობის გარიჟრაჟიდან, როცა მისი პირველი მოციქულები საქართველოში ამ უძველესი მხრიდან შემოდიოდნენ საქადაგებლად.

განა შეიძლება არსებობდეს ჩვენი სულიერი ერთობის ურყეობის იმაზე დიდი, ცოცხალი დადასტურება, რომლის მოწმენი თუნდაც უკანასკნელი ერთი წლის მანძილზე გავხდით ყველანი?! დაუნდობელი სტიქიის მომძლავრებით მშობლიური ადგილებიდან აყრილ, ბედდამოშლილ ადამიანებს მთელმა საქართველომ შეაშველა ხელი, გადაუშალა დახმარების მადლიანი კალთა, ბევრმა თავად მოიკლო, რათა ათასობით შეჭირვებულ ოჯახს კვლავ გასჩენოდა სამედო კერა და მყუდრო ჭერი...

არც აჭარლობა რჩება ვალში: ერთ-ერთი ყველაზე გამძლე, შემართებული და გამრავლებისუნარიანი მოდგმა ქართული მოსახლეობისა ცოცხალ ბასტიონად ევლება ჩვენს მიწა-წყალს, რათა იგი სათარეშოდ არ დარჩეთ მტრებსა და ავისმდომელთ...

არა, დაუჯერებელია, საღ აზრსა და ლოგიკას მოკლებულია იფიქრო, რომ ასეთმა ხალხმა ერის სულიერი ერთიანობის გზას გადაუხვიოს. ის, რამაც საზოგადოება ერთგვარად ააფორიაქა, შეიძლება იყოს რამდენიმე პიროვნების „დამსახურება", რომლებიც ავტონომიიდან რაღაც სარფს გამოელიან თავიანთ სასარგებლოდ. მაგრამ როგორც მოსალოდნელი იყო, ამ საკითხში სრული გარკვეულობა შეიტანეს თვით აჭარის მოწინავე შვილებმა, რომლებიც ღირსეულად მესვეურობენ მშობლიურ მხარეში მიმდინარე საზოგადოებრივ პროცესებს და წარმართავენ ჯანსაღ პატრიოტულ სულისკვეთებას. ამიტომაც მოექცა ქართული საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში ერთბაშად მთელი აჭარლობის ჯანსაღი აზრი, რაც ყოველგვარი დაყოვნების გარეშე თავიანთ წერილებში ნათლად და მკაფიოდ გამოხატეს ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორმა მიხეილ მახარაძემ, პოეტმა ფრიდონ ხალვაშმა, გამომცემლობა „საბჭოთა აჭარის" დირექტორმა აზიზ ახვლედიანმა, იურისტმა ოთარ ზოიძემ, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატმა მამუკა ჯიჯავაძემ, მისმა თანამოაზრე ასპირანტებმა თემურ ავალიანმა, ოთარ ცეცხლაძემ, მერაბ ფუტკარაძემ, მერაბ მგელაძემ, ზურაბ ხალვაშმა, სულ ახლახან კიდევ — მიხეილ გორგილაძემ, ბიჭიკო დიასამიძემ და ნოდარ ქედელიძემ.

პროფესორმა მიხეილ მახარაძემ თავის პატრიოტულ-მოქალაქეობრივ ვალად ჩათვალა კიდევ ერთხელ დაბრუნებოდა საოლქო გაზეთების „საბჭოთა აჭარის" და „სოვეტსკაია ადჟარიას" ფურცლებზე გამოქვეყნებულ დოცენტ მურად ჩავლეიშვილის ვრცელ სტატიას „აჭარის ავტონომია" და, შეიძლება ითქვას, მისი მცდარი და ორჭოფული პოსტულატებიდან ქვა ქვაზე არ დასტოვა.

ამგვარი უკომპრომისო გამოსვლების შემდეგ ჩვენ ზედმეტად მიგვაჩნია სიტყვის გაგრძელება კუთხური შეზღუდულობის რეციდივზე.

საბედნიეროდ, საქმე დიდ კონფლიქტამდე არ მისულა და ჩვენი ღრმა რწმენით, არც არასოდეს მივა, ყველა რელიგიისადმი ტრადიციული შემწყნარებლობით ცნობილ საქართველოში, მაგრამ აუცილებელი კია მიტინგების ესოდენ მოჭარბების ხანაში თითოეული ფაქტი ყოველმხრივ გავაანალიზოთ, დავადგინოთ, თუ რა შეცდომები იქნა დაშვებული როგორც ერთი, ისე მეორე მხრიდან. რა თქმა უნდა, მხარეებად ამგვარი გაყოფა პირობითია, რადგან ჩვენ ყველანი ერთისა და განუყოფელის ნაწილები ვართ მხოლოდ.

უპირველესი შეცდომა, ალბათ, ის იყო, რომ ზოგიერთმა აჭარა, რატომღაც, გამოთიშულად მიიჩნია იმ დიდმნიშვნელოვანი პროცესიდან, რომელიც მთელ საქართველოში აზვირთდა პატრიოტული ძალების, უწინარეს ყოვლისა ახალგაზრდობის დამსახურებით, მოინდომა თავისებური „მშვიდი ზონის" შენარჩუნება რეგიონში, რომელიც ასევე, შინაგანად შფოთავდა, ასე რომ, მიტინგებში, რომელთა ჩატარების თაოსნებად ე. წ. არაფორმალურ გაერთიანებათა ლიდერები მოგვევლინენ, უჩვეულო და საპანიკო არაფერი არ უნდა დაგვენახა. მაშინ საჭირო არ იქნებოდა ადგილობრივ საზოგადოებრივ აქტივისტთა ისეთი ჯგუფების შექმნა, რომელთაც დაევალათ სიტყვიერი შეგონებით თუ მოქმედებით წინ აღდგომოდნენ მიტინგის ჩატარებას და ამით ერთბაშად „მოწინააღმდეგე" ძალადაც კი იქცნენ გაღიზიანებულ-გაფიცხებული მასის თვალში.

მეორე მხრივ, სწორი არ იქნება მიტინგის ორგანიზატორებს სინანულით არ შევახსენოთ, რომ მათ მთელი ერისათვის საერთო, მაგრამ რთული და ფაქიზი საკითხის ერთბაშად გადაწყვეტა მოინდომეს; რაც მთავარია ადგილობრივი მოსახლეობისა და ხელმძღვანელობის აზრის, სულისკვეთების იგნორირებით, რასაც შეუძლებელია არ მოჰყოლოდა და მოჰყვა კიდეც შინაგანი განაწყენება შელახული თავმოყვარეობის გამო. საქმე კიდევ უფრო გაამწვავა ზოგიერთმა მყვირალა, იმპერატიულმა ლოზუნგმა, ცალკეულ ორატორთა მიერ ხმარებულმა მოუზომელმა გამოთქმებმა, რის მიმართაც ყოველი აჭარელი განსაკუთრებულად მგრძნობიარეა. პირადად, მაგალითად, ძალიან მეწყინა ერთი დარბაისელი კაცის გულისტკივილი, ჩვენთან საუბარში დაუფარავად რომ გამოხატა: მეც იმათ რიცხვში გახლდით, რომელთაც გულწრფელად სურდათ ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან აცილება, მაგრამ დამშვიდებულად ვინ მოგვისმინა!.. იმდენ ხალხში ერთი ახალგაზრდა ქალი წინ გამომიხტა და გაღიზიანებული ტონით მეკითხება — რა გქვიაო. როცა ვუთხარი, ერთბაშად იფეთქა, თითის ქნევა-ქნევით, გაკაპასებული ხმით აყვირდა — ხომ გაიგეთ, რა სახელს ატარებს, ამის სიტყვას და ქართველობას როგორ უნდა დავუჯეროთო! გულში თითქოს ხანჯალი გამიყარეს. მინდოდა მეთქვა, შვილო, ბარემ ისიც მკითხე, რა გვარისა ვარ, ჩემს შვილებსა და შვილიშვილებს რა ჰქვიათ მეთქი, მაგრამ ყური ვინ გათხოვა!..

მე თუ მკითხავთ, ვისაც აჭარაში ცოტა ხნით მაინც არ უცხოვრია, იქაურ სოფლებში არ გაუვლია და ღამე ოჯახში არ გაუთევია, ბრძენი, დარბაისელი მოხუცების ტკბილ-ქართული არ მოუსმენია, უბრალო ხალხის სულიერ განწყობილებას არ ზიარებია. ის უნდა მოერიდოს ილაპარაკოს ამ ადამიანების მაგივრად. სწორედ იმ უცნობი ქალბატონის მსგავსთა ზედაპირულმა წარმოდგენამ, თავდაუჯერლობამაც გააფუჭა საქმე იმ მიტინგზე... ცოტა მოგვიანებით საზოგადოებაში ხმა დაირხა — ბათუმის აქციის ჩატარების ინიციატორებმა ბოდიშიც კი მოიხადეს ზოგიერთი მომიტინგის უტაქტო საქციელის გამოც. ჩვენი მხრიდან უტაქტობა იქნებოდა ამ ფაქტის შემოწმება რომ დაგვეწყო, რადგან ეჭვი არ გვეპარება, რომ საქართველოში ჯერაც გვყავან ნამდვილი რაინდები!

სამწუხაროდ, ჩადენილი შეცდომის მონანიების თუ სულგრძელად მიტევების უნარი ყველას როდი მომადლებია.

გასული წლის დამლევს მთელი თვე დავყავი ჩემს გამზრდელ, მშობლიურ აჭარაში. ბათუმიდან გამომგზავრების წინა დღეებში ქალაქის შენობათა კედლებზე გამოჩნდა მოწოდება — საზოგადოება კვლავ შეკრებილიყო ქალაქის ცენტრში, რათა პოლიტიკური შეფასება მისცემოდა 1988 წლის 10 დეკემბრის ამბებს. სავსებით გასაგები და კანონზომიერი მოთხოვნაა. სასიამოვნო იყო იმის შეტყობაც, რომ მიტინგი ამჯერად მშვიდ ვითარებაში ჩატარებულა. მაგრამ არ შემიძლია მკითხველს დავუმალო ის უსიამოვნო გრძნობა, რომელიც მომგვარა ზემოთ დასახელებული მოწოდების წაკითხვამ.

უპირველესად, არასწორად მეჩვენა ასეთი ღონისძიების ჩატარება მაინცა და მაინც იმ ავადმოსაგონარი მიტინგის წლის თავზე. შეიძლება ვცდებოდე, მაგრამ ამაში რაღაც გამომწვევობა შევიგრძენი. რა ისეთი უკვდავსაყოფი, სასახელო თარიღი მოვინიშნეთ იმ 10 დეკემბრით?! ან რატომ მაინცა და მაინც მიტინგი და თან ასეთი გაღიზიანებული ტონი!

არავითარი პატივისცემა იმათადმი, ვისაც რაღაცაში შეიძლება არ ვეთანხმებოდეთ: „მთავრობის ხელმძღვანელების" ნაცვლად ხმარობენ „ე. წ. მთავრობის ხელმძღვანელები", რომლებიც უაპელაციოდ ცხადდებიან „ბარბაროსული დარბევისა" და „ვანდალიზმის", „ანტიეროვნულ და ანტიდემოკრატიულ ქმედებათა" ორგანიზატორებად, „საქართველოსა და მისი ღვიძლი კუთხის აჭარის შემარცხვენელებად"...

თანამოძმეებს ამგვარი სიტყვებითა და ტონით არ ელაპარაკებიან. ნუთუ ვინმეს მართლა ჰგონია რომ საქმე ისეთ ხალხთან გვაქვს, ვინც ამგვარ შეფასებებს ნამდვილად იმსახურებს? ნუთუ ახლო წარსულის უსამართლო ანგარიშსწორებებიდან დღეს მაინც არ უნდა გამოვიტანოთ დასკვნები?! საერთო ძალისხმევით გარდაუვალად გასაკეთებელი ისტორიული საქმეების სტარტზევე თუ ერთმანეთი დაუზოგავად გავიმეტეთ, თუ ერთმანეთს ბრმა სიძულვილით დავერიეთ, მტრის გული გაგვიხარებია და ესაა!

ვიმეორებთ, ალბათ, ამ ადამიანებსაც მოსვლიათ ცალკეული შეცდომები, არც იმას გამოვრიცხავთ, რომ მათ შორისაც იყვნენ ცალკეული პირები, რომლებიც ავტონომიის სტატუსს მართლაც ვერ ელევიან სავარძლების გამო, მაგრამ გვეეჭვება არსებობდეს ასეთი უნდობლობისა და გამეტების რეალური საფუძველი. ყოველ შემთხვევაში, დიდი უსამართლობა იქნება ისინი აფხაზური და ოსური ექსტრემიზმის თავკაცებს გავუტოლოთ, მათს კამპანიაში მოვაქციოთ. ელემენტარული სამართლიანობის დადგენის გულისათვის თავს უფლებას მივცემთ გავიხსენოთ, თუ თავის დროზე რამდენი ზედმეტი მითქმა-მოთქმა და ვნებათა ღელვა ატყდა საქმეში ჩაუხედავი ადამიანების ერთ ნაწილში ბათუმის კათედრალის გარშემო, როცა სინამდვილეში ამის საფუძველი არ არსებობდა.

ბევრისათვის კარგად არის ცნობილი, რომ ეს უნიკალური ტაძარი-ძეგლი ათობით წლების მანძილზე უქმად და დაყრუებულად იდგა გასაგები მიზეზების გამო. მისი არსებობა მხოლოდ უკიდურესი საჭიროების დროს ახსენდებოდათ. შიგ ხან დასაიდუმლოებული საწყობი იდებდა ბინას, ხან საარქივო ფონდები, ბოლოს კი სულაც ერთ-ერთი საკავშირო სამინისტროს ტექნიკურ ლაბორატორიას გადაეცა, რომლის დაზგამოწყობილობების გრიალმა ლამის დაღუპვის პირამდე მიიყვანა ეს ბრწყინვალე ნაგებობა. ამ ათიოდე წლის წინათ ადგილობრივი ინტელიგენციის წარმომადგენლებმა განგაში ატეხეს და მოითხოვეს ლაბორატორიის ტაძრიდან გატანა, მისი აღდგენა და კულტურული დანიშნულებით გამოყენება.

ეს მამულიშვილური საქმე პირველად ყურად იღეს სწორედ იმ აჭარლებმა, რომელთაც დღეს ზოგიერთები ასეთ უნდობლობას უცხადებენ. მათ ფაქტიურად ხელი მოჰკიდეს ძნელად მოსაგვარებელ, უიმედოდ მიჩნეულ საქმეს: იმისათვის, რომ ლაბორატორია ტაძრიდან გამოეტანათ მოუხდათ მრავალი ბიუროკრატიული ბარიერის დაძლევა. სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოების ჩასატარებელი რთული თადარიგის დაჭერა და ბოლოს 2 მილიონამდე ზესაბიუჯეტო თანხის, შეიძლება ითქვას, „ძალით წაგლეჯა" იმ სამინისტროსათვის, რომლის ლაბორატორიამაც ტაძარი ასეთ სავალალო მდგომარეობამდე მიიყვანა.

თუ ყველაფერი როგორ დაგვირგვინდა, ამის მოწმე მთელი ჩვენი რესპუბლიკა გახდა, როცა ტელევიზიის საშუალებით თვალყურს ვადევნებდით ტაძარში მუსიკალური კულტურის ცენტრის საზეიმოდ გახსნას, მთელი ჩვენი ინტელიგენციის გულმხურვალე მონაწილეობით. მაგრამ, რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა გვეჩვენოს, ადგილობრივი ხელმძღვანელობა ახალი, გაცილებით რთული გადასაწყვეტი პრობლემის წინაშე აღმოჩნდა, როცა ბათუმის მორწმუნე ქრისტიანულმა მრევლმა დააყენა ტაძრის მათთვის გადაცემის საკითხი.

როგორც ამ პრობლემის გადაწყვეტასთან სამსახურებრივი მდგომარეობით რამდენადმე დაკავშირებულმა კაცმა, ხმამაღლა უნდა განვაცხადო: ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ თავიდანვე გამოამჟღავნა შინაგანი მზადყოფნა, ოღონდ ითხოვა გარკვეული დრო ახლიდან წამოჭრილი საკითხების მოსაგვარებლად. საქმის არსში ჩაუხედავ ადამიანთა ერთმა ნაწილმა ეს შეყოვნება სხვანაირად შეაფასა — ხომ ხედავთ, ვიღაც-ვიღაცეებს ქრისტიანობა გულზე არ ეხატებათო, მაგრამ ამის თქმა იმათ მიმართ, რომელთაც ტაძრის გახსნის საქმეში გადამწყვეტი სიტყვა თქვეს, აშკარა უსამართლობა იქნებოდა. თავად განსაჯეთ: ტაძრიდან აჭარის სახელმწიფო კაპელისა და სიმფონიური ორკესტრის გაყვანის შემთხვევაში ეს კოლექტივები, ფაქტობრივად, ღია ცის ქვეშ რჩებოდნენ, რადგან უიმედოდ დაძველებულ-ამორტიზებული ფილარმონიის ძველი შენობა უკვე დანგრეული აღმოჩნდა. ამ მდგომარეობამ უაღრესად შეაშფოთა ბათუმის კულტურული საზოგადოებრიობა, რამაც გამოხატულება ჰპოვა ცნობილ ხელოვანთა მიერ ხელმოწერილ მრავალრიცხოვან განცხადებებში ყველა ინსტანციის მისამართით; ამასობაში ტაძარს გამოუჩნდნენ სხვა პრეტენდენტები კათოლიკე მორწმუნეთა სახით; და, ბოლოს, ბუნებრივია, გააქტიურდნენ სხვა რელიგიურ კონფესიათა წარმომადგენლებიც.

ძალიან რთული ფსიქოლოგიური სიტუაცია შეიქმნა, და თუ მისგან რაიმე განსაკუთრებული გართულებების გარეშე გამოვედით, ამისთვის პირველ რიგში უნდა ვუმადლოდეთ აჭარის თავკაცთა გონივრულ მოქმედებასა და მოქნილობას. თუ რამდენად გულწრფელი იყო მათი მცდელობა, ეს მკაფიოდ და ამაღლევებლად დაადასტურა ბათუმის ტაძრის ხელახლა კურთხევასთან დაკავშირებულმა დღესასწაულმა. მთელმა ქართველობამ დაინახა, რომ მათი ღვიძლი ძმების — აჭარლების გულში, თურმე, კვლავაც ღვივის შუქი პირველრწმენისა, რაკი მან ასე ერთბაშად, გარედან ყოველგვარი ჩარევისა და ზემოქმედების გარეშე, თავისებური მასობრივი მოქცევის ხასიათი მიიღო. თანაც ისე, რომ არავის საუგო სიტყვა არ დასცდენია აჭარელთა იმ ნაწილის მიმართ, რომლებიც მუსულმანურ რწმენას იზიარებენ.

იმასაც ვხედავდით, მთელი ამ დღეების მანძილზე აჭარის თავკაცები ხალხთან რომ იყვნენ, მასთან ერთად რომ ხარობდნენ სულიერი განახლების დემონსტრაციით. ისინი ბოლომდე გვერდიდან არ მოსცილებიან ქართული ეკლესიის მეთაურს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია მეორეს აჭარის მრავალტანჯულ მიწა-წყალზე მოგზაურობისას.

არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ მამულიშვილობის ამგვარი დემონსტრირება ასევე პოზიციაა, ხელმძღვანელთაგან ანგარიშგასაწევი, მათ თვალშიც, რომლებიც სამწუხაროდ, ჯერაც ბოლომდე ვერ განთავისუფლებულან წარსულის მემკვიდრეობისაგან. გულუბრყვილობა იქნება ვიფიქროთ, რომ ისლამის იდეოლოგები დიდად არ დაგვიდევენ მათი რელიგიის პოზიციებს კლასიკურ ქრისტიანულ ქვეყანაში, რომელთანაც თავიანთი გარკვეული ისტორიული ანგარიშიცა აქვთ. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ აქამდე ისლამის მიმდევარი აჭარლობის ნაწილის სულიერი ცხოვრების პროცესი ჯერაც გარედან წარიმართება. შემთხვევითი არ არის, რომ აჭარაში მეჩეთების გახსნის თაობაზე ინსპირირებულ, ერთ თარგზე და ერთი და იმავე ხელით რუსულად შედგენილ, მოსკოვში გაგზავნილ კოლექტიურ წერილებს რუსულის არმცოდნე აჭარელი მოხუცების მეტი ნაწილი ხელს ქართულად რომ აწერს...

რელიგიური ცენტრის გეოგრაფიული დაშორებულობა, ამ შემთხვევაში, ბევრს არაფერს ნიშნავს. ხომ ათასობით კილომეტრი გვყოფს ფერღანის ველისაგან, მაგრამ დღეს ყველასათვის ცხადია, რომ იმ სისხლიანი დრამის ფინალის გათამაშება საქართველოშია ნავარაუდევი. ის, რომ ე. წ. „თურქი მესხები" ასე მოწადინებულად იბრძვიან მესხეთში კომპაქტურად ჩასახლებისათვის, იმავ ვერაგული გეგმის ნაწილია. ჩვენს ხალხს მიაჩნია, რომ სისხლიანი საქმეებით საკუთარი ბედის უკუღმა გამომჭედველ ადამიანებს დაკარგული აქვთ ქართულ მიწაზე დაბრუნების მორალური უფლება და ამისათვის ვერავინ გაგვამტყუნებს, მით უმეტეს საცხოვრისი ჩვენ თვითონ არ გვყოფნის სტიქიით დარბეული და ჯერაც ღია ცის ქვეშ დარჩენილი ათასობით აჭარელისა და სვანისათვის. აკი ჩვენმა მეზობელმა თურქეთმაც არ მიიღო ამას წინათ ბულგარეთიდან აყრილ თანამორწმუნეთა ოჯახები, რაკი მათი დასახლების შესაძლებლობა არ აღმოაჩნდა. ყველას, მტრის თუ მოყვრის, განურჩევლად მიღება და ჭირისუფლობა მარტო საქართველოსათვის რატომ უნდა იყოს სავალდებულო?!

ეს ვითარება ჩვენც მთელი სიღრმით უნდა შევიცნოთ, რათა დაუფიქრებელი აქციებითა და ნაადრევი ლოზუნგებით არასასურველი გართულებები არ გამოვიწვიოთ. ყოველ შემთხვევაში, აჭარის ავტონომიის გადასინჯვის საკითხი ახლანდელ ეტაპზე კიდევ მოითხოვს ყოველმხრივ აწონდაწონვას. სიტუაციის არსი მეტად ლაკონურად და ზუსტად აქვს გადმოცემული პატივცემულ ო. ზოიძეს ჟურნალ „ცისკარში" დაბეჭდილ საინტერესო წერილში: „საქმე ისაა, რომ საქართველოს სუვერენიტეტი აჭარასა და ბათუმზე მოსკოვისა და ყარსის ხელშეკრულებებით შეზღუდულია. აჭარა ფაქტობრივად პირობით შედის საქართველოს შემადგენლობაში. იგი თურქეთმა გარკვეული პირობით და არა უპირობოდ დაგვითმო: ეს პირობა აჭარის ავტონომიის არსებობაა".

დარწმუნებული ვართ, ბევრ მომიტინგეს, რომელიც შარშან ავტონომიის დაუყოვნებლივ გაუქმებისკენ მოგვიწოდებდა არ ჰქონდა ნათელი წარმოდგენაც საქმის ამგვარ ვითარებაზე.

შეუძლებელია ამ სიმართლემ ბუნებრივად არ მიგვიყვანოს გარდაუვალ ლოგიკურ დასკვნამდე: ყოველ ხალხს უფლება უნდა ჰქონდეს თავის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პრობლემები თვადვე გადაწყვიტოს, გარეშე ძალების ჩაურევლად. ამიტომ სავსებით კანონზომიერია ჩვენი ხალხის სწრაფვა პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობისაკენ.

ეჭვი არ უნდა გვეპარებოდეს, რომ ამ გზაზე ჩვენი აშკარა თუ შეფარული მტრები ყოველნაირად შეეცდებიან დაბრკოლებათა შექმნას, ყველაფერს იღონებენ, რათა ხელი შეუშალონ ერის კონსოლიდაციას, გააღრმაონ ეთნოკრიზისი, გამოაცოცხლონ კუთხურობის ტენდენციები. ყველაფერი ეს არ ახალია, ძველია! ვინც რამდენადმე მაინც იცნობს ქართველი ხალხის ისტორიას, მოეხსენება, თუ რამდენი უბედურება მოუტანა ფეოდალიზმის კლასიკურ ქვეყანას კუთხურმა გონებაშეზღუდულობამ და ქიშპმა.

არც თუ ისე დიდი ხნის წინათ, დაგვიანებით, მაგრამ მაინც მოგვიხდა ფართო გაგებით გვეღიარებინა საქართველოს ორი — ქრისტიანული და მუსულმანური — ნაწილის არსებობის ფაქტი. ამის აღიარება გვავალდებულებს პერსპექტივაში ზუსტად განვჭვრიტოთ, თუ როგორ უნდა ვიცხოვროთ მომავალში ისე, რომ შუა საუკუნეების ფანატიკოსებს არ დავემსგავსოთ, ლიბანის ტრაგედიის მსგავსი უბედურება არ დაგვატყდეს. ამიტომაც ბიძგის მიმცემად და მაგალითად, ვინ იცის, იქნებ სულაც გამოგვადგეს ახალი დროის შინაარსითა და მოთხოვნებით შევსებული აჭარის „მოდელი". ყოველ შემთხვევაში, საკუთარი თავის იმედით დარჩენისას, რასაც თითქოს სიკეთის პირი უჩანს, არ გამოგვადგება ჩვენს ირგვლივ მობობოქრე მუსულმანური სამყაროს თვალში ქართველი კაცი, რელიგიური რწმენის შეუვალი ერთსახეობით, შეურიგებელი მტრის ხატად განიხილებოდეს. დიდი ილიას თქმისა არ იყოს, ოღონდ კი მოვიდეს ის ბედნიერი დრო და ქართველი კიდევ ერთხელ დაამტკიცებს, რომ... ალბათ არც ის უნდა განვიხილოთ შემთხვევითობად, რომ ილიას ლოცვა-კურთხევითვე დამკვიდრდა თავის დროზე გამოთქმები „მუსულმანი ქართველი" და „ოსმალოს საქართველო", ისტორიული საქართველოს ხალხის განუყოფლობისა და ერთიანობის ფართო აზრის შემცველობით.

ვფიქრობთ, თუ ერის სასიცოცხლოდ აუცილებელ პოლიტიკურ სიბრძნეს ცალმხრივად არ წარვმართავთ და მარტო დღევანდელი დღით არ ვიცხოვრებთ, იქნებ მრავალრიცხოვანმა „ოსმალოს საქართველომ", რომლის მოსახლეობა თანაბარი გულმხურვალებით თავს არა მარტო მუსულმანად, არამედ მტკიცე „გურჯადაც" თვლის, გადამწყვეტი როლიც შეასრულოს ჩვენი ხალხის უკეთესი მომავლის უზრუნველყოფის საქმეში, ისევ აჭარის ბედთან მსგავსებითა და მის მიერ განვლილი გზის წაბაძულობით. ნუ დაგვაფრთხობს და ნუ შევიცხადებთ, თუ ეს უზარმაზარი მასა ერთბაშად კი არ იხუვლებს და ისე კი არ დაიჭერს ხელში ნინოს ჯვარს, არამედ ამის აუცილებლობის გაცნობიერების კვალობაზე. ისტორია გვასწავლის, რომ ბრძნული მოთმინება და ტაქტი, საბოლოო ჯამში, უფრო უხვად გვაჯილდოებს ხოლმე.

• • •

ამ ათიოდე წლის წინათ, ზემო აჭარის რაიონები რომ მოვინახულე, იმხანად შუახევის რაიკომის მდივანმა ნოდარ ცეცხლაძემ მიამბო: ჩვენმა გლეხკაცებმა მამაპაპური ხის სახლების ნაცვლად კორტოხებზე ქვის ორსართულიანი სასახლეების წამოჭიმვა რომ დაიწყეს, მეც დავფაცურდი, ბათუმელ მეგობარ არქიტექტორს საგანგებო პროექტი გავაკეთებინე და მაშინვე ჩვენებს წარვუდექი თავმომწონედ — ნახეთ რა უნდა ავაშენო მეთქი. პროექტით ყველა კმაყოფილი დარჩა. მხოლოდ მამაჩემი აგვიანებდა აზრის გამოთქმას. ბოლოს, როგორც იქნა, თეთრ წვერზე ხელი ჩამოისვა და მითხრა — არ ვარგა, შვილო, სად გინახავს, აჭარელი კაცის სახლს სასტუმრო ოთახი არ ჰქონდესო!...

მკითხველისათვის გასაგები რომ იყოს, თუ რანაირ სასტუმრო ოთახზეა ლაპარაკი, მოგვიწდება ცოტაოდენი ექსკურსის გაკეთება.

აჭარის მთიანეთში ოდითგან ასეთი წესი არსებობდა: ყოველ საცხოვრებელ სახლს მიდგმული ჰქონდა მცირე სასტუმრო ოთახი, დამოუკიდებელი კიბით. შიგ დგამდნენ ტახტს, ზედ დაკეცილი სუფთა ქვეშაგებით, ტაბლას შარბათითა და საჭმლით, რომელიც დასანაყრებლადაც საკმარისი იყო და გასაძღვანებლადაც.

ახლა ისიც ვიკითხოთ, ვისთვის გაწყო აჭარელმა კაცმა ეს სასტუმრო ოთახი, რომელშიც მთელი ღამის მანძილზე შუქი კიაფობდა?!

რა თქმა უნდა, არა იმისათვის, ვინც მის სახლ-კარზე ცეცხლითა და მახვილით მოიწევდა...

ის ალერსიანი შუქი ენთო მხოლოდ და მხოლოდ სისხლით ნათესავისათვის, რომელსაც აქ მოსვლას დღისით, მზისით უშლიდნენ და მხოლოდ ღამის უკუნში უნდა გაეკვლია მოუშლელი საძმო გზა-ბილიკები. აქ კი ელოდნენ იმედის, გამხნევების სიტყვებს, გულთა შორის ოქროს უხილავი ძაფების გაბმას...

ამგვარ ტრადიციას აჭარელი კაცი სხვა ვერვისაგან შეითვისებდა. იგი მისეული, საკუთარია, რამეთუ თავად გახლავთ შვილი და ნაშიერი ადამიანებისათვის სინათლის მბოძებელი ამირანისა; ეს ტრადიცია განმტკიცებულია ადრიდანვე გაცნობიერებული ბიბლიურ-ქრისტიანული ჰუმანური სიბრძნითაც, რომელიც გვავალებს ბნელ ღამეებში ვიფიქროთ და ვილოცოთ იმათთვის, ვინც იზიარებს მოგზაურთა და მენავეთა ფათერაკიან ხვედრს, და იქნებ ახლა შველას თხოულობს...

საერთოდ, სურნელოვანი ფიჭვის გულისაგან დამზადებული ჩირაღდანი, რომელსაც აქ „ჩირალს" ეძახიან, ყოველი აჭარელის ცხოვრების განუყრელი თანამგზავრია; გარკვეული აზრით სიცოცხლის, იმედისა და სასოების ხატიც. ხომ გახსოვთ, სულმნათი ბაკურ კუბოსთან თავდახრით მდგომი გულო კაიკაციშვილი საქართველოს ბულბულს რომ ეხვეწებოდა: დაუბარე ამ შენებს, ჩირაღდანი ჩვენც, ტყვეობიდან ახლახან დახსნილ მოძმეებს მოგვიმარჯვონ, რათა კვლავ ცხოვრების ფართო გზაზე გავიდეთო...

ეს თხოვნა კარგა ხანია პირნათლად აღასრულა სრულიად საქართველომ.

ის ჩირაღდანი ახლა უკვე აჭარელ კაცს უჭირავს ხელში, ზეაღმართულად და არავის ძალუძს ხელიდან მისი გამოგლეჯა, აჭარლობის საერთო ქართული გზიდან გადაყვანა.

**ილია რურუა.**

# რად თქვეს უარი სამართლის სწავლებაზე?

**იმ** საკითხის განხილვა, რომელზეც ახლა უნდა გესაუბროთ, სხვა ფორმითაც შეიძლებოდა, მაგრამ ვამჯობინეთ პრესის მეშვეობით გამოვხმაურებოდით საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს ერთგვარად ნაჩქარევ გადაწყვეტილებას — მიმდინარე წლის პირველი აპრილიდან რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში „სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლების" სწავლების გაუქმების თაობაზე.

არც ჩვენ გვეადვილება ასეთი ტონით საუბარი, მაგრამ სხვა გზა არ არის — წამხდარ საქმეს დროზე უნდა შველა, რომ ბოლოს გვიან არ იყოს თითზე კბენანი.

იურიდიულ საზოგადოებრიობას, მის კავშირს, სამეცნიერო თუ სასწავლო იურიდიულ ცენტრებს, სამართალდამცავ დაწესებულებებს ამ შემთხვევაში მუნდირის ღირსება კი არ გვაწუხებს, რომ ამის თაობაზე არაფერი გვკითხა სამინისტრომ, არ გაეცნო ჩვენს საერთო პოზიციას; უწინარესად ის გვაწუხებს, რომ ეს იმ სამართლებრივი ნიჰილიზმის ერთ-ერთი გამოვლენაა, რამაც ჩვენში, სავალალოდ, ასე ძალუმად გაიდგა ფესვი მმართველობის თითქმის ყველა სფეროში, როცა არავინ დაგიდევს კანონს და არცთუ იშვიათად უგულებელყოფენ მას. გაკვირვებას და უკმაყოფილებას ის იწვევს, რომ ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს სწორედ იმ დროს, როცა ქვეყანაში, გაუბედავად, მაგრამ მაინც იდგმება პირველი ნაბიჯები სამართლებრივი სახელმწიფოს შესაქმნელად. მაშ, საიდან უნდა დავიწყოთ ჩვენი ახალგაზრდობის სამართალთან, მის ძირითად ცნებებთან დაახლოება, თუ არა სწავლების საშუალო საფეხურზე?

სკოლებში სამართლის სწავლების შემოღება არ ყოფილა ცალკეულ პირთა სუბიექტური სურვილით ნაკარნახევი. ამის აუცილებლობა თვით ცხოვრებამ მოიტანა და ამიტომაც ეტაპობრივად დაიწყო მისი დანერგვა, ჯერ ფაკულტატური სახით, შემდგომ კი სავალდებულოდ. ამასთან, დიდი შრომა დასჭირდა მის დამკვიდრებას, სწავლების ტრადიციის ჩამოყალიბებას, მეთოდიკის შემუშავებას, შესაფერისი ფორმის გამოძებნას. იუსტიციის სამინისტრო რახანია მთელი მონდომებით ეკიდება ამ საქმეს, არაერთ ინიციატივას იჩენს მოსახლეობის, კადრების, ახალგაზრდების სამართლებრივი აღზრდისათვის. წლების განმავლობაში მხოლოდ იუსტიციის სამინისტროს მოწადინებით მიმდინარეობდა სამართლის საგნის პედაგოგთა გადამზადება, ამავე სამინისტროსთან არსებულ კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე, და საკმაოდ ნაყოფიერადაც, რაც ამ კურსების ღირსებად უნდა ჩაითვალოს.

განა შეიძლება მხედველობიდან გამოგვრჩეს ის გარემოება, რომ ბოლო ხანს ჩვენი ახალგაზრდობა და მათ შორის საშუალო სკოლის მოსწავლეთა დიდი ნაწილი, მასობრივად მონაწილეობს პოლიტიკურ აქციებში, ფართოდ არის ჩაბმული პოლიტიკურ-სამართლებრივი საკითხების განხილვასა და დისკუსიებში, ისინი მონაწილეობენ მთელ რიგ სამართლებრივ ურთიერთობებში, ხშირად პირისპირ აღმოჩნდებიან ხოლმე უფლება-მოვალეობათა გარკვევის საჭიროების წინაშე; ამიტომ, სწორედ სკოლის ასაკიდანვე უნდა ეუფლებოდნენ კანონმდებლობის ძირითად საფუძვლებს, მეტადრე არასრულწლოვანთა უფლებრივი მდგომარეობის, მათი იურიდიული პასუხისმგებლობის პირობებს და სხვა. აქვე დავძენთ, არასრულწლოვანთა და მოსწავლე-ახალგაზრდობის მიერ კანონმდებლობაში ჯერაც არასაკმარისად გათვითცნობიერების გამო, სამართალდარღვევები მატულობს, და ამიტომ, ვისაც კი ეს გვეხება, ყველაფერი უნდა ვიღონოთ მათ ასაკვეთად.

სამწუხაროდ განათლების სამინისტრომ იმდენი პატივიც კი არ დაგვდო, რომ გადაწყვეტილების ტექსტი მაინც გაეცნო ჩვენთვის, არადა, იგი უთუოდ დადგენილების სახით იქნებოდა ჩამოყალიბებული. ეს ამბავი მხოლოდ ტელეგადაცემისა და საგაზეთო ინფორმაციის მეშვეობით შევიტყვეთ. არა გვგონია, რომ ეს საკითხი ყოველმხრივ იყოს შესწავლილი. გადაწყვეტილების საფუძვლად მიჩნეულია ორი მთავარი არგუმენტი: პირველი — უფრო მეტი თავისუფალი დრო ექნებათ მოსწავლეებსა და მასწავლებლებს. მეორე — ამ საგანში სავსებით თანამედროვე სახელმძღვანელოს შექმნამდე მის სწავლებას არ განვაახლებთო. საკითხავია, თუ საქმე წლის განმავლობაში სწავლებისათვის გამოყოფილ ისედაც მინიმალური საათების რაოდენობას ეხება, ეს გამოთავისუფლებული დრო, ვითომ უფრო სასიკეთო, მნიშვნელოვან საქმეს წაადგება? რაღაც, არა გვგონია!

ერთ აზრსაც გამოვთქვამდით — თუ სხვა სასწავლო პროგრამებს გადავხედავთ, იქნებ ღირდეს იმაზე ფიქრი, თუ როგორ შემცირდეს ერთი და იმავე საგნების, რომ იტყვიან, დაუსრულებლად სწავლება, რომ უფრო მეტი დრო ახალგაზრდობის ზნეობრივ, ეთიკურ, მოქალაქეობრივ ჩამოყალიბებას, ენების, უწინარესად ქართული ენის საფუძვლიან სწავლებას დაეთმოს. შეიძლება ვცდებით, მაგრამ განა არ მოხერხდება, ერთ საგნად, ერთი წიგნის მოცულობით ზოგადად, მხოლოდ საფუძვლიანად ისწავლებოდეს მონათესავე საგნები ისე, რომ ახალგაზრდობას სამუდამო ცოდნა გაჰყვეს ცხოვრებაში? მაშ, როგორ არის, ძველ გიმნაზიაში მიღებული ცოდნა დღევანდელ ზოგიერთ უმაღლესდამთავრებულს შეშურდება, ვფიქრობ, ეს საგნების შეკუმშულად და ჯეროვანი სწავლებით მიიღწეოდა. ყმაწვილის გონებრივი შესაძლებლობები ხომ შეზღუდულია; იგი ითვისებს მხოლოდ იმდენს, რამდენის უნარსაც მას ბუნება ანიჭებს — ეს გარდაუვალი კანონია.

ახლა მეორე არგუმენტი. ალბათ სამინისტროსვე მოეხსენება, რომ „თანამედროვე სახელმძღვანელოები" სხვა სასკოლო საგნებშიც არ არსებობს, მაგრამ მათი სწავლება ჯერჯერობით არავის გაუუქმებია. არ ვამტკიცებთ, თითქოს სამართლის სწავლების დარგში ყველაფერი რიგზე იყოს. პირიქით, მას შეიძლება ბევრი ნაკლიც ჰქონდეს, მაგრამ ნაკლოვანებებს თავის არიდება კი არ უნდა, არამედ — დაძლევა. გარდაქმნა ცხოვრების ყველა სფეროს შეეხო და, ცხადია, სახალხო განათლებასაც, მაგრამ როგორ მოვიქცეთ, ვუცადოთ, როდის შეიქმნება „თანამედროვე სახელმძღვანელოები"? სახელმძღვანელოებში არსებულ ხარვეზებს თვით მასწავლებლები უნდა ავსებდნენ, ვიდრე განახლებულ სახელმძღვანელოს მივიღებდეთ. რაც შეეხება 1988 წელს გამოცემულ „სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლების" სახელმძღვანელოს, იგი მართლაც არ ასახავს ბოლო წლებში კანონმდებლობაში მომხდარ ცვლილებებს, მაგრამ ეს ცვლილებანი გამოქვეყნებულია პრესაში და მასწავლებლებს შესაძლებლობა აქვთ საჭირო ინფორმაცია მოიპოვონ. ვფიქრობთ განათლების სამინისტრომ, იუსტიციის, სამეცნიერო დაწესებულებებთან ერთად უნდა იზრუნოს მასწავლებელთა კვალიფიციური გადამზადებისათვის, მეთოდიკური მითითებებით უზრუნველყოფისა და მიმოხილვითი ლექციების ჩასატარებლად, ხოლო განათლების სამინისტროს ჟურნალებმა და გაზეთმა „სახალხო განათლებამ" ჯეროვანი ყურადღება დაუთმონ ამ საგანთან დაკავშირებული პრობლემების გაშუქებას. ისიც აღსანიშნავია, რომ სკოლებში ახლახან გაუქმებული ეს საგანი მაპროფილებელია იურიდიულ ფაკულტეტზე შემსვლელთათვის, რაც უმაღლეს სასწავლებლებში მიღების პირობის გადასინჯვასაც გამოიწვევს. სხვა თუ არაფერი, წელს ყმაწვილმა საგნის კურსი თუ არ დაასრულა, როგორ ჩააბარებს გამოცდას? ვის აძლევს ეს ხელს? ალბათ ამ ფაკულტეტზე იოლად მოხვედრის მსურველთ. რაც შეეხება სახელმწიფოსა და სამართლის „თანამედროვე სახელმძღვანელოს" მომზადებას, როგორც ვიცით, განათლების სამინისტროს არ უმსჯელია ამის თაობაზე. მკითხველს კი ვაუწყებთ, რომ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულმა ფაკულტეტმა უკვე მოამზადა ორიგინალური, ქართველ მოსწავლეთათვის განკუთვნილი სახელმძღვანელო, რომელიც მალე გადაეცემა გამომცემლობას. ურიგო არ იქნებოდა, გამოცემამდე წინასწარ განხილულიყო.

თუ ზედმეტობაში არ ჩამოგვერთმევა, ერთ მეგობრულ, საერთო ინტერესებიდან გამომდინარე რჩევასაც გამოვთქვამდით. თუ განათლების სამინისტრო ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება ცენტრის მიმართ მისი სუვერენული უფლების გამოხატვად მიაჩნია, რაღა ამით ვიწყებთ? ამ მხრივ განა ცოტა რამაა გასაკეთებელი.

დროა ერთობლივად გადავწყვიტოთ იურიდიული კოლეჯის დაარსების საკითხი, რაც ხელს შეუწყობს უმაღლესი განათლების მისაღებად ახალგაზრდობის უკეთ შემზადებას.

ურიგო არ იქნება გავიხსენოთ უწმინდესის და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია მეორის „სააღდგომო ეპისტოლეში" ამას წინათ გამოთქმული სურვილი — „თუ ღვთისმეტყველება ჯერ კიდევ მიუღებელია ჩვენს სკოლებში, ზნეობა ხომ აუცილებელია. საგანს დავარქვათ „ზნეობრივი ეთიკა" ან „ზნეობრივი კულტურა" და შევიტანოთ იგი სკოლის პროგრამაში".

ზნეობა და სამართალი ურთიერთმანეთოდ წარმოუდგენელია. მაშ, მოდით, ნუ ვიტყვით უარს სამართლის სწავლებაზე.

**ზურაბ რატიანი.**
**საქართველოს იურისტთა კავშირის თავმჯდომარე.**

**ავტორის თხოვნით ჰონორარი ბავშვთა ფონდში გადაირიცხება.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოეთში

პრესის სარკეში

**იტალიურმა გაზეთმა „რეპუბლიკამ" ამ დღეებში გამოაქვეყნა ინტერვიუ ვ. რასპუტინთან, რომელსაც მკითხველს ვთავაზობთ მცირეოდენი შემოკლებით:**

**53 წლის მწერალი, რომელიც, რუსების აზრით, „ერთადერთი ცოცხალი კლასიკოსია", ამჯობინებს ისაუბროს სულის სიწმინდეზე მექანისტური დემოკრატიზაციის საწინააღმდეგოდ. იგი ამბობს, რომ სულიერება სანთლის ალს ჰგავს, ხოლო პოლიტიკა — ელექტრულ აფეთქებასო. ვალენტინ რასპუტინი თვალს ადევნებს იმას, რომ სანთელი არ ჩაქრეს და ამ უკუნში დასავლეთმა არ დაიპყროს ის, რაც დარჩება უახლოეს მომავალში რუსეთისა და საბჭოთა კავშირისაგან.**

## ვალენტინ რასპუტინი:

# აღორძინება ხალხიდან უნდა მომდინარეობდეს

**კითხვა: თქვენი ქვეყანა გათიშულია ნაციონალისტური ამბოხებებით, პარალიზებულია მწვავე პოლიტიკური ბრძოლით, წელგატეხილია მძიმე ეკონომიკური კრიზისით. თქვენ კი ამბობთ, საბჭოთა კავშირს უხამსობა დაღუპავსო. რატომ?**

**პასუხი:** იმიტომ, რომ დანგრევის საფრთხეს შეიცავს არა მარტო ბირთვული ენერგია ან გარემოს გაჭუჭყიანება, არამედ კულტურის სფეროც. საბჭოთა კავშირს სერიოზულად ემუქრება მასობრივი კულტურა, რომელიც ჩვენში დასავლეთიდან ვრცელდება ისე, რომ სულიერ დაბრკოლებასაც აღარ აწყდება. იგი ჩვენი ტრადიციების მოსპობას და ჩვენს მოშთობას, დამონებას გვიქადის, სპობს რუსეთის სულსა და თვითმყოფობას.

**კითხვა: მაგრამ რას წარმოადგენს რუსული სული საბჭოთა ხელისუფლების 70 წლის შემდეგ?**

**პასუხი:** ჩემი აზრით, ყოველი ერი ამ ქვეყნად თავისი სულით ევლინება, რომელიც მისი სვებედი და როლია. რიგი ქვეყნები ასრულებენ მორალურ, მეორენი — კონკრეტულ და პრაქტიკულ, მესამენი — სულიერ როლს, და არ შეიძლება ხალხთა ამ თავისებურებათა ერთმანეთში აღრევა, შეუძლებელია მათი დაფარვა. რუს ერს სულიერი დანიშნულება ჰქონდა. ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში იგი ყველასათვის წმინდა რუსეთი იყო. ცხადია, წმინდასთან ერთად ბევრი ჯოჯოხეთურიც იყო, მაგრამ ქვეყნის არსი ადამიანთან იყო დაკავშირებული, და რუსეთს არ შეეძლო დასავლეთის ცივილიზაციის მატერიალისტურ გზაზე დადგომა, რამეთუ ამ შემთხვევაში იგი თავის თავს უღალატებდა და შეწყვეტდა არსებობას, თვითმყოფობას მოსპობდა.

**კითხვა: მაშ როგორღა შემორჩა დღემდე ეს სული?**

**პასუხი:** მისი გადარჩენა შეიძლება სასწაულად ან იდუმალებად მოგვეჩვენოთ, თუ არ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ სული უკვდავია, იგი ხალხშია ჩაქსოვილი, იცავს მას პოლიტიკისაგან თვითდაცვის საკუთარი მექანიზმებით ისევე, როგორც ენას. მაგრამ ეს სული, ეს არსი სულ ცოტა სამჯერ შეიმუსრა: პეტრე დიდის, ეკატერინე მეორის დროს და შემდეგ რევოლუციის შედეგად, რომელმაც აიძულა რუსი ხალხი საკუთარ ხასიათს დაპირისპირებოდა.

**კითხვა: განა არ შეიძლება იშვას ის სული, რომელსაც თქვენ ეძებთ, ახალი მართლშეგნების, დემოკრატიის გრძნობის წყალობით?**

**პასუხი:** აღორძინება არ ხდება ზემოთ მიღებული კანონით ან დეკრეტით. იგი ხალხიდან უნდა მომდინარეობდეს ისე, როგორც რუსეთის განთავისუფლება თათართა უღლისაგან. იმისათვის კი, ეს რომ მოხდეს, ხალხმა უნდა მოინანიოს. ყველა ხალხს აქვს თავისი ცოდვა, რომელიც უნდა აღიაროს, რათა განიწმინდოს მისგან. ჩვენ ძალზე ბევრი ასეთი ცოდვა გვადევს კისერზე. დღეს ინტელიგენციის როლი ის არის, რომ მოუწოდოს ხალხს განიწმინდოს მისგან, ამასთან გააფრთხილოს ახალი და ბოლო ცოდვის — მომხმარებლური საზოგადოების მოსალოდნელი საფრთხის გამო.

**კითხვა: თქვენი ქვეყანა დეფიციტის დამამცირებელ პირობებში ცხოვრობს, თქვენ კი მომხმარებლურ ცივილიზაციას ჰკიცხავთ?**

**პასუხი:** დიახ, ჩვენი ხალხი საკმაოდ ღარიბია და მატერიალურ სიკეთეს საჭიროებს, მაგრამ სიუხვე დამღუპველია. და ეს უნდა გვახსოვდეს. საბჭოთა კავშირის მოსახლეობას, ახლა რომ დეფიციტის პირობებში ცხოვრობს, ხიბლავს მომხმარებლობა, იზიდავს იდეა ჰქონდეს ყველაფერი, რისი გავრცელებაც შესძლო დასავლეთმა ჩვენს ქვეყანაში როგორც მოდერნიზმის არსი.

**კითხვა: მაშასადამე, მოდერნიზაციაც საფრთხეს უქადის საბჭოთა კავშირს?**

**პასუხი:** როცა ხალხი გაბრუებულია ფსევდოკულტურით, რომელიც „ახლად" და „თანამედროვედ" ასაღებს ყოველივე იმას, რაც ტრადიციების საწინააღმდეგოა, ადამიანები ჰკარგავენ კეთილისა და ბოროტის გარჩევის უნარს. მაგრამ საზოგადოება უმორალოდ დიდხანს ვერ იარსებებს: მას, რა თქმა უნდა, შეუძლია აირჩიოს ბოროტება, მაგრამ შეუძლებელია მომავალშიც თავი აარიდოს არჩევანს. დღეს ჩვენში ყველაფერი დაშვებულია. მე ვეკითხები ჩემს თავს: რა მომავალი ელის ჩემს ხალხს? რა მორალით იცხოვრებს იგი ხვალ? ეს ეპოქა, რომელშიც ღირებულებანი გაუფასურებულია, შეიძლება კიდევ სამ, დიდი-დიდი ხუთ წელიწადს გაგრძელდეს. ეს ათი წელი საკმარისი იქნება იმისათვის, რომ შვას უბედურებანი, რომელთა აღმოფხვრას მთელი საუკუნე დასჭირდება. დღეს საფრთხეშია მხოლოდ ერთი თაობა, ის, რომელიც ახლა ყალიბდება. მაგრამ იგი კიდევ დიდხანს იცოცხლებს და გაამრავლებს შვილებს, რომლებსაც თავის მორალურ და კულტურულ გენებს გადასცემს. სწორედ ამიტომ კაცობრიობა არ უკეთესდება. საკმარისია 20 წლის უმწეობა, რომ დაიბინდოს მთელი საუკუნე. ახლა ჩემს ხალხს დაბნელების პერიოდი უდგას.

**კითხვა: განა დემოკრატია, მონობის შემდეგ რომ იბადება, ბოლოს არ უღებს ბნელეთს, როგორც დასავლეთში ფიქრობენ?**

**პასუხი:** მე სხვა ბნელეთი მაშინებს, რომელიც ჩვენში ძლიერდება. რუსი ხალხი მთელი მსოფლიოს წინაშე ინარჩუნებდა თავისებურ უბიწოებას, სირცხვილის სტიქიურ გრძნობას. ახლა კი ხაზი აქვს გადასმული ყოველგვარ თავშეკავებას, ქრება ყოველგვარი იდუმალება, ბოლო ეღება საიდუმლოებას. იდუმალი სულში დევს იმიტომ, რომ მის მიღმა არსებობს: როცა ყველაფერს საფარველი ეცლება, სული ლატაკდება, კნინდება და ყველა სხვას ემსგავსება. ხალხის დასამონებლად საკმარისია მისი ახალგაზრდობის დამონება, როცა მშვენიერება უხამსობაშია აღრეული, ყოველივე წმინდა ფარსად ქცეული, ღირებულებანი გაუფასურებელი. სწორედ ეს ხდება ახლა, და ამის ნიშნებია როკი, მაიკლ ჯექსონი, რომელიც ტოლსტოიზე უფრო თაყვანსაცემი ხდება.

**კითხვა: მაგრამ ეს ხომ მხოლოდ იმას მიგვანიშნებს, რომ საბჭოთა კავშირი რამდენადმე ემსგავსება დანარჩენ სამყაროს?**

**პასუხი:** რატომ უნდა მივსდიოთ დანარჩენ სამყაროს? ჩვენ გვაქვს ათასწლიანი ხასიათი, საუკუნეობით ვიცავდით ჩვენ მორალურ წესებს. ყველა ხალხის და ყველა ქვეყნის ერთი სტერეოტიპის ქვეშ მოქცევა მომაკვდინებელი ნაბიჯია, რამეთუ იქ, სადაც დაბრკოლება არ ეღობება კულტურულ ანტისხეულს, სწრაფად განვითარდება სულიერი შიდსი თავისი დამანგრეველი ერთგვაროვნებით. მე ვხედავ რუსეთს მორალურად დაკნინებულს, ტრადიციებდაკარგულს და, საბოლოო ანგარიშით, დასავლეთის მიერ დაპყრობილს. ამიტომ ვამბობ, რომ ჩემ ხალხს საფრთხე ემუქრება, ვინაიდან მას აღარ სწამს თავის წარსულისა, გაუქრა იმუნიტეტი, ვინ დაიცავს მას?

**კითხვა: და აი, მივადექით პარადოქსს, რომლის თანახმად მავანი და მავანი კომუნისტურ სისტემას ქომაგობდნენ როგორც ჯავშანს, რომელიც იცავდა თუნდაც საბჭოთა კავშირის „განსხვავებულობას", მის განსაკუთრებულ ხასიათს. მაშასადამე, ყველა ხაზის ორთოდოქსობა, საბოლოო ანგარიშით, ერთად იყრის თავს.**

**პასუხი:** ალბათ. დიახ, კომუნიზმი ჩვენ რაღაც-რაღაცეებისაგან გვიცავდა. მაგრამ მან დაგვაკნინა კიდეც, რამეთუ მოახდინა მთელი კერძო, კულტურული ყოველდღიური ცხოვრების პოლიტიზირება, საბოლოო ანგარიშით, შექმნა ადამიანის ტიპი, რომელსაც დაავიწყდა თავისი სულიერება. ერთი მხრივ, კომუნიზმმა დაიცვა საბჭოთა კავშირის განსხვავება დასავლეთისაგან, მეორე მხრივ, მან ხაზი გადაუსვა ჩვენს ისტორიას, როცა გამოაცხადა იგი 70 წლის წინათ დაიწყოო.

**კითხვა: თქვენ თვლით, რომ რევოლუციის შემდეგ, რუსეთმა დაიწყო სხვისი ისტორიის, დასავლეთის ისტორიის წერა, რომელიც არ შეიძლებოდა მისი კუთვნილება ყოფილიყო?**

**პასუხი:** უფრო მეტიც. ყირამალა რომ გააკეთა, იგი შეეცადა დასავლეთის ისტორიაზე უფრო შორს წასულიყო, მაგრამ ის ძალზე დაცილებული აღმოჩნდა, და ეს ნახტომი ტრაგედიად იქცა.

**კითხვა: თქვენ ახლა მოხვდით პრეზიდენტ გორბაჩოვის საბჭოში. როგორ გიკავიათ ეს პოსტი, როცა „პერესტროიკის" მტერი ხართ?**

**პასუხი:** თქვენ ამბობთ, რომ მე მემარჯვენე შეხედულების მქონე კაცი ვარ, მტერი. მე ცენტრში ვიმყოფები და მიმაჩნია, რომ გორბაჩოვი ახლა ცდილობს მიაგნოს კრიზისიდან გამოსავალს. რაც შეეხება გარდაქმნას, ჩემი აზრით, ეს სიტყვა ახლა სულს ღაფავს და მალე შეწყვეტს არსებობას. სიტყვებსაც თავისი დრო აქვთ, და გარდაქმნა თავის ბოლო ეტაპს ითვლის. მალე ხალხი არ მოისურვებს ამ სიტყვის ხსენებას. როცა ეს ბნელი ეტაპი დასრულდება, ჩემი აზრით, გამომზეურდება სხვა სიტყვები. რუსეთმა იცის ეს სიტყვები, და ვინმე შეძლებს მათს წარმოთქმას.

## შტრიხები პოლიტიკური პორტრეტისათვის



# ვაცლავ ჰაველი — დისიდენტობიდან პრეზიდენტობამდე

**დასავლეთისა** და აღმოსავლეთის სახელმწიფოთა ლიდერების პოლიტიკური ბიოგრაფიები ხშირად ალსავსეა დრამატული გარდატეხებით და პარადოქსებითაც კი. მაგალითად თუნდაც აშშ-ის მე-40 პრეზიდენტის რ. რეიგანის კარიერა იკმარებდა — ჰოლივუდის არცთუ პირველხარისხოვანი ვარსკვლავი და სპორტული რადიოკომენტატორი ამერიკის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი და პოპულარული პრეზიდენტი გახდა. და მაინც, ძნელად თუ შეედრება რაიმე ჩეხეთისა და სლოვაკიის ფედერაციული რესპუბლიკის ახლანდელი პრეზიდენტის ვაცლავ ჰაველის მიერ განვლილ გზას — დისიდენტობიდან პრეზიდენტობამდე.

1968 წლის დასასრულს, როდესაც „პრაღის გაზაფხულის" ინტელექტუალური თავისუფლება უხეშმა სამხედრო ძალამ ჩაახშო, ცნობილი ჩეხი დრამატურგი ვაცლავ ჰაველი ბევრ თავის თანამემამულესთან ერთად ამერიკის საელჩოსთან გაწელილ რიგში აღმოჩნდა. გაქცევის საბაბი მას მართლაც ჰქონდა. ჯერ ერთი, ახალი მთავრობა დისიდენტების ქვეყნიდან გაძევების სურვილს არ ფარავდა. გარდა ამისა, ვაცლავ ჰაველს საარსებო საშუალებებისათვის მძიმე ბრძოლა ელოდა — მისი პიესები არ იდგმებოდა, არ ქვეყნდებოდა და შემოქმედებით იზოლაციას ბოლო არ უჩანდა. მაგრამ როდესაც რიგში მდგომმა მეგობარმა ჰკითხა ჰაველს, მართლა თუ აპირებდა ქვეყნიდან წასვლას, მან უპასუხა: „არა, არ ვფიქრობ, მე მგონი მოვლენები აქ ძალზე საინტერესოდ განვითარდება". საინტერესოსი რა მოგახსენოთ, მაგრამ მომდევნო ოცი წელი მეტად მძიმე აღმოჩნდა ქვეყნისა და თვით ჰაველის ცხოვრებაში. თუმცა ამ უკანასკნელისთვის ამაში არაფერი იყო ახალი და მოულოდნელი — მისი ცხოვრება არასდროს ყოფილა იავარდით მოფენილი.

დავიწყოთ იმით, რომ შეგნებული ცხოვრების პირველივე წლებიდან ვაცლავ ჰაველს სოციალური წარმოშობა არ „უწყობდა" ხელს. იგი დაიბადა 1936 წლის 5 ოქტომბერს ცნობილი მეწარმის, მილიონერის ოჯახში, რომელსაც ეკუთვნოდა კინოსტუდია „ბარანდოვი", რესტორნები, შემოსავლიანი სახლები ვლტავის სანაპიროზე, 1400 ჰექტარი ტყე და სამონადირეო სახლი. სხვათა შორის, ოფიციალური პრესა 70-იან და 80-იან წლებშიც ხშირად უსვამდა ხაზს ამ გარემოებას სტატიებში საგულისხმო სათაურით — „ვინ არის ვაცლავ ჰაველი?" ამგვარი პუბლიკაციების მიზანი იყო, მკითხველამდე გასაგებად მიეტანათ ცნობილი ანდაზის — „კვიცი გვარზე ხტისო" საილუსტრაციო მასალა. ხოლო იმას, თუ ჰაველისთანა სოციალური წარმოშობის ადამიანი ვის გვარზე შეიძლება ხტოდეს, არავითარი ეჭვი არ უნდა გამოეწვია. თვით მწერალი მოგვიანებით იხსენებდა: „50-იან წლებში ჩვენი ოჯახის წინააღმდეგ არსებითად კლასობრივი ბრძოლა მიმდინარეობდა... მაგრამ ახლა ვრწმუნდები, რომ ზოგი ჭირი მარგებელია. მე შევძელი ცხოვრებისათვის ქვევიდან შემეხედა. სიძნელეები დამეხმარა ობიექტურად დამენახა გარემომცველი სამყარო". 1951 წელს მან დაამთავრა საშუალო სკოლა, მაგრამ სწავლის გაგრძელების ნაცვლად დურგლობას მიჰყო ხელი, ვინაიდან „მილიონერის შვილიკოსათვის" მაშინ სხვა პერსპექტივა არ არსებობდა. ამას მოჰყვა ლაბორანტის ადგილი, შემდეგ საღამოს გიმნაზია და ჰუმანიტარულ სასწავლებელში შესვლის უშედეგო ცდა. 1955 წელს გამოცდები ჩააბარა ჩეხეთის უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელში, მაგრამ იქ სწავლას გული ვერ დაუდო და მიატოვა. საინჟინრო ჯარებში ორი წლის სამსახურის შემდეგ ჰაველი არ მიიღეს ხელოვნების აკადემიის თეატრალურ ფაკულტეტზე, მაგრამ მან მაინც შეაღწია აკადემიაში და 1966 წელს დაუსწრებლად დაამთავრა იგი. ამ დროისათვის ჰაველი უკვე კარგად იცნობდა თეატრს, ვინაიდან იმუშავა ჯერ გამნათებლად, შემდეგ სცენის მუშად, დრამატურგიაშიც მოსინჯა ძალა.

1969 წელს ჰაველმა თავის ბინაში მოსასმენი მოწყობილობა აღმოაჩინა და ამ მომენტიდან მისი ცხოვრების თანამგზავრი გახდა დამცირება და დევნა. იმავე წლის შემოდგომაზე მას ბრალი დასდეს რესპუბლიკის წინააღმდეგ ძირგამომთხრელ საქმიანობაში (ხელი მოაწერა დისიდენტურ განცხადებას „10 პუნქტი"). ეს დოკუმენტი უარყოფდა „ნორმალიზაციის" პოლიტიკას 1968 წლის აგვისტოს შემდეგ. მაშინ, მართალია, ძიება გადაიდო და არც იქნა მიყვანილი ბოლომდე, სამაგიეროდ სხვა სასამართლო პროცესები, როგორც წესი, განაჩენებით თავდებოდა. ვ. ჰაველი პირველად დააპატიმრეს 1977 წელს, როდესაც იგი სხვა ჩეხოსლოვაკელ სამართალდამცველებთან ერთად გაერთიანდა „ქარტია-77" მოძრაობაში. მომავალმა პრეზიდენტმა ციხეში თითქმის ხუთი წელი გაატარა. უკანასკნელად იგი დააპატიმრეს და 9 თვე მიუსაჯეს შარშან თებერვალში. მაშინ პრაღელები ირონიულად შენიშნავდნენ: „ჰაველს ჰუსაკის ადგილზე ამზადებენ. ისიც ხომ იჯდა, ვიდრე პრეზიდენტი გახდებოდა".

ვ. ჰაველს პრაქტიკულად არასდროს შეუწყვეტია ლიტერატურული საქმიანობა, რომელიც ამავე დროს მისი ერთადერთი საარსებო საშუალება იყო. მართალია, ოფიციალური პროპაგანდა მას „უნიჭო დრამატურგს" უწოდებდა, მაგრამ თავად განსაჯეთ: 1968 წ. — ავსტრიის დიდი სახელმწიფო პრემია ევროპული ლიტერატურის წინაშე დამსახურებისათვის, 1986 წ. — ერაზმ როტერდამელის პრემია, 1989 წ. — დასავლეთგერმანელ წიგნით მოვაჭრეთა მშვიდობის პრემია... ულოფ პალმეს პრემია. ვაცლავ ჰაველი ტორონტოში იორკის უნივერსიტეტისა და ტულუზის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორია, მისი პიესები ათობით ქვეყანაში დაიდგა, მათ შორის „აუდიენცია" — 11 ქვეყანაში, „ვერნისაჟი" — 13-ში, „ცდუნება" — 5-ში. „მე არასდროს ვყოფილვარ და არ მინდოდა ვყოფილიყავი პოლიტიკოსი, პროფესიონალი რევოლუციონერი ან პროფესიონალი დისიდენტი. მე მწერალი ვარ". — თქვა ერთხელ ვ. ჰაველმა. მის მწერლობაში ეჭვი არავის ეპარება, თუმცა ახლა არც პოლიტიკოსობა გვაოცებს.

თავისი კრედო ვაცლავ ჰაველმა ჯერ კიდევ აქტიური დისიდენტობის პერიოდში ჩამოაყალიბა: „ფასეულობები, რომლებსაც პირველი რესპუბლიკა ეფუძნებოდა (1918-1939 წწ) და რომლებიც მან ჩვენს ხალხებს გადმოულოცა, ჩემის აზრით, მნიშვნელოვანი მთამაგონებელი მომენტი იქნება". ქვეყნის მომავალს პრეზიდენტი პლურალისტურ სისტემაში ხედავს, როგორც პოლიტიკის, ასევე ეკონომიკის თვალსაზრისით: „პრაქტიკამ დაადასტურა, რომ აყვავების გარანტია ეკონომიკური სუბიექტების ავტონომიაა. საკუთრებას არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. იგი შეიძლება იყოს სახელმწიფო, კოოპერატიული, აქციონერული. ბუნებრივია, რომ კერძო სექტორიც ამოქმედდება — ძირითადად მომსახურების სფეროსა და წვრილ მეწარმეობაში. მან დაამტკიცა თავისი სიცოცხლისუნარიანობა: მხოლოდ აყვავება იძლევა სოციალურ გარანტიებს. ვ. ჰაველის აღიარებით, თხუთმეტიოდე წლის წინათ იგი თავს სოციალისტად თვლიდა, მაგრამ შემდეგ უარი თქვა ამ ცნებაზე მისი დისკრედიტაციის გამო. „სიტყვა „სოციალიზმმა", — თქვა ვაცლავ ჰაველმა ქვეყნის ფედერალური კრების ერთ-ერთ სესიაზე, — ჩვენს ენობრივ კონტექსტში აზრი დაკარგა, მაგრამ ეჭვი არ მეპარება, რომ აღორძინების პროცესში მყოფი ან მემარცხენე ორიენტაციის ახალი პარტიები შეძლებენ დაუბრუნონ მას უწინდელი მნიშვნელობა".

აი, როგორ აფასებს ვაცლავ ჰაველი თავის როლს პრეზიდენტის თანამდებობაზე: „მე არა ვარ პრეზიდენტი — მხსნელი. არ შეიძლება დემოკრატიულად ჩაითვალოს ისეთი საზოგადოება, რომელშიც ყველაფერი ერთ ადამიანზეა დამოკიდებული. შევეცდები შევასრულო დაპირებები, რომლებიც პრეზიდენტის პოსტზე არჩევამდე მოგეცით. მაგრამ გთხოვთ: გჯეროდეთ და იმედი გქონდეთ საკუთარი თავისა".

პრეზიდენტ ჰაველის ერთ-ერთი პირველი ოფიციალური ვიზიტი შეერთებულ შტატებში შედგა. საყოველთაო ყურადღება მიიპყრო კონგრესის პალატების გაერთიანებულ სხდომაზე მისმა გამოსვლამ, რომელსაც ჟურნალმა „ტაიმმა" „დემოკრატიული იდეალების შესახებ არაჩვეულებრივი სიტყვა" უწოდა. ნიშანდობლივად გვესახება მისი ერთი გამონათქვამი: „როგორ შეუძლია დღეს ამერიკას ჩვენი დახმარება? ჩემი პასუხი ისევე პარადოქსულია, როგორც მთელი ჩემი ცხოვრება. თქვენი ყველაზე დიდი დახმარება ჩვენდამი იქნება ის, თუ თქვენ დაეხმარებით საბჭოთა კავშირს მის შეუქცევად, მაგრამ უსაზღვროდ რთულ გზაზე დემოკრატიისაკენ". ეჭვს გარეშეა, ვაცლავ ჰაველს წინ კიდევ მრავალი გამოცდა ელის. 23 იანვარს პარლამენტის სესიაზე მან თქვა: „პრეზიდენტის კაბინეტში შესვლისას მე შევამჩნიე, რომ იქ საათი არ იყო. ამაში არის რაღაც სიმბოლური: მრავალი წლის განმავლობაში იგი არავის სჭირდებოდა იმიტომ, რომ ამ კედლებში დრო გაჩერდა. სამაგიეროდ იგი ახლა წინ მიჰქრის. მე მსურს, რომ საათი პრეზიდენტის კანცელარიაში არ ჩამორჩებოდეს ისტორიის დაჩქარებულ სვლას".

საათი ამუშავდა. ვნახოთ, რას მოუტანს მომავალი განახლებულ ქვეყანას და მის პრეზიდენტს.

## ტელეტაიპის ლენტიდან

**ვაშინგტონი.** ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯ. ბუშმა თეთრ სახლში მიიღო ლიტვის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე კ. პრუნსკიენე, რომელიც კერძო ვიზიტად იმყოფება შეერთებულ შტატებში. თეთრი სახლის პრესმდივნის მ. ფიცუოტერის განცხადებით, პრეზიდენტი პრუნსკიენეს ხვდება როგორც „ლიტველი ხალხის თავისუფლად არჩეულ წარმომადგენელს", და არა როგორც ლიტვის პრემიერ-მინისტრს.

**პრაღა.** ჩეხეთ-სლოვაკეთის ფედერაციულ რესპუბლიკაში გაუქმებულია სიკვდილით დასჯა. ასეთი გადაწყვეტილება მიიღო ქვეყნის პარლამენტმა რესპუბლიკის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს აქ მიმდინარე სესიაზე. ახლა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის სასჯელის მაქსიმალური ზომა შეიძლება იყოს სამუდამო პატიმრობა.

*45 წელი ომის შემდეგ*

## ნაციზმის მსხვერპლთა ხსოვნას...

ამ გაზაფხულზე ამერიკის არიზონის შტატის ქალაქ ტუსონში მემორიალური სკულპტურული კომპოზიცია აიგება ნაციზმის მსხვერპლთა ხსოვნის აღსანიშნავად, რომელიც, როგორც მისი შემქმნელნი ამბობენ, ღია იქნება „ყველა რასისა და რელიგიის, სხვადასხვა სოციალური და განათლების დონის ადამიანებისათვის". კომპოზიციის ავტორია ნიუიორკელი მოქანდაკე ამი შამირი".

**სურათზე:** ნაციზმის მსხვერპლთა მემორიალის მშენებლობის სამუშაოები.

საკდესის ფოტოქრონიკა.



# სადამ ჰუსეინი და მისი ოჯახი

**26 აპრილს** ამ გაზეთში გამოქვეყნდა სტატია, რომელშიც ნათქვამია: ერაყის პირველი კაცის ოჯახის ბედი ახალი შინაარსით ავსებს სიტყვებს „ოჯახური განხეთქილება". პრეზიდენტი სადამ ჰუსეინი, რომელმაც ახლო აღმოსავლეთში „ცოფიანის" რეპუტაცია შეიქმნა, სახელმწიფოს მეთაურის პოსტზე თავისი საქმიანობის ზნეობრივ მეთოდებს ოჯახურ ურთიერთობაზე ავრცელებს. მისი უკანასკნელი მსხვერპლი გახდა მისივე ცოლისძმა, რომელიც ვერტმფრენის იდუმალებით მოცული კატასტროფის დროს დაიღუპა მას შემდეგ, რაც ჰუსეინმა მეორე ცოლი შეირთო.

ბაღდადში ყოფნის დროს ჩვენ თავი მოვუყარეთ ამ ამბის ყველა წვრილმანს და სადაზვერვო სამსახურების საიდუმლო მოხსენებათა შესწავლის შემდეგ გამოვაქვეყნეთ ოჯახური უკმაყოფილების ზოგიერთი დეტალი.

ეს ამბავი თითქმის ორი წლის წინათ დაიწყო, როდესაც ჰუსეინმა ირანთან 8-წლიანი ომის შემდეგ ხელი მოაწერა საზავო შეთანხმებას და გადაწყვიტა უფრო ამქვეყნიური საქმეებისთვის მოეკიდა ხელი — ვინმე შეეყვარებინა.

თავისი არჩევანი ერაყის სამხედრო-საჰაერო ძალების ერთ-ერთი ოფიცრის ლამაზ ცოლზე შეაჩერა და ქმარს მოახსენა, რამდენსაც გინდა ხელფასს დაგინიშნავ მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში, თუ ცოლს დამითმობო. შეშინებული ოფიცერი მიხვდა ამ წინადადების არსს — ცოლთან გაყრა ან სიკვდილი — ჭკუა იხმარა და პირველი აირჩია. ჰუსეინის ამ ქორწინების ამბავი ერაყელებმა არ იცოდნენ.

**„ვაშინგტონ პოსტი" ერაყის პრეზიდენტის შესახებ**

▼▼

ისლამური კანონების შესაბამისად, გარკვეულ ვითარებაში მამაკაცს შეუძლია ოთხი ცოლი ჰყავდეს. მაგრამ იმ ამბავმა, თუ რა გზით იშოვა ჰუსეინმა თავისი მეორე ცოლი, შეაშფოთა ზოგიერთი მისი მუსლიმი მოკავშირე, მათ შორის იორდანიის მეფე ჰუსეინიც, რომელმაც პირადად არ მოუწონა საქციელი.

მაგრამ მუსლიმი ხელმძღვანელების საყვედურები არაფერი იყო იმასთან შედარებით, რაც პრეზიდენტის პირველმა ცოლმა საიდამ და მისმა შვილებმა მოიმოქმედეს. იგი რამდენჯერმე შეეტაკა თავის ორგულ ქმარს, მერე კი გაჩუმდა.

მისმა ვაჟიშვილმა უდაიმ განაგრძო დედის საქმე და მამის მრისხანებაც დაიმსახურა. როცა გაგულისებულმა უდაიმ პრეზიდენტის ერთ-ერთ ახალგაზრდა თანამშრომელს, რომელიც ხელს უწყობდა მის რომანს, დაატეხა თავს თავისი გულისწყრომა და ჩხუბში კეტით სასიკვდილოდ დაამავა, ჰუსეინმა შვილი დააპატიმრებინა და სიკვდილით დასჯის განკარგულება გასცა. მაგრამ საიდა შეევედრა, შეეწყალებინა შვილი და პრეზიდენტმა ორივენი გაასახლა ჟენევაში, — გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში — ერაყის წარმომადგენლობაში.

ახლა ცოლისძმის ჯერი დადგა. საიდას ძმამ, ერაყის თავდაცვის მინისტრმა, გენერალ-პოლკოვნიკმა ადნან ჰეირალმა დის მხარე დაიჭირა და პროტესტი გამოთქვა პრეზიდენტის მეორე ქორწინების გამო. ამის შემდეგ რამდენიმე თვის მანძილზე ჩრდილში მოექცა, შემდეგ კი ნება დართეს განეგრძო თავისი მოვალეობის შესრულება, თუმცა არცთუ დიდი ხნით.

შარშან მაისში ვერტმფრენი, რომლითაც ჰეირალი მიფრინავდა, როგორც ჰუსეინმა ბრძანა, „ძლიერი ქარის" შედეგად დაიმსხვრა და მინისტრი დაიღუპა. უცნაურია, მაგრამ დანარჩენი ორი თანმხლები ვერტმფრენი მშვიდობიანად დაბრუნდა.

ძლიერი ქარები, როგორც ჩანს, ერაყის მუდმივი პრობლემაა. ამერიკის დაზვერვის საიდუმლო მოხსენებათა მიხედვით, ჰუსეინის ათამდე სამხედრო მოწინააღმდეგე ანალოგიურ კატასტროფაში დაიღუპა უცნაურ გარემოებათა დროს. პრეზიდენტმა საჯაროდ გამოთქვა თავისი სინანული თავდაცვის მინისტრისა და ცოლისძმის დაღუპვის გამო და ჰეირალს „ერაყის ცის მოკაშკაშე ვარსკვლავი" უწოდა.

# გამოთხოვება გრეტა გარბოსთან

**15 აპრილს** შვედები გამოეთხოვნენ სახელმოხვეჭილ თანამემამულეს. როდესაც შვედეთის ტელევიზიამ აღდგომა დღეს ნიუ-იორკიდან გრეტა გარბოს გარდაცვალების ამბავი შეიტყო, პროგრამა შეცვალა და შიგ ჩართო მრავალსაათიანი მემორიალური გამოშვება. გაზეთები მსახიობის ფოტოსურათებს აქვეყნებენ და დაწვრილებით აღწერენ მის საოცარ ბედს. უამრავი ხალხი იყრის თავს შვედეთის დედაქალაქის იმ სახლთან, სადაც 1905 წლის 18 სექტემბერს ქვეყანას მოევლინა გრეტა. სტოკჰოლმის გაზეთი „დაგენს ნიუჰეტერი" წერს: ამ ბედნიერ შემთხვევითობას მსოფლიო ამას უნდა უმადლოდეს, რომ სავაჭრო სახლის გამყიდველი ყმაწვილი ქალი, რომელიც პატარა სარეკლამო ფილმში გადაიღეს, შენიშნეს კინოს და თეატრის რეჟისორებმა. ღარიბი ოჯახის შვილის წინაშე, რომელიც სტოკჰოლმის პროლეტარულ უბანში გაიზარდა და მაღაზიაში მუშაობისათვის თვეში ასიოდე კრონს იღებდა, უეცრად ზღაპრული პერსპექტივები დაისახა.

თეატრალურ სარბიელზე პირველივე ნაბიჯებმა სახელი მოუტანა. თექვსმეტი წლის გრეტა სამეფო დრამატული თეატრის სასცენო სკოლაში შევიდა. ორი წლის შემდეგ შვედური კინემატოგრაფის კორიფემ მორიც სტილერმა მას სელმა ლაგერლეფის რომანის „იესტე ბერლინგის საგის" ეკრანიზაციაში მიაღებინა მონაწილეობა.

გარბოზე კინოკრიტიკა ალაპარაკდა. სახელსა და დიდებას თან მოჰყვა დიდი უბედურება — უეცრად გარდაიცვალა მსახიობის საყვარელი და — ალვა გუსტაფსონი, რომელსაც ხელოვნებაში ნაკლებ დიდებას არ უწინასწარმეტყველებდნენ. დები საოცრად ჰგავდნენ ერთმანეთს. როცა შვედეთის სილამაზის ერთ-ერთ კონკურსში ალვამ პირველი პრიზი მოიპოვა, გამარჯვებული ყველას გრეტა ეგონა.

მსოფლიო დიდების მიუხედავად, გარბო მილიონობით თაყვანისმცემლისათვის იდუმალებად რჩებოდა. იუპიტერების შუქი მხოლოდ პროფესიულ კარიერას ანათებდა, მისი პირადი ცხოვრება კი მიუწვდომლად დარჩა. თვითონ გარბო არასოდეს არ აიგივებდა საკუთარ თავს ეკრანზე შექმნილ სახეებთან. 36 წლისამ მოულოდნელად მიატოვა კინემატოგრაფი, და როცა მეგობრები გადაეკიდებოდნენ ხოლმე, შენი მონაწილეობით ფილმები ვნახოთო, საკუთარ თავზე მესამე პირში ლაპარაკობდა: „წამოდით, შევხედოთ იმ ქალს". ბრიტანელი თაყვანისმცემლის კითხვაზე, კინოში რატომ აღარ თამაშობთო, გარბოს უპასუხია: „მე საკმაოდ ბევრი სახე შევქმენიო".

ჟურნალისტებს ერიდებოდა. „ვიცი, ჟურნალისტები ჩემზე ამბობენ, თავაზიანობა აკლიაო, მაგრამ ასე არ არის, — უთქვამს გარბოს. — საერთოდ, ის, რასაც ჩემზე წერენ, სრულიად უმაქნისად მიმაჩნია".

მისი ბოლოსწინა ფილმი „ნინო" უდიდეს ტრიუმფად ითვლება. უკანასკნელი — „ტყუპები" — მარცხად. თუმცა ეს მისი ბრალი არ ყოფილა, მოულოდნელად ჩაერივნენ პროდიუსერები და ტრადიციული გემოვნების საამებლად სასწრაფოდ შეცვალეს სიუჟეტი.

კინემატოგრაფიდან მოულოდნელი წასვლის შემდეგაც გარბოს მსოფლიოს ყველა ქვეყნიდან მისდიოდა წერილების ნაკადი. ბევრ კონვერტზე პირდაპირ ეწერა: „გრეტა გარბოს, ნიუ-იორკი", ან საერთოდ არ იყო მითითებული მისამართი — „გრეტა გარბოს, მსოფლიოს უმშვენიერეს მსახიობს"...

გარბოს დიდებამ ჰოლივუდის გზა გაუკაფა სხვა შვედ მსახიობების პლეადას, რომელთაგან უბრწყინვალესი ვარსკვლავი იყო ინგრიდ ბერგმანი. ეროვნული კინემატოგრაფის წინაშე დამსახურებისათვის ამ რამდენიმე წლის წინათ გრეტა გარბო შვედეთის „პოლარული ვარსკვლავის" ორდენით დაჯილდოვდა.

# რა ღირს ტონა მარცვლეული?

**„ჯორნელ ოფ კომერსი" ამერიკაში მარცვლეულის საბჭოური შესყიდვის თაობაზე**

**აღნიშნულმა** გაზეთმა ჰოვარდ საიმონის სტატია დაბეჭდა, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია: ორშაბათს საბჭოთა კავშირმა შეერთებულ შტატებში 149000 მეტრიკული ტონა საშემოდგომო ხორბალი შეისყიდა და ამით ბოლო მოუღო ჭორებს თითქოს ამერიკელი ექსპორტიორები მიწოდებას აყოვნებდნენ გადახდის დაგვიანების გამო.

ამერიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ დაადასტურა, რომ მან ოთხი განაცხადი მიიღო ამერიკის საექსპორტო სუბსიდიების გეგმის შესაბამისად, საბჭოთა კავშირისათვის აღნიშნული რაოდენობის ხორბლის მიყიდვის დაფინანსების შესახებ.

ამერიკელ ექსპორტიორებს სუბსიდიები გამოეყოფათ განაცხადებისათვის, რომლებიც მათ შეაქვთ საშინაო ბაზარზე მარცვლეულის საშუალოზე ნაკლები ფასების თაობაზე. ასეთ შემთხვევაში ექსპორტიორს საშუალება ეძლევა მარცვლეული გაყიდოს კონკურენტუნარიანი მსოფლიო ფასების შესაბამისად, რომლებიც, ჩვეულებრივ, უფრო ნაკლებია.

როგორც იტყობინებიან, საბჭოთა კავშირი, ამერიკული მარცვლეულის უდიდესი მყიდველი, ამერიკის საექსპორტო ფირმებს უგვიანებს ფულის გადახდას. ანალიტიკოსებმა განმარტეს, ეს იმით აიხსნება, რომ მტკიცე კონვერტირებული ვალუტა აკლიაო საბჭოეთს, რომელიც მარცვლეულის იმპორტის გადასახდელებს 6-8 კვირით აგვიანებს. ჩვეულებრივ საბჭოთა კავშირს ეს გადასახდელები მარცვლეულის მიღებიდან 10-14 დღის შემდეგ შეაქვს. ექსპორტიორებმა მარცვლეულის პარტია, რომლის მიწოდებაც მაისისთვის არის სავარაუდოდ, ტონა 132,5 დოლარად მიჰყიდეს.

# თანამედროვე დანაშაული და... შუასაუკუნეობრივი სასჯელი

**ეგვიპტის** ქალაქ კვესნის მცხოვრებლებმა ერთ მშვენიერ დილას აღმოაჩინეს, რომ მოწყვეტილი არიან გარესამყაროსაგან. თურმე ბოროტმოქმედებს მოუპარავთ სატელეფონო კაბელი.

კავშირის აღდგენაზე 36 საათის განმავლობაში მუშაობდნენ მუშები. ამავე დროის განმავლობაში დააკავეს დამნაშავეთა რვაკაციანი ჯგუფი. რისთვის დაჭირდათ ქურდბაცაცებს რამდენიმე კილომეტრი სატელეფონო კაბელი? ხომ არ აპირებდნენ ისინი საკუთარი კავშირგაბმულობის კომპანიის გახსნას? რა თქმა უნდა არა. საქმე იმაშია, რომ სატელეფონო კაბელის გადაღნობის შედეგად იღებენ მაღალხარისხოვან სპილენძს, რომელსაც იყენებენ კუსტარული სპილენძის ჭურჭლის დასამზადებლად. სავარაუდოა, რომ სპილენძის კაბელისგან დამზადებული აღმოსავლური ორნამენტით მორთული სპილენძის თუნგები და ფიალები, უკვე ამშვენებენ აღმოსავლური გამოყენებითი ხელოვნების მოყვარულთა ბინებს.

ეგვიპტე არ არის ერთადერთი ქვეყანა, სადაც სპილენძის კაბელებს იპარავენ. ნიგერიაში ეს პრობლემა, უკვე ეროვნულ უბედურებად იქცა. ლაგოსში კაბელების ქურდობის გამო ბევრი ქუჩა რამდენიმე თვის განმავლობაში განათების გარეშე რჩება. ხელისუფლება იძულებულია გაიღოს დამატებითი ხარჯები ამ დანაკარგის ასანაზღაურებლად.

ნიგერიის ოიოს შტატის სამხედრო გუბერნატორმა პოლკოვნიკმა ადედეჯიმ გასცა განკარგულება, რომ კაბელების ქურდი ყელამდე ჩაფლან მიწაში და დატოვონ სვავების საჯიჯგნად.

გუბერნატორის აზრით მხოლოდ ეს შუა საუკუნეების სასჯელი თუ შეაჩერებს ბანდიტებს.

# ჯილდო ტერორისტებზე ინფორმაციისათვის

**შეერთებულ შტატებში მიიღეს გადაწყვეტილება 4 მილიონი დოლარი ჯილდო შესთავაზონ ინფორმაციისათვის იმათ, ვინც ხელს შეუწყობს იმ ტერორისტთა დაკავებას, რომლებმაც 1988 წლის 21 დეკემბერს ააფეთქეს „პან-ამერიკენის" კომპანიის თვითმფრინავი. ამ ტერორისტული აქციის შედეგად 270 კაცი დაიღუპა.**

**როგორც იტყობინებიან, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი და იუსტიციის სამინისტრო შეთანხმდნენ, რომ ამ ჯილდოს გამოყოფა ხელს შეუწყობს ტერორისტების დაჭერას. ამერიკას არასოდეს არ გამოუცხადებია ესოდენ დიდი თანხა ბოროტმოქმედთა დაჭერისათვის. ამ ცოტა ხნის წინათ იგი 500 ათას დოლარს არ აღემატებოდა. შარშანდელი წლის მიწურულს ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოაცხადა, რომ მოქალაქეთა წინააღმდეგ ტერორისტული აქტის გამჟღავნებისათვის შეიძლება 2 მილიონამდე დოლარი გამოიყოს. „პან-ამერიკენის" თვითმფრინავის ტრაგედია განსაკუთრებული შემთხვევაა, რამდენადაც აქ დიდძალი ხალხი დაიღუპა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თანამედროვეობა და ისტორია შეულამაზებლად:

## რუსეთ-საქართველოს საზავო ხელშეკრულების 70 წლისთავი

**მხოლოდ 295 დღე იარსება 1920 წლის 7 მაისს საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს შორის დადებულმა საზავო ხელშეკრულებამ. ახლა, როდესაც დემოკრატიზაციის წყალობით ისტორიის თეთრი ლაქები ივსება და სიყალბის ადგილს ჭეშმარიტება იჭერს, ნათლად იკვეთება არა მარტო ამ ხელშეკრულების ისტორიული მნიშვნელობა, არამედ იმ ძალთა მზაკვრული მოქმედებაც, რომლებმაც შეძლეს ხელშეკრულების დარღვევა და დამოუკიდებელი საქართველოს ფაქტობრივი ანექსია...**

# ბედი ქართლისა...

**1920 წლის** 7 მაისი იყო. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ორი წლისთავი სრულდებოდა. ძალზე ძნელი იყო ეს პერიოდი ახალგაზრდა დამოუკიდებელი სახელმწიფოსათვის.

ორი ათასი წლის განმავლობაში იბრძოდა ქართველი ხალხი თავისი სახელმწიფოებრიობისა და თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის, ორი ათასი წლის განმავლობაში მეზობელი სახელმწიფოები ცდილობდნენ ხოცვა-ჟლეტით დაემონებინათ ქართველთა სული, მაგრამ ამაოდ. პოლიტიკურად დაქუცმაცებული, ფიზიკურად თითქმის განადგურებული ქართველი ერი მაინც ახერხებდა სახელმწიფოებრიობისა და ქრისტიანული რელიგიის შენარჩუნებას, ეროვნული თვითმყოფადობის დაცვას მეზობლად მდებარე უზარმაზარი მუსლიმანური იმპერიების განუწყვეტელი შემოსევების პირობებში.

საუკუნეების მანძილზე საქართველო ეძებდა შველას დასავლეთსა და ჩრდილოეთში, ერთმორწმუნე რუსეთში, მაგრამ უშედეგოდ — დასავლეთ ევროპის ქვეყნებს საქართველო პაიკად მიაჩნდათ ირანსა და თურქეთთან ურთიერთობაში და რეალური დახმარებისაგან თავს იკავებდნენ, რუსეთი კი ჯერ ვერ წვდებოდა ამიერკავკასიას, და საქართველოს თხოვნას ეპიზოდური დახმარებით აკმაყოფილებდა, რაც უფრო ამძაფრებდა მუსლიმანური სამყაროს აგრესიას.

მას შემდეგ კი, რაც რუსეთის იმპერიამ ფეხი მოიდგა ჩრდილო კავკასიაში, მისი პოლიტიკა საქართველოს მიმართ უფრო ქმედითი გახდა. 1783 წელს საქართველოსთან (ქართლ-კახეთის სამეფოსთან) დაიდო კიდევაც ტრაქტატი, რომლითაც რუსეთი საქართველოს უსაფრთხოების გარანტიას აძლევდა ფორმით ვასალური სამსახურის გაწევისათვის. აღსანიშნავია, რომ საქართველოს მეფის უზენაესი უფლება საქართველოს მიწა-წყალზე ხელუხლებელი რჩებოდა და ხელშეკრულების გაუქმებისას საქართველო თავისუფალი უნდა დარჩენილიყო. არც ამ ხელშეკრულებამ მოუტანა საქართველოს შვება, პირიქით, კიდევ უფრო გაამწვავა მისი მეზობლები.

1801 წელს რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის ინკორპორაცია, რაც ანექსიის კლასიკურ ნიმუშად უნდა ჩაითვალოს, ხოლო შემდგომ დანარჩენი საქართველოს შეერთება ქართველი ერის ცხოვრებაში ახალ ეტაპს მოასწავებდა — სახელმწიფოებრიობის სრულ დაკარგვას და კოლონიის ერთ-ერთი უმძიმესი რეჟიმისადმი დაქვემდებარებას.

ქართველი ხალხი არასდროს არ ეგუებოდა თვითმპყრობელობის რეჟიმს და მედგრად იბრძოდა დამოუკიდებლობისათვის.

მხოლოდ 1917 წლის თებერვლისა და ოქტომბრის რევოლუციების შედეგად გახდა შესაძლებელი ქართველი ერის საუკუნოვანი წადილის რეალიზაცია — 1918 წლის 26 მაისს გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა, შეიქმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, რომლის პოლიტიკური სტრუქტურები უაღრესად დემოკრატიულ, პროგრესულ საწყისებზე იყო აგებული, რაც მკვეთრად განასხვავებდა მას პროლეტარიატის დიქტატურით განპირობებულ პოლიტიკურ და იურიდიულ შეზღუდვებზე აგებული სტრუქტურებისაგან.

იმ ფაქტმა, რომ საქართველოში ხელისუფლების სათავეში სოციალ-დემოკრატთა მენშევიკური ფრთა აღმოჩნდა, იმთავითვე განაპირობა ბოლშევიკურ რუსეთთან ურთიერთობის გამწვავება. რუსეთი არ ცნობდა საქართველოს დამოუკიდებლობას და დაპყრობითაც კი ემუქრებოდა, ცდილობდა შიგნიდან აეფეთქებინა პოლიტიკური სტაბილობა ამა თუ იმ რაიონში აჯანყებათა მოწყობით.

მაგრამ დასავლეთის საზღვრებზე შექმნილი სიძნელეების გამო რუსეთი ვერ ბედავდა ამიერკავკასიაში აქტიურ შეჭრას, თუმცა ი. სტალინი და ს. ორჯონიკიძე არაერთხელ სვამდნენ ამ საკითხს.

საქართველოს მთავრობა შეშფოთებული ადევნებდა თვალყურს ჩრდილოეთში მიმდინარე მოვლენებს. მისი წადილი გერმანიისა და ინგლისის მეშვეობით შეეკავებინა თურქეთის აგრესია, თითქოს ნაყოფიერი აღმოჩნდა, მაგრამ აშკარა იყო, რომ დასავლეთ ევროპა თავს იკავებდა მტკიცე დახმარებისგან საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობის გარკვევამდე.

მართალია, ზოგიერთმა სახელმწიფომ ცნო საქართველოს რესპუბლიკა „დე ფაქტოდ". უნდა ითქვას, რომ ესეც დიდი გამარჯვება იყო. „დე ფაქტოდ" ცნობა იგივე იურიდიული ცნობაა, თუმცა მისი პირველი საფეხურია: სახელმწიფოები ცნობენ ახლადშექმნილ ერთეულს, როგორც არსებულს, ამყარებენ კიდევაც მასთან სავაჭრო, საკონსულო ურთიერთობას, მაგრამ უარს ამბობენ ახლად შექმნილ სახელმწიფოს საზღვრების, კანონების, საზღვარგარეთ არსებული საკუთრების და ა. შ. ცნობაზე, რაც მხოლოდ „დე იურედ" ცნობის დროს ხდება.

ამიტომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისათვის აუცილებელი იყო „დე იურე" ცნობა, ეს კი შესაძლებელი იქნებოდა საბჭოთა რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზაციის შემთხვევაში. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ მთავარ საზრუნავად რჩებოდა რუსეთის მხრიდან მოსალოდნელი აგრესიის აღკვეთა. ამ დროისთვის აზერბაიჯანი უკვე გასაბჭოებულია და შეიარაღებული ინტერვენცია აქედან ძალზე რეალური ჩანს.

საქართველოს მთავრობის წარმომადგენელმა გ. ურატაძემ, რომელმაც დიდი სიძნელეების შემდეგ შეძლო მოსკოვში ჩასვლა 1920 წლის აპრილის დამლევს, მიიღო ვ. ი. ლენინის თანხმობა ხელშეკრულების დადებაზე.

რამ განაპირობა საბჭოთა რუსეთის თანხმობა — დაედო საქართველოსთან საზავო ხელშეკრულება?

სწორედ ამ დროს პოლონეთის და ვრანგელის არმიები უტევდნენ წითელ არმიას და საჭირო იყო მთელი ძალ-ღონის დაძაბვის ამ მიმართულებით გამოყენება. საქართველოს გასაბჭოების დრო, ვ. ი. ლენინის აზრით, ჯერ არ დამდგარიყო.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ ერთი მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორი: რკპ (ბ)-ს ხელმძღვანელობა დარწმუნებული იყო, რომ ხელსაყრელი პირობების შემთხვევაში, ქართველი ბოლშევიკები შეძლებდნენ ძალაუფლების ხელში ჩაგდებას გარეშე ძალის ჩაურევლად. ჩვენ ვიცით, რომ ეს აშკარად მცდარი შეხედულება იყო, რადგან, მიუხედავად მძიმე ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობისა, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას მხარს უჭერდა მოსახლეობის უმრავლესობა. ასეა თუ ისე, მოსკოვის პოზიცია აღნიშნული მოსაზრებებითაც უნდა ავხსნათ.

1920 წლის 7 მაისს მოსკოვში დაიდო საზავო (მეგობრობის) ხელშეკრულება, რომელიც საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად შემუშავდა და ძალაში შევიდა. ხელშეკრულებას ხელს აწერდნენ რსფს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ლ. კარახანი და საქართველოს მთავრობის წარმომადგენელი გ. ურატაძე.

ხელშეკრულების საერთაშორისო სამართლებრივი ნამდვილობა არასდროს არ გახდარა საეჭვო არც საქართველოს, არც საბჭოთა რუსეთის კომპეტენტური ორგანოებისთვის. რუსეთი უპირობოდ ცნობდა საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობას და თავისუფლებას, თავის ნებით იღებდა ხელს ყოველგვარ სუვერენულ უფლებაზე საქართველოს ხალხებსა და ქვეყნის მიმართ.

მეორე მუხლის ძალით, რუსეთი ვალდებულად ხდიდა თავს ხელი აეღო საქართველოს შინაურ საქმეებში ჩარევაზე.

ხელშეკრულება განსაზღვრავდა საზღვრებს რუსეთსა და საქართველოს შორის, მისი გაყვანის წესს (მუხ. III). რუსეთი კისრულობდა ვალდებულებას ეღიარებინა საქართველოს რესპუბლიკის უდავო შემადგენელ ნაწილებად, „გარდა შავი ზღვის გუბერნიის ნაწილებისა, რომელნიც გადადის საქართველოს საზღვრებში ხსენებული ხელშეკრულების პირველი და მესამე მუხლების ძალით, აგრეთვე ქვემოთ ჩამოთვლილი გუბერნიები და რუსეთის სახელმწიფოს ყოფილი ოლქები: თბილისის, ქუთაისის და ბათომის ყველა მაზრით და ოლქით, რომლებიც შეადგენენ ხსენებულ გუბერნიებს და აგრეთვე ზაქათალის და სოხუმის ოლქები". რუსეთი თანახმა იყო ეღიარებინა ის ტერიტორიული ცვლილებებიც, რომლებიც განისაზღვრებოდა საქართველოს და მეზობელ სახელმწიფოებს შორის დადებული ხელშეკრულებებით „ყოფილი კავკასიის სანამესტნიკოს" ამა თუ იმ ნაწილის თაობაზე (მუხ. IV).

ორივე მხარე კისრულობდა ვალდებულებას არ გამოეყენებინა თავისი ტერიტორია სხვა სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩარევისათვის, მტრულად განწყობილი შეიარაღებული ჯგუფების მოქმედების დაუშვებლობას (მუხ. V და VI). მაგრამ საქართველოს ვალდებულებების ნუსხა გაცილებით უფრო ვრცელი და დეტალიზირებული იყო. მთავარი აქცენტი გადატანილი იყო საქართველოს ვალდებულებაზე ყველა ღონე ეხმარა, რათა გაეყვანა თავისი ტერიტორიიდან „ყოველგვარი ჯარი და სამხედრო რაზმები, რომელიც საქართველოს სახელმწიფო ჯარების შემადგენლობაში არ შედის", განეიარაღებინა და ბანაკებში მოეთავსებინა მის ტერიტორიაზე მყოფი საჯარისო ნაწილები და ჯგუფები, „რომელნიც რუსეთის ან მისი ნაწილის მთავრობისა ან მისი მოკავშირე მთავრობათა პრეტენდენტის როლში გამოვლენ", აგრეთვე წარმომადგენლობანი და თანამდებობის პირები, ორგანიზაციები და ჯგუფები, რომლებიც მიზნად ისახავენ რუსეთის ან მისი მოკავშირე სახელმწიფოების მთავრობის ჩამოგდებას. საქართველო ვალდებულებას კისრულობდა არც მომავალში დაეშვა ასეთი პირებისა და ჯგუფების ყოფნა ან მოქმედება თავის ტერიტორიაზე, აეკრძალა საქართველოს გავლით მათი ისეთი ტვირთის გადაზიდვა, რომელიც შეიძლება რუსეთზე ან მის მოკავშირეებზე თავდასხმისათვის გამოიყენონ და სხვა.

დანარჩენი მუხლები ეხებოდა რუსეთში მყოფი ქართველებისათვის და საქართველოში მცხოვრები არაქართველებისათვის შესაბამისი მოქალაქეობის ოფტაციის საკითხს (მუხ. IX), საქართველოს ვალდებულებას გაეთავისუფლოს დასჯისაგან, სასამართლო და ადმინისტრაციული დევნისაგან ის პირები, რომლებსაც დევნიდნენ რსფს რესპუბლიკის სასარგებლოდ ჩადენილი მოქმედებისათვის (მუხ. X), ორივე მხარის მიერ ერთმანეთის დროშისა და გერბის „ცნობასა და პატივით მოპყრობას" (მუხ. XI), მხარეთა ეკონომიკური, სავაჭრო, დიპლომატიური და საკონსულო ურთიერთობების დამყარებას (მუხ. XII-XIV), საჯარო და კერძო სამართლებრივი დავების გადაჭრას (მუხ. XV).

ბოლო, XVI მუხლი აცხადებდა: ხსენებული ხელშეკრულება შევა ძალაში ხელის მოწერის მომენტიდან და საჭირო არ იქნება განსაკუთრებული რატიფიკაცია.

ხელშეკრულებას ახლდა „განსაკუთრებული საიდუმლო დამატება", რომელიც ავალებდა საქართველოს მთავრობას ეცნო მის ტერიტორიაზე მყოფი „კომუნისტური ორგანიზაციების უფლება თავისუფალი არსებობისა და მოქმედებისა, კერძოდ, კრებებისა და ბეჭდვის უფლება. აკრძალული უნდა ყოფილიყო ყოველგვარი რეპრესიები კომუნისტური პროგრამის საჯარო პროპაგანდისა და აგიტაციისათვის ან ამ პროგრამაზე დამყარებული საქმიანობისათვის".

ეს მუხლი, რომელსაც ასევე გ. ურატაძემ და მ. კარახანმა მოაწერეს ხელი, ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად ცხადდებოდა.

რატომ იყო ბოლო პირობა საიდუმლო აქტში შეტანილი? აშკარაა, რომ იგი საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევას ითვალისწინებდა და არ შეესაბამებოდა ხელშეკრულების „თანასწორუფლებიან ხასიათს". სწორედ ამ მუხლში ხედავდა საბჭოთა რუსეთის მთავრობა ხელშეკრულების სარგებლობას.

ამგვარად, დაიდო ძალზე მნიშვნელოვანი საერთაშორისო სამართლებრივი აქტი, რომელმაც განამტკიცა საქართველოს საერთაშორისო სამართლებრივი სტატუსი.

ამიერიდან ყველაფერი დამოკიდებული იყო იმაზე, თუ როგორ წარიმართებოდა პოლიტიკური მოვლენები საბჭოთა რუსეთის საერთაშორისო საქმეებში, რა ურთიერთობა დამყარდებოდა ანტანტასა და მას შორის.

პირველ ხანად თითქოს საქართველოს მთავრობის მოლოდინი გამართლდა — მოკლე ხანში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა „დე იურედ" ცნო თითქმის ყველა სახელმწიფომ. საბჭოთა რუსეთმა გამოგზავნა საელჩო კიროვის მეთაურობით. საქართველოს მთავრობამ მოახდინა კომუნისტური პარტიის ლეგალიზაცია, შეწყდა აჯანყებები, დაიწყო დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის შემუშავება.

მაგრამ მალე აშკარა გახდა, რომ რკპ (ბ), მისი კავბიურო ს. ორჯონიკიძის ხელმძღვანელობით, სულ უფრო და უფრო აძლიერებდნენ საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევას პოლიტიკური დესტაბილიზაციის მიზნით.

როდესაც აშკარა გახდა, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკური დესტაბილიზაცია შინაგანი ძალების საშუალებით შეუძლებელია, ი. სტალინისა და ს. ორჯონიკიძის დაჟინებით დაჩქარდა საქართველოს გასაბჭოება აშკარა ინტერვენციის გზით. ამისათვის პროვოცირებულ იქნა შეიარაღებული ინციდენტი ლორეში და „აჯანყებული ხალხის" დასახმარებლად წითელმა არმიამ ყოველი მხრიდან შეუტია საქართველოს.

ანალიზი გვიჩვენებს, რომ ორივე მხარე მეტ-ნაკლებად არღვევდა 1920 წლის ხელშეკრულებას, მაგრამ არც ერთი დარღვევა არ იძლეოდა საომარი მოქმედების დაწყების საბაბს. მეტიც, რუსეთი უფრო აქტიურად არღვევდა აღებულ ვალდებულებებს არ ჩარეულიყო საქართველოს საშინაო საქმეებში, და იწვევდა საპასუხო აქციებს ქართველთა მხრიდან. არადა, რამდენად ბეცნი უნდა ყოფილიყვნენ ქართველი პოლიტიკოსები, რომ არ დაენახათ ის დიდი საშიშროება, რომელიც მოელოდათ მათ რუსეთისაგან ოდნავი „სამართლიანი" მიზეზის მიცემისათვის „ხელშეკრულების დარღვევის გამო".

ის ფაქტი, რომ ინტერვენციის დაწყებისას საბჭოთა რუსეთმა ვერაფერი სხვა მიზეზი ვერ გამონახა „აჯანყებულ მშრომელთათვის დახმარების აუცილებლობის გარდა", ნათლად მოწმობს, რომ მათ ხელმოსაკიდი სამართლებრივი მოტივირება არ გააჩნდათ და „რევოლუციური მართლშეგნებით ხელმძღვანელობდნენ".

მიუხედავად ამისა, ერთა ლიგამ არ მოახდინა რეაგირება ამ აგრესიაზე, პირიქით, დასავლეთის სახელმწიფოები უკვე დაადგნენ რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობის განმტკიცების გზას. ისევ და ისევ საქართველოს ბედი „დიდი თამაშის" საგანი გახდა.

ასე მოხდა 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების დარღვევა. საქართველოში ჯარების შემოყვანა და მთელი ტერიტორიის დაკავება სამართლებრივი თვალსაზრისით სამხედრო ჩარევა (ინტერვენცია) და ოკუპაცია იყო საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მიზნით. ეს აქცია და მისგან გამომდინარე შედეგები პოლიტიკური თვალსაზრისით უნდა შეფასდეს, როგორც ფაქტობრივი ანექსია.

ამ პროცესს ამჯერად არ შევეხები, ეს ცალკე მსჯელობის საგანია. დღეს ყურადღება მინდა გავამახვილო სხვა რამეზე.

1921 წლის თებერვალ-მარტის ინტერვენციამ დაარღვია 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება, მაგრამ ეროვნული მოძრაობის დღევანდელი ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის უნდა ეყრდნობოდეს ამ ხელშეკრულებას, როგორც საბჭოთა რუსეთთან ურთიერთობის ამოსავალ წერტილს — მის მიერ აღიარებული საქართველოს დამოუკიდებლობის იურიდიულ აქტს, რასაც საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის ფაქტობრივი გაუქმება მოჰყვა.

სწორედ ამიტომ აღვნიშნავთ დღეს საქართველო-რუსეთის საზავო ხელშეკრულების 70 წლისთავს, რომელმაც ცნო ქართველი ერის თვითგამორკვევის უფლება და სახელმწიფო დამოუკიდებლობა, რომლის აღდგენა, ჩემი ღრმა რწმენით, ახლო მომავლის საქმეა.

**ლევან ალექსიძე.**
**საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.**

# მეცნიერის დაკვირვებით

**ვბეჭდავთ** მკითხველისათვის უკვე კარგად ცნობილი ჩვენი თანამემამულის, მიუნჰენში მცხოვრებ დოქტორ **კარლო ინასარიძის** იურიდიულ ანალიზს: **„1920 წლის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების უფლებრივი ხასიათი".**

**საერთაშორისო** სამართლით აღიარებულ დებულებათა თანახმად, უკვე პირველი ორი მუხლი რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებისა ნათლად გამოხატავს საბჭოთა რუსეთისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ურთიერთობას საერთაშორისო სამართლის საფუძველზე: პირველ მუხლში სიტყვა-სიტყვით ნათქვამია: „რუსეთის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის მიერ აღიარებული იმ უფლებიდან გამომდინარე, რომ ყველა ხალხებს გააჩნიათ თავისუფალი თვითგამორკვევის უფლება იმ სახელმწიფოდან სრულ გამოყოფამდეც კი, რომლის შემადგენლობაში ისინი შედიან, — რუსეთი უსიტყვოდ სცნობს საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობასა და სუვერენობას და ნებაყოფლობით ამბობს უარს ყოველგვარ სუვერენულ უფლებებზე, როგორიც კი გააჩნდა რუსეთს ქართველი ხალხისა და საქართველოს ტერიტორიის მიმართ".

რუსეთ-საქართველოს ამ ხელშეკრულების მეორე მუხლში კი ნათქვამია: „ამ ხელშეკრულების პირველ მუხლში ჩამოყალიბებული პრინციპებიდან გამომდინარე, რუსეთი იღებს ვალდებულებას,— უარი თქვას საქართველოს შინაურ საქმეებში ყოველგვარ ჩარევაზე".

ეს ორი მუხლი, ისე როგორც რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების მთელი რაობა ნათელს ხდის, რომ 1920 წლის 7 მაისიდან რუსეთსა და საქართველოს შორის დამყარდა დე ფაქტო და დე იურე, ე. ი. ფაქტიურად და იურიდიულად ურთიერთობა საერთაშორისო სამართლის საფუძველზე და რუსეთისთვისაც საქართველო გახდა **საერთაშორისო სამართლის სუბიექტი.** რუსეთ-საქართველოს ამ საზავო ხელშეკრულებით კი — ფაქტიურად და იურიდიულად — ყველა ამ თარიღამდე არსებული საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომლებიც წარსულში დაიდო რუსეთსა და საქართველოს, ან საქართველოს რომელიმე ნაწილს შორის, გახდა — იურიდიული გამოთქმა რომ ვიხმაროთ — **„ნოლი და უმნიშვნელო".**

ამგვარად, 1920 წლის 7 მაისის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულებით, რუსეთმა, როგორც იქნა, საქვეყნოდ აღიარა და იცნო საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობა და სუვერენობა, რასაც 117 წლის განმავლობაში უარყოფდა მეფის რუსეთი.

მაგრამ, საუბედუროდ, როგორც მეფის რუსეთმა დაარღვია 1783 წლის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულება და 1801 წელს მოახდინა საქართველოს **ანექსია,** საბჭოთა რუსეთმაც, ლენინის მეთაურობით, დაარღვია 1920 წლის რუსეთ-საქართველოს საზავო ხელშეკრულება და, ამჯერად, იარაღის ძალით **დაიპყრო** დამოუკიდებელი საქართველო 1921 წლის თებერვალ-მარტში.

საბჭოთა რუსეთმა ლენინის მეთაურობით, დაარღვია 1920 წლის ხელშეკრულების მთელი დედააზრი, როცა მის ჯარებს უბრძანა საქართველოს სახელმწიფო საზღვრების გადალახვა; ეს მოხდა 1921 წლის 11 თებერვალს, როცა საბჭოთა რუსეთის წითელმა არმიამ ხუთი მხრიდან ერთდროულად გადალახა საქართველოს სახელმწიფო საზღვარი და ასე დაიწყო რუსეთ-საქართველოს ომი. მაგრამ საბჭოთა რუსეთმა 1920 წლის ხელშეკრულების ცალკეული დებულებების დარღვევას მიჰყო ხელი ჯერ კიდევ რუსეთ-საქართველოს ომის დაწყებამდე.

რუსეთ-საქართველოს 1920 წლის ხელშეკრულების მე-6 მუხლში, მაგალითად, ნათქვამია: „რუსეთი იღებს ვალდებულებას, — არ მისცეს მის ტერიტორიაზე ყოფნისა და საქმიანობის უფლება ჯგუფებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც პრეტენზიას აცხადებენ საქართველოს ან მისი ნაწილის გამგებლობაზე, აგრეთვე ჯგუფებსა და ორგანიზაციებს, რომელთა მიზანს შეადგენს საქართველოს მთავრობის დამხობა. რუსეთი ვალდებულებას იღებს, გამოიყენოს მთელი თავისი გავლენა მის მოკავშირე სახელმწიფოებზე, რათა მათ არ დაუშვან თავიანთ ტერიტორიაზე ამ მუხლში ხსენებული ჯგუფები და ორგანიზაციები".

შეიძლება ითქვას, რომ რუსეთ-საქართველოს 1920 წლის ხელშეკრულების ამ მე-6 მუხლის **ყველა** დებულება დაარღვია საბჭოთა რუსეთის მთავრობამ, საქართველოზე თავდასხმის დაწყებამდე, ე. ი. 1921 წლის 11 თებერვლამდე: რუსეთის მთავრობამ, ლენინის მეთაურობით კარგად იცოდა, რომ საბჭოთა რუსეთის მე-11 არმია ემზადებოდა საქართველოზე თავდასხმისათვის ჯერ კიდევ 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების დადებამდე, ხოლო ამ ხელშეკრულების დადების პერიოდში ორჯონიკიძემ, მართალია, შეაჩერა საომარი მოქმედება დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ, მაგრამ ლენინს გაუგზავნა დეპეშა — „ბრძანებას ვემორჩილები, მაგრამ არ ვიზიარებ!" და თვით ლენინიც რომ სერგო ორჯონიკიძისა და სხვა ქართველი და არაქართველი ბოლშევიკების აზრის იყო დამოუკიდებელი საქართველოს დაპყრობის საკითხში, ეს იქიდანაც მოსჩანს, რომ მასსა და მის მთავრობას 1920 წლის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების დადების შემდეგაც არასოდეს არც კი უცდია რუსეთისა და მისი მოკავშირე სახელმწიფოების ტერიტორიაზე არ მიეცა მოქმედების უფლება ჯგუფებისა და ორგანიზაციებისთვის, რომელთა მიზანი იყო დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის დამხობა, როგორც ეს ნათქვამია აღნიშნულ მე-6 მუხლში.

ამდენად, საბჭოთა რუსეთმა ისევე ცალმხრივად დაარღვია 1920 წლის 7 მაისის რუსეთ-საქართველოს საზავო ხელშეკრულება, როგორც მეფის რუსეთმა დაარღვია 1783 წლის 24 ივლისის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულება, ე. წ. „ტრაქტატი". განსხვავება იურიდიულად იმაში გამოიხატება, რომ 1801 წელს რუსეთმა მოახდინა საქართველოს **ანექსია,** ხოლო 1921 წლის თებერვალ-მარტში **დაიპყრო** დამოუკიდებელი საქართველო. ორივე აქტის შედეგი კი ერთნაირი იყო საერთაშორისო სამართლის საფუძველზე: როგორც 1801 წელს, ასევე 1921 წლის თებერვალ-მარტში საქართველო, როგორც დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო, გაქრა საერთაშორისო არენაზე.

მაგრამ მნიშვნელოვანია იურიდიულად ის ფაქტიც, რომ საქართველო დღესაც, მისი დამოუკიდებლობის დაკარგვის უკვე 60 წლისთავზე, **იურიდიულად** მაინც დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ითვლება, ვინაიდან საქართველოს დაპყრობა 1921 წლის თებერვალ-მარტში, საქართველოს **დემოკრატიული გზით არჩეულ მთავრობას,** ქართველ ხალხს, ვთქვათ, რეფერენდუმის გზით, — არასოდეს არ უცვნია. ამდენად, **იურიდიულად,** საქართველო მაშინვე უნდა გახდეს **ფაქტიურადაც** დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო, როგორც კი ის ძალა, ის ძალადობის აქტი გაუქმდება, რომელმაც 1921 წლის თებერვალში „შეაჩერა", „დროებით შეწყვიტა" დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციის — ძირითადი კანონის — მოქმედება.

ამდენად, მოსკოვის ბატონობას საქართველოში, დაწყებული 1921 წლის თებერვალ-მარტიდან არავითარი იურიდიული საფუძველი არ გააჩნია საერთაშორისო სამართლის საფუძველზე. **ფაქტიურად** საქართველო, როგორც სახელმწიფო, მოსკოვის ბატონობის ქვეშაა, მაგრამ **იურიდიულად** საქართველო დღესაც დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოა და ეს იურიდიული უფლება ელის მის **ფაქტიურ** განხორციელებას, ე. ი. **უცხო ძალის** მოხსნას საქართველოსა და ქართველ ხალხზე, რის შედეგად საქართველო **ფაქტიურადაც** აღადგენს მის დამოუკიდებლობასა და სუვერენობას, როგორც ის აღიარებული იქნა თვით რუსეთის მიერაც 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებით.

# ფიქრები ხმამაღლა

## „რასაცა გასცემ..."

### „შარავანდედის"* ბოლოთქმა

**რუსთაველის** „რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია", მონაფური ხელითაა ამოწერილი მარო მაყაშვილის დღიურის ყდაზე და მანაც ხომ ყველაზე ძვირფასი რამ — სიცოცხლე გაიღო სამშობლოს სიყვარულის წილ...

როცა ამ აფორიზმს თვით მის ხელნაწერში წავაწყდი, გამაოცა 17 წლის გოგონას სიბრძნემ (ჩანაწერი 1918 წლითაა დათარიღებული): ეს ფიქრები ერთ-ერთი ნაწარმოების მისეულ ანალიზს მოსდევს და მიუხედავად იმისა, რომ უთანაგრძნობს მთავარ გმირს, რომელიც იმდენად ლამაზი იყო, რომ „სადაც ფეხს შედგამდა, ანათებდა იქაურობას", მონოლოგივით გამოთქვამს სათქმელს:

„ნუთუ სიყვარულში დიდ როლს თამაშობს სილამაზე? ეგ ჩემთვის გამორკვეული არ არის. მე მგონი ჯერ გულის და სულის გრძნობების სილამაზე უნდა შეამჩნიო და მერე გარეგნული. ხანდისხან გარეგნობა ადამიანს მაცდურ მდგომარეობაში აყენებს... იქნება სახით ადამიანი არ იყოს შესანიშნავი, მაგრამ გულით კი შეუდარებელი და ჭკუით. მე ამისთანებს ვამჯობინებ და ყოველთვის ამ აზრისა ვიქნები. იმისთანა ადამიანი, რომელიც სულ თავის ინტერესებზე ფიქრობს, წვრილმანია. მისი შეხედულება უმნიშვნელო არის. ის არაფერს სხვას არ მოუტანს სასარგებლოს. ისეთი ადამიანი, რომელიც ცხოვრობს სხვებისთვის, ის მესმის. მე არც ისეთი ვარ, არც ასეთი. მაგრამ იქნება გავხდე და უფრო მინდა როგორც უკანასკნელი. ბევრს ჰგონია, რომ ბედნიერება ფულშია. მეც ეგრე მგონია, მაგრამ ამ ფულის დახარჯვა თავიზედ კი არა? ამ ფულით შეიძლება სხვას მოუტანო ბედნიერება და მაშინ თვითონაც იქნები ბედნიერი.

„რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია".

სხვაზე ფიქრი უფრო კარგია. თავისაზედაც უნდა, მაგრამ სულ მუდამ არა. ღმერთო, რათ დამბადე ქალათ. ქალი უძლური რაღაცა საგანია კაცების აზრით, მაგრამ ეგ ტყუილია. მაგრამ მაინც მინდოდა ვყოფილიყავი მძლავრ და ჭკვიან კაცად. კაცს უფრო ეხერხება ყველაფერი, ვიდრე ქალს. ქალს ჰპატრონობს კაცი. კაცს — ღმერთი...

...რა არის სიცოცხლე წვრილმან ადამიანისთვის?

სულელური და ცარიელი უქმე ჩემის აზრით...

1918 წლის ივნისი—თბილისი".

აქვე მინდა კიდევ ერთხელ გავუსვა ხაზი მარო მაყაშვილისეულ სიტყვა-კაზმულობას თუ ძმა—შალვა მაყაშვილი—ფერმწერია, — მისი და სიტყვით ასურათხატებს ქართულ ბუნებას (ბატონი შალვა რომ ბავშვობიდანვე ხატავდა, ეს მაროს წერილებიდანაც ჩანს, სახატავი ალბომის ტილოგადაკრულ ყდაშია ჩასმული მაროს დღიურიც). აი როგორ განიცადა და აღიქვა პირველ ხილვაზე მარო მაყაშვილმა კახეთი: „ვნახე კახეთი. დიდებულია კახეთი თავის სიმშვენიერით, უბრალოდ არ დამღერა და ააჟღერა თავის ჩანგი ვახტანგ ორბელიანმა, მართლა რომ მომხიბლავენი არიან მისი წალკოტები, სადაც იდუმალება სუფევს. ალაზნის ველი გადაშლილი ხელის გულივით იპყრობს ყველას ყურადღებას. ზურმუხტოვანი აბიბინებული ყანები შორიდან ზღვას წააგავს. გარშემო შემობოჭილია კავკასიონის ქედი, შუბლშეჭმუხვნილი მყინვარი გადმოჰყურებს თავის ფეხთან მდებარე არეს და თითქოს ამბობს, მეც თქვენზე ნაკლები არა ვარო. შეხედეთ ჩემს შევერცხლილ თავს, რა არის რომ მოხუცდი, მაგრამ სიბერეშიაც სილამაზეს არ ვკარგავ, უჩემოთ თქვენი შვენება დაიკარგებოდა. მართალიც არის, მთები თითქოს ფერხულში ჩაებნენო ისე გარს შემოერტყნენ და მცველებივით გამზადებულნი არიან. ბევრმა რამ გადაიარა მათ თავზე და გადაივლის კიდეც, ვაუნძრევლად, ხმაგაკმედილი დგანან. ან რამ უნდა გაამხიარულოს. სადღაა ძველებური ჰარიარალო, როცა მეფე ერეკლეს ჯარი ამ მთებს გადაივლიდა, მაშინ მთებიც ბანს აძლევდნენ, თავის სიხარულს მარტო მაშინ გამოხატავდნენ. ერეკლე — პატარა კახი სდუმს, მთაც ხმას არ იღებს. მასთან ერთად შესწყდა საქართველოს კეთილდღეობა. ორთავე არწივი აღარ ასვენებს. ბოლოს გამოიღვიძა ბუნებამაც — ქედმაც გაიღიმა. მიზეზი ამ ყველაფრის „საქართველო აღზდგა"! ეჰ, რამდენი ფიქრი ტრიალებს თავში, არ იცის ადამიანმა, რომელს მოანდომოს დრო"...

...განა ვაჟას მემკვიდრედ არ მოგვევლინებოდა ეს საოცარი ქალწული, ბედს რომ არ ემუხთლა? აი რატომ ყოფილა ასე რიგად მონადინებული ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ღრმად შესწავლით — სულიერ ნათესაობას გრძნობდა... და გარდა ბუნების ხატისა, რა დრამატიზმითაა გადმოცემული ეროვნული ტკივილი და ბოლოს იმედის ნაპერწკლის გამონათება!...

...„შარავანდედის" გამოქვეყნების შემდეგ აი რა მიამბო ჩვენმა მხცოვანმა პუბლიცისტმა ბატონმა ანტონ კელენჯერიძემ, რომელიც ამ სიტყვებით მომეგება: „...მე მახსოვს მაროს დაკრძალვის ცერემონიალი...

... 19 წლის ჭაბუკი ვიყავი, ვაჟთა II გიმნაზიაში ვსწავლობდი. 1921 წლის 23 თებერვალს უფროსკლასელები დილიდანვე დიდი მთავრის ქუჩაზე წაგვიყვანეს, იქ იყო მაშინ მორგი, სადაც ჩამოუსვენებიათ კოჯორში დახოცილი ქართველები. 11 კუბო, 11 რჩეული ვაჟკაცი — რა დედამ გშობაო, რო იტყოდი... პროცესიას წარუძღვა სამღვდელოება კათალიკოს ლეონიდეს წინამძღოლობით — სტუდენტებმა აწიეს და შეიდგეს კუბოები, ვერის ხიდისკენ დავიძარით და ვერის აღმართითვე ამოვედით ახლანდელ რუსთაველის მოედანთან — გაივსო ხალხით რუსთაველი — ასე მივაცილეთ ტაძრამდე მებრძოლნი და თქვენ წარმოიდგინეთ, მიუხედავად ხალხმრავლობისა, შიგაც კი მოვხედი...

აქ სიტყვა მივცეთ გაზეთ „საქართველოს" კორესპონდენტს:

...„დილიდანვე დამწუხრებულ მოქალაქეთ დაიწყეს დენა საძმო სასაფლაოსკენ, რომელიც გათხრილი იყო სამხედრო ტაძრის გალავანში. დილის 10 საათზე, მიხეილის საავადმყოფოს ნიშში, სადაც ესვენენ თავდადებული ქართველნი, აუარებელმა ხალხმა მოიყარა თავი. გამოსვენებას დაესწრო დამფუძნებელი კრებისა და პარტიების წარმომადგენელნი. მხედრობას ხელით მოჰქონდათ ნეშტები... (აქ ჩამოთვლილია 10 გვარი და ორი უსახელო ჯარისკაცი).

სამხედრო ტაძართან მათ შეუერთდა ქვაშვეთის ტაძრიდან მეორე სამგლოვიარო პროცესია".

ეს იყო ბრძოლის ველზევე დაღუპული მარიამ მაყაშვილის პროცესია... აქვე ვიტყვი: ალბათ უნდა გვქონდეს მაყაშვილის სიმბოლური საფლავი სწორედ ქაშვეთთან (ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ წერდა გ. საითიძეც 1989 წლის 1 აგვისტოს „კომუნისტში" დაბეჭდილ სტატიაში „სათქმელი ჯერ კიდევ ბევრია").

„...მწირველი იყო ქალაქის სამღვდელოება და კათალიკოსი ლეონიდე — ვკითხულობთ გაზეთში — სამარის წინ დამფუძნებელი კრების სახელით წარმოსთქვა სიტყვა კარლოს ჩხეიძემ: „დიდო გმირებო, მოვდივართ, რათა უკანასკნელად მუხლი მოვიყაროთ და პატივი გცეთ თქვენ"...

**ანტონ კელენჯერიძე:** — ეს ვეებერთელა ტაძარი იყო, იატაკი სულ მოეფარდაგებინათ, შუაში შემაღლებულზე ესვენა მარო მაყაშვილი, ვაჟების კუბოები მოალაგეს ფარდაგზე, მაროს სუდარის ნაცვლად სამფეროვანი ქართული დროშა ჰქონდა გადაფარებული, რომლის კალთაც ეფინებოდა ქვემოთ განლაგებულ კუბოებს... კათალიკოსი წირავდა... გაისმა ჩქამი — მთავრობა მოვიდაო, მაშინ ვნახე პირველად ნოე ჟორდანია...

მიცვალებულები გამოასვენეს ტაძრის დიდ ეზოში, სამრეკლოსაკენ მიმავალ ბილიკის პირზე იყო გაჭრილი საძმო საფლავი, მარო კი ცალკე დაასაფლავეს რკინის მაღალმესერიან გალავანთან, იქით, ახლა რომ პიონერთა სასახლეს ვეძახით... იქვე რამდენიმე ფიჭვი იდგა"...

ისიც მახსოვს, ბოლშევიკების შემოსვლის მერე კიდევ 15 იუნკერი რომ ჩამოასვენეს კოჯრიდან და ბილიკის მეორე მხარეს დაკრძალეს, მაგრამ ეს უკვე ისეთი ზარ-ზეიმით აღარ მომხდარა.

ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის მარიამ აბრამიშვილის მოგონებებში (ხელნაწერი დაცულია პროფესორ როდამ ქუმსიაშვილთან, ნიკო ქუმსიაშვილის მუზეუმში, ძმები ზუბალაშვილების ქ. № 2) საოცარი სიცხადითაა აღწერილი თბილისის მისადგომებთან გამართული ბრძოლების სურათი. იგი ირიცხებოდა სათნოების დად მე-5 პოლკში, რომლის სარდალიც ყოფილა ოთარ მიხეილის ძე ფურცელაძე — მას მიადგა კარზე ორი ქალიშვილი (16-17 წლისა) იმის შემდეგ, რაც ექიმ ქალს აბაშიძეს უარი უთქვამს — ეს თქვენი საქმე არ არის, ჯერ მეტად პატარები ხართ ფრონტისთვის, თქვენი ფრონტზე გამოჩენა უდიდეს პანიკას გამოიწვევს ჯარშიო — „მე ამ ქალს შევხვდი ოთხი დღის შემდეგ, მწვავე ბრძოლის შემდეგ ...მაგრამ მაშინ პირდაპირ გამოგვყარა ოთახიდანო", გულწრფელად აღიარებს მარიამ აბრამიშვილი, რომელსაც პატარა მაროს ეძახდა ყველა და გასაოცარი ისაა, რომ მეორეც მაროა, დიდი მარო, გვარად მინდოდაური.

მათ ითამამეს და პირდაპირ სარდალს მიმართეს, „ყოჩაღ ქართველო გოგონებო, თუ არ გეშინიათ, წაგიყვანოთო"—დაპირებია იგი და კიდეც აუსრულებია სიტყვა.

გოგონები თავის მოვალეობას პირნათლად ასრულებდნენ, თუმცა დიდ საფრთხეში აღმოჩნდნენ. ჯერ სოღანლუღისკენ იყვნენ, მერე ტაბახმელაზე წავიდნენ, იქ ღამეც გაათიეს და ტყვიის წვიმაში მოხვდნენ — „გარეთ ტყვიის წვიმაა, დერეფანში ისე ცვიოდა ფილაქანზე ტყვიები, როგორც მუჭით გადმოყრილი კენჭები...".

ექიმი ლუკა ცაგარელი ემადლიერება გოგონებს, მაგრამ მათ არავითარი ინვენტარი არ გააჩნიათ — ჯიბეებში აქვთ ჩატენილი ბინტები და წამლები. აი ფრაგმენტი, რომელიც განსაკუთრებით საინტერესოა ჩემთვის და ალბათ მკითხველისთვისაც:

„მივადექით მთის ძირს, რომელზედაც ჩვენი ნაწილი იყო შეფენილი, მას „მარჯვენა ფრთა" ეწოდებოდა. ჩვენ ოთხნი ვიყავით. როგორც კი გადავლახეთ ხევი და ავედით ხევის პირზე, ამოგვიღეს ნიშანში და დაგვიშინეს ტყვიები. კოჯრის მიმართულებით, ჩვენს პირდაპირ მდებარე მთიდან ერთმა სანიტარმა დაიყვირა შორი-შორ ვიაროთო. ტყვიას ზუზუნი გაჰქონდა ყურებში, საჭირო იყო ან მარჯვნივ სირბილით სვლა და მალე შევეფარებოდით იმ მთას, სადაც ჩვენი ნაწილი იდგა, ანდა ისევ ხევში ჩასვლა, დავიბენით... ზალპი, ტყვიები... ჩქარა, ყველანი ხევში ჩაცვივდით, იყო ფერშალ შონიას განკარგულება და ყველანი პირდაპირ გადავეშვით ხევში... ძირამდე სულ კოტრიალ-კოტრიალით ჩავედით, მხოლოდ ეხლა შევნიშნეთ, რომ ფერშალი შონია დაჭრილია ხელში, მეორე ფერშალი ისე ჩუმათ უხვევდა, მათ არ უნდოდათ ჩვენ გაგვეგო"...

გოგონებს ტყვია თითქოსდა ზოგავდა თუ „უფრთხოდა" კიდეც. სროლის შეწყვეტამდე ცოტახანს ჩაუმუხლიათ კიდეც ამ ჯოჯოხეთურ წუთებში... და „რამოდენიმე წუთის შემდეგ ჩვენ შემოგვიერთდნენ ხევიდან ხევ-ხევ ქვეით მომავალი ქალი და კაცი. ესენიც თურმე ხაზზე მიდიოდნენ, ჩვენზე წინ იყვნენ, ველარ გაუძლეს სროლას და ჩვენსავით ხევს ჩაეშვნენ. ესენიც ჩვენთან დასხდნენ, ქალი საშუალო ტანის, თაფლისფერი თმები, ხორბლისფერი სახის ქალი ქართული წყობით და ძალიან სევდიანი მუქი თვალებით. დიდხანს მომჩერებოდა, ყურს უგდებდა ჩემს ლაპარაკს. მე ვუხდი და ვჩიოდი ზურგჩანთა არ მაქვს და ესე აბა რა გავაკეთო, ეს ჯიბეები მალე დამეცლება და დავრჩები ხელცარიელი... ეს იგივეა, ჯარისკაცი გაუშვა ომში უთოფოთ მეთქი.

— მაშ თქვენ ფიქრობთ მაინც წახვიდეთ წინ? — შემეკითხა ის.

— რასაკვირველია, — იყო ჩემი პასუხი.

— მოდით აქ, — დამიძახა მან. მიუახლოვდი, ის ჩემზე ბევრად უფროსი იყო 22-23 წლის იქნებოდა. მოიხსნა ზურგიდან ჩანთა და გამომიწოდა, წაიღეთ ჩემი ჩანთა, მე ძალიან ცუდად ვგრძნობ თავს და მინდა უკან დავბრუნდე. თქვენ კი წინ მიხვალთ, დაგჭირდებათ, შიგ ყველაფერია, რაც კი თქვენთვის საჭირო იქნება, როცა უკან მობრუნდებით, მომიტანეთ, ტაბახმელაში გზის პირასაა ჩვენი წითელი ჯვრის პუნქტი. იკითხეთ მარო მაყაშვილიო".

ასე შეხვდა ერთმანეთს ტყვიების წვიმაში სამი ქართველი ქალიშვილი, სამი მარო... ის დღიდან მოყოლებული მარო აბრამიშვილი და ის ზურგჩანთა განუყრელნი იყვნენ, რადგან დაბრუნებისას ტაბახმელაში რომ მიუკითხავს, მარო იქ აღარ დახვედრია...

ორი დღე მარჯვენა და მარცხენა ფრთა კარგა მანძილზე იყო დაშორებული ერთმანეთს, თანამშრომლებს გოგონების ბედი აწუხებდათ, ხმა გავარდა, რომ დაიღუპა სათნოების და, სახელად მარო...

„კოჯორი გამოვიარეთ, მოვადექით ტაბახმელის ნაცნობ მთას, აქ უკვე მეორე მხრიდან მარცხენა ფრთის ჩვენი ნაწილიც შემოგვიერთდა, რომელიც ორი დღე ცალკე იყო. მათი გამოჩენისთანავე შეიქმნა მათში ჩოჩქოლი და შეძახილები „ცოცხლები არიან, ცოცხლები, ვაშა, ვაშა ჩვენს ქალებს. ყველა გახარებული ჩვენსკენ მორბის, თოფები და ხელები ზევით აქვთ აწეული, მოვლენ, ხელს ჩამოგვართმევენ და გვილოცავენ მხოლოდ ჩვენ, ქალებს, სხვას არავის... ჩვენ კი დარწმუნებული ვიყავით ორში ერთი იქნებოდა დაღუპულიო"....

შემდეგ კი გაიგეს, რომ ოთხთვალას დაჭრილები მიყავდა თბილისში. დაჭრილებს კი მიყვებოდა თურმე ერთი სათნოების და მარო მაყაშვილი, თბილისის თავზე ბოტანიკურ ბაღთან დასცემია მოწინააღმდეგის მიერ გასროლილი ყუმბარა, რომელსაც ნაფლეთებად უქცევია როგორც ოთხთვალა, ისე დაჭრილები, მარო მაყაშვილიც დაიღუპაო. ჩვენ თქვენი გვარი არ ვიცოდით და გადავწყვიტეთ, რომ ორში ერთი იქნებოდითო...".

მარო აბრამიშვილი შემცბარა... „მინდოდა მომეგონა ეს ნაცნობი სახელი და გვარი, ვერ მოვიგონე. უცებ ჩანთას ვიტაცე ხელი, გავხსენი, გადაუშლე ბალთები და ჩანთის პირისფერ სარჩულზე ქიმიური ფანქრით მინაწერი — მარო მაყაშვილი — ამოვიკითხე. ძალიან შევწუხდი, მათაც უამბე ჩვენი გუშინწინდელი დილით გაცნობის ამბავი და მიუთითე იმ ხევზე, სადაც იგი გავიცანი და რომელსაც ეხლა ზევიდან დავცქეროდით, უთხარი, რომ აი ეს ჩანთა და მაკრატელი მისია — დავიფიცე, ეს მაკრატელი ვიდრე ცოცხალი ვარ, ჩემთან იქნება.

დღეს უკვე 23 თებერვალია, მეორე დილით ბრძანებაა პოლკი დაბრუნდეს უკან თბილისში და შემდეგ კახეთის ხაზზე გაემგზავრებაო.

ტაბახმელიდან ბოტანიკური ბაღის თავამდე სულ ცეკვითა და სიმღერით ჩამოვედით, აქ შევიცადეთ, თბილისიდან სასულე ორკესტრი, პოლკის დიდი დროშა და პოლკოვნიკი თუმანიშვილი მოგვეგებნენ. უშველებელი ალამი, რომელზეც წმინდა გიორგი იყო ოქროს ასოებით დიდად ამოქარგული, ჰაერში ფრიალებდა, ორკესტრი საქართველოს ჰიმნს „დიდებას" უკრავდა. გამარჯვებულთა შესანიშნავი სურათი იყო"...

ხშირად ახსენებს მ. აბრამიშვილი მოგონების ფურცლებზე მაყაშვილისეულ ჩანთას, რომელმაც დიდი სამსახური გაუწია, ხოლო მაკრატელი მოგვიანოდ მაინც დათმო — მაყაშვილების ოჯახს გადასცა თურმე და დიდი განცდით უყვებოდა ყველას (განსაკუთრებით სიცოცხლის ბოლო წლებში) თავის თვენახევრიანი ლაშქრობისა და მარო მაყაშვილის ღვთისმშობელივით გამოცხადების ამბავს...

...თითქოს საწინდარივით გადასცა მარო მაყაშვილმა სეხნიას თავისი ჩანთა (იქნებ საკუთარი ხელით შეკერილიც, ქიმიური ფანქრით ნაწერიც ნიშნეულია). თითქოს ამით გაგრძელდა მისი ბრძოლა აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ, ვიდრე გურიამდე, ბრძოლა და სიცოცხლე საქართველოსათვის, რომელსაც გულზე დააჩნდა იარად საუკეთესო შვილის სიკვდილი, რამაც თავი იჩინა გამოსათხოვარ სიტყვებში, ლექსებში და როგორც ძმამ, ბატონმა შალვა მაყაშვილმა ბრძანა, ოპერა „დაისშიც".

— მაგონდება ზაქარია ფალიაშვილი რომ მოვიდა მამასთან და უთხრა, შენი მაროს სიყვარულით დავარქვითო მე და ვალერიან გუნიამ მთავარ გმირს მარო...

ალექსანდრე ქუთათელის რომანზეც ამბობენ — „პირისპირ" მაყაშვილების ოჯახზეაო, ნინოს მაროსთან — აიგივებენ...

— ამბობენ, — დინჯად მპასუხობს ქალბატონი ნუგეშა მაყაშვილი...

...ვინ იცის, კიდევ რამდენ საიდუმლოს აეხსნას პირბადე ამ მშვენიერი სახელის ირგვლივ...

**ნანა ღვინეფაძე.**

* იხ. გაზეთი „კომუნისტი", 1990 წ. 18.II. № 43.

## კულტურა

### ფრიდონ ხალვაში

# ახალი ლექსები

* * *

ახლა გამოჩნდა
ვინ ვისთან არის,
ვინ საით ილტვის,
ვის რა აღელვებს.
სულ მალე ერის
მძლე სამართალი
დაახარისხებს ახალ სახელებს.

* * *

ერთიმეორის რომ შეგვეძლოს
უკეთ გაგება,
განცდა, გატანა, პატიება
და თანადგომა, —
რა უნდა გვიყოს შურმა, მტრობამ,
თუ გინდა ომმა?!

* * *

მიყვარს სიმღერა,
წინაპართა მიერ ნამღერი,
ჟამთა უჟმურში
ჩაბეჭდილი ხმები წინაპრის.
ექო ამ ხევის, დუბეების,
ამ მთის, ამ ღელის,
გულმა იმღეროს, იმეოროს,
მარად ინატროს.

* * *

გაღვიძებული ტაძარი სხალთის,
წუხს ოთხასი წლის ღამისმთეველი,
მიწას დამეწყრილს, ჭრილობა — ღარდას
უხვევს სანთელთა სინათლეებით.
იქით, კლდის გულში, მღვიმე — მარანში,
თიხის ჯამებში გულებს გადავშლით.

* * *

თუ „ნაციისგან" „ნაციონალიზმს"
ამბობთ, ქართულად რაღა გამოვა?
მწამს, ჩვენებურად თარგმანი ამის
ნიშნავს „ერსა" და „ერისკაცობას".

მაშინ, ვუთხრათ ძმას, უფროსს თუ უმცროსს,
რომ სიტყვა — ერი ჩვენი სულია.
და ჩვენ საკუთარ ხალხის სიყვარულს
ნურვინ ჩაგვითვლის სხვის სიძულვილად.

* * *

ჩვენს სიღარიბეს და ჩვენს მონობას,
არა კვნესა ან სიტყვა უშვერი,
არამედ შრომა,
შრომა უშველის.

* * *

გაჩენის დღიდან მე ეს მთაბარი,
გულნაღვლიანი, სულ მეუბნება:
ამ ცხოვრებაში ყოვლად მთავარი
არის სამშობლოს თავისუფლება.

როდის ყოფილა ბრძოლა ამდენი,
ლოდინს ამდენი როდის შევწირეთ?!.
ასე მგონია, დღეს საქართველო
თავისუფლებით არის ფეხმძიმე.

* * *

ვიცი, რომ ლექსი
მუდამ იყო სიბრძნის ძიება,
ვიცი, რა განძიც გვაძებნინა
ნიჭმა ძლიერმა...

შოთას, გოეთეს, ხაიამისგვარი
მგოსნები?
ათასწლეულში ალბათ
ერთი თუა მომსვლელი.

მაგრამ ჩვენ, ვინაც ცოდვისმთესველთ
გადავეყარეთ,
მაგრამ ჩვენ, ვისაც არასოდეს
გვიღებდნენ კარებს,
თუმცა პარნასზე არ ავუშვით ერთიმეორე,
გაჭირვებულნი გაჭირვებას
მაინც ვეომეთ.

* * *

ვეფხისტყაოსნის პატრონ ხალხის
ვმაღლობ შვილობით,
ომსაც ვპასუხობ ზოგჯერ მშვიდობით.
ვგრძნობ, მტრული თვალი
ბევრი მესობა,
მაგრამ მოძულეს მოვიფერებ
კეთილ მეზობლად.
და თავს კი არა,
ხშირად ვხედავ, სხვასაც ვჭირივარ,
ვეფხისტყაოსნის პატრონ ხალხის
რადგან შვილი ვარ.

* * *

ძმაო, სამშობლოს
თუ რითიმე მიეშველები,
უმთავრესია გყავდეს შვილები.

### გაკვეთილი

დამოუკიდებლობა, უპირველეს ყოვლისა,
ნიშნავს, რომ ქართველობა
იხსნის უღელს მონისას
და პასუხისმგებლობას
თავისთავის მოვლისას
იდგამს უღლად, —
იაროს, ვითარც ოდეს უვლია.

არ მოთხოვოს პური რუსს,
ამერიკას, ევროპას...
დამოუკიდებლობა, უწინარეს ყოვლისა,
საკუთარი პურია.

* * *

გემზე „დავით აღმაშენებელი"
მინდა ვინატრო:
— როგორც ეს გემი,
უსაყვარლესი მამული ჩემი,
თავისუფალი და სასახელო,
უჭკვიანესი თავის კაპიტნით,
თავისი კურსით და ბედის უღლით,
მსოფლიო ზღვათა ზვირთების ზურღვით,
თავის გზას ადგეს. —
თვით საქართველო!

* * *

ლოცვას ძველქართულს
ამბობს წყარო
ხევში, კენჭებზე...
სოფელი ვიცან.
მინდა შევჩერდე...
მოითხოვენო აქ ბებრები
ისევ მეჩეთებს.
მე ვამბობ:
არსად, არასდროს, ვგონებ,
არ უთხოვიათ ბორკილი მონებს.

* * *

ის ნანყევარი, დელი წლები,
ბნელი ცხენებით
მოჩვენებებში მომაჭენებენ...
და ვამბობ მაინც,
უთვალავჯერ განაწყენები:
ის ტკივილია ამ ტკივილის
მომარჩენელი.

* * *

მთაში აჭარა ძველქართულად უბნობს
და უფრო
რუსთველურ სიტყვებს ხმარობს
ახლაც თავის საუბრად.
შოთას დარგული სიბრძნის ხილი
ვერვინ მოლია.
ჩვენებურია კაცი, ვინაც
ქვეყნის ტოლია.

* * *

ლექსი მართალი
იყო სარდალი
მუდამ ქართული გულის და სულის.
ტლუ და ქილიკა
არ მწამს ლირიკა,
რომ არ ანაღვლებს
აწმყო, წარსული.



შემოვლენ როკვით ქვალადცა ვარდნი...

ედუარდ ბიგილაშვილის ფოტო.

# სტუმრები ამომავალი მზის ქვეყნიდან

— **საჭიროა** უფრო ხშირი ურთიერთობა, რათა უკეთ გავიცნოთ ერთმანეთი, — ასე მიაჩნია ქალბატონ ხარიკო კაკოს, რომელიც შეთაურობს იაპონიის დელეგაციას ამ ქვეყნის კულტურის დღეებზე საქართველოში. იგი მერვედაა საქართველოში და ყოველი ჩამოსვლისას ძლიერდება ინტერესი ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ნიჭიერი ხალხის მიმართ. დელეგაციის შემადგენლობაში შედიან სახალხო მეურნეობის მოწყობის, ეკონომიკის, არქიტექტურის, კომპიუტერული ტექნიკის კომპეტენტური სპეციალისტები, მეცნიერები — ენათმეცნიერები, სოციოლოგები, ჟურნალისტები. როგორც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემის მთელ რიგ ინსტიტუტებში, ასევე უმაღლეს სასწავლებლებში მათ მიერ წაკითხულმა ლექციებმა გამოიწვია დიდი ინტერესი, დაისახა მეცნიერებისა და ტექნიკის ამა თუ იმ დარგში კონკრეტული თანამშრომლობის გზები.

იაპონელი სტუმრები ეწვივნენ საქართველოს ძველ დედაქალაქს მცხეთას, დაათვალიერეს მის რაიონში მიმდინარე არქეოლოგიური გათხრები, ქალაქ-მუზეუმის ღირსშესანიშნაობები, იყვნენ თელავში, სადაც შეხვდნენ რაიონის მშრომელებს, გამართეს კონცერტი. თბილისის ღირსშესანიშნაობათაგან მათზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ჯანაშიას სახელობის მუზეუმმა და ხელოვნების მუზეუმმა, ხელნაწერთა ინსტიტუტმა. თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა პედაგოგიურ ინსტიტუტში სტუმრებმა წაიკითხეს ლექციები, უჩვენეს სამეცნიერო-პოპულარული ფილმები იაპონიის თანამედროვე მიღწევებზე.

* * *

**საქართველოში** მიმდინარე იაპონური კულტურის დღეები, იმედია, ურთიერთკავშირის გაღრმავებისა და განმტკიცების საწინდარი გახდება. დღეს კი, „კომუნისტის" მკითხველებს ვთავაზობთ თანამედროვე იაპონური პოეზიის ნიმუშთა თარგმანებს. იქნებ, სხვა პოეტურ ტრადიციებზე აღზრდილ მკითხველს ეუცხოოს კიდეც წარმოდგენილ ლექსთა ფორმა, მაგრამ იაპონიაში თავისუფალი ლექსი საყოველთაოდ აღიარებული გახლავთ — ცოცხალი ენა მოქნილი, ემოციურად დატვირთულია და ლექსიც სალაპარაკო ენაზე უნდა ითხზვებოდესო. ძველისა და ახლის, „საკუთარისა" და „უცხოს" მაგიური სინთეზის წყალობაა იაპონური თავისუფალი ლექსი — გენდაისი. სწორედ გენდაისის სათავეებთან იდგნენ ცუბოი სიგეძი, მურო საისეი და ტაკამი ძიუნ. ახლა ტაკამისა და მუროს სახელობის პრემიები ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ ლიტერატურულ ჯილდოდ ითვლება იაპონიაში. ტანიკავა სიუნტარო კი მათი ღირსეული მემკვიდრეა და ომის შემდგომი თაობის გამოჩენილი პოეტი.

### ტაკამი ძიუნ

## დაშრობილი ზღვის მონაკვეთი

ამ დაშრობილ მონაკვეთზე
მყარ ნიადაგს ვერასოდეს
ნახავ —
მუდამ ნოტიოა, ნოტიო
და შიშველი.
აქ ცხადად იგრძნობა
მიწაში ცოცხლად დამარხული
ზღვის სიჯიუტე.
თუმცა
აქაურობა დღემუდამ
ალუფხული,
უსახური სანახავია,
მაგრამ მაინც,
რა მომხიბლავია
ზღვის ბორგნეული სიჯიუტე.
ამ დილით კი,
მიწაზე,
ჩაელილ წვიმას ქაობად
რომ ექცია,
ნაკვალევი შევამჩნიე
ვილაც ყმანვილს
გაევლო ეს სახიფათო ადგილი...
რა მომხიბლავია
იმ ყმანვილის სიმამაცე!
რა ჯიუტი ყოფილა!
მერე და მერე ნაკვალევი,
ორმოებს რომ ჰგავდა,
ზღვისკენ მიემართებოდა
და წყალში დაიკარგა.

### ცუბოი სიგეძი

## ჭოგრიტი

ცის მაგიდაზე
გადაშლილი წიგნი დევს.
ნეტა რა წერია
იმ სქელტანიან წიგნში?
არ ვიცი —
შორია ცის თაღამდე.
ჩემი ჭოგრიტი
ვილაცამ ხელს გააყოლა.
მზეო, მათხოვე სათვალე!
ძვირადაც რომ დამიჯდეს,
უნდა წავიკითხო ის წიგნი.

დღე გაილია,
ციდან ღამე დაეშვა.
წყვდიადში ვარსკვლავები
აკიაფდა.
ამოცურდა მთვარე,
მაგრამ ცის მაგიდაზე
გადაშლილი
იდუმალი წიგნის გვერდები
ჩაშავებულა,
არ იკითხება.

ალბათ მთელი ღამე უნდა
ვიცადო,
სანამ ახალი ვარსკვლავები
აკაშკაშდება,
არა, ვარსკვლავები კი არა,
მზე არ ამობრწყინდება
იმედად!

### მურო საისეი

## მთის ვიწრობებში

ნეტა რას წერდა?
ვინმეს თვალი რომ არ
შეესწრო,
ხელისგულს აფარებდა
მჭიდრო ნაწერს.
ქაღალდის კოხტა ფურცლებს
ასოებით გაავსებდა და
მერე ნაკუწებად დახევდა...
მაინც
ასე საიდუმლოდ რას წერდა
ყოველდღე?
არავინ იცის,
ვერც შეიტყობ, თავიც რომ
მოიკლა!
იმ ციცქნა ასოების
თავმოყრა რო შეგვძლებოდა
კიდეც,
მაინც ვერაფერს გავუგებდით,
ვერც ხმას გავიგონებდით,
ვერც დავინახავდით.
მაგრამ ის ასოები გუნდად
რომ მომდგომოდნენ,
იქნებ
ხელახლა დავბადებულიყავი და
სულ სხვანაირად დამეწყო
ცხოვრება,
აზრი არა აქვს ძახილს!
გაქრნენ ასოები
და აღარასოდეს დაბრუნდებიან!
კვალიც არსად ჩანს.
ახლა ისინი,
ალბათ, მთის ვიწრობებში
ღრუბლებად დგანან.

### ტანიკავა სიუნტარო

## ასაკი

სამი წლისას
წარსული არ მქონდა.

ხუთისას —
ჩემს წარსულს
გუშინდელი დღე ერქვა.

შვიდისას —
ჩემი წარსული
სამურაების ეპოქა იყო.

თერთმეტისას —
ჩემს წარსულში
მარტო დინოზავრები
სახლობდნენ.

თოთხმეტისას —
წარსული სახელმძღვანელოებში
მოთხრობილს ჰგავდა.

თექვსმეტისას —
შიშით შევცქერდი
წარსულის მერყევ კონტურებს.

თვრამეტისას —
დრო ამერია..

თარგმნა
**ჯაბა ასათიანმა.**





თანამედროვე იაპონური გრავიურა. ნობუია იინოს „ქალიშვილი ბრინჯის ყანაში" და მიკუმოს „ველზე".

## დიდებით მოსილი სახელი

**შოთა** რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ინიციატივით, ლიტერატურის ინსტიტუტის სხდომათა დარბაზში გაიმართა — აწ ტრადიციულად ქცეული — კორნელი კეკელიძის დღე.

ამგვარ შეკრებებს თითქმის ოცდაათი წლის წინათ ჩაეყარა საფუძველი. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ აქ წაკითხული მოხსენებები არ შემოიფარგლება მხოლოდ ლიტერატურის ისტორიით სიმბოლურად, ეს დიდი მეცნიერის მრავალმხრივი ნაღვაწის, ენციკლოპედიური ცოდნის პატივისცემად აღიქმება.

მოხსენება — „რუსთაველისეული „დღე აღვსებისა" და მისი ბიბლიური პარალელები" წაიკითხა შ. რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა მ. კარბელაშვილმა, რომელმაც მსმენელთ გააცნო რუსთაველისეული სტროფის — „მოედანს დავდგი კარვები წითლისა ატლასებისა, მოვიდა სიძე, გარდახდა, დღე, ჰქვანდა, არს აღვსებისა..." — მისეული ინტერპრეტაცია. მან ეჭვის ქვეშ დააყენა ბეჭდვით გამოცემებში კონიუნქტურული სიტყვათა შეხამება „არს აღვსებისა" და ბიბლიური მაგალითების მოშველიებით შეეცადა დაემტკიცებინა, რომ ხელნაწერებისეული „არ აღვსებისა" უფრო მისაღებია.

დარბაზში მყოფი სპეციალისტები სხვადასხვანაირად შეხვდნენ ამ მოსაზრებას და გაიმართა ნამდვილი, მეცნიერული პაექრობა.

პროფესორმა კ. დანელიამ მოხსენებაში „კორნელი კეკელიძის ნაზრევი ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხებზე" კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი დიდი მეცნიერის დამსახურებას სალიტერატურო ქართული ენის კვლევის საქმეში.

აუდიტორიამ ინტერესით მოისმინა კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლის ნ. ჩხიკვაძის მოხსენება „ავგაროზის" აპოკრიფის ქართული რედაქციები".

შეხვედრის შემდეგ ამ ტრადიციული დღის მნიშვნელობაზე გვესაუბრა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი ს. ცაიშვილი:

— კორნელი კეკელიძის დღე მიზნად არ ისახავს მხოლოდ დიდი მეცნიერის სახელის, მისი ნაშრომისა და ნაღვაწის გახსენებას. ამ დღეს გაცილებით მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია, რადგან აქ წაკითხული მოხსენებები გვახსენებს გზას, რომელიც ქართულმა ფილოლოგიურმა მეცნიერებამ გაიარა 1962 წლის შემდეგ, ე. ი. ქართული სალიტერატურო მეცნიერების მესაძირკვლის გარდაცვალების შემდეგ. აქ გამოტანილი მოხსენებები თვალნათლივ გვიჩვენებენ ჩვენს აღმავლობას თუ დაკნინებას. სასურველია, სამომავლოდ ამ შეკრებისათვის გამოგვენახა სხვა ფორმა, რათა უფრო მრავალფეროვანი და მრავლის მომცველი გახდეს ქართული მეცნიერების პატრიარქის დღე.

**ბელა ნატროშვილი.**

# პარიზელები ეცნობიან

### თანამედროვე ქართული ხელოვნების გამოფენა

**გასული** წლის სექტემბერში თბილისში ჩატარდა სახვითი ხელოვნების კრიტიკოსთა საერთაშორისო ასოციაციის „აიკას" XXIII კონგრესი. ეს ავტორიტეტული გაერთიანება დაარსდა 1948 წელს და მოქმედებს იუნესკოს ეგიდით.

„აიკას" გენერალურ მდივანს ქალბატონ ლეონა დე ლა გრანვილს დაებადა იდეა, ეზიარებინა პარიზელები თანამედროვე ქართული ხელოვნებისათვის.

სასიამოვნოა ჩვენთვის, რომ პარიზში გამოფენის მეცენატია ფრანგული ფირმის „არის ნინოს" პრეზიდენტი, საფრანგეთ-საქართველოს ერთობლივი ფირმის „არის-თბილისის" გენერალური დირექტორი შალვა თაყაიშვილი. სწორედ მისმა ფირმამ იკისრა გამოფენასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი.

ბატონ შალვა თაყაიშვილის შემწეობით ქალბატონი გრანვილი ესტუმრა თბილისს დაგეგმილი გამოფენისათვის ექსპონატების შესარჩევად. მას თან ახლდა პარიზის მონა ბისმარკის ფონდის კულტურულ პროგრამათა რეჟისორი მონიკა დონამი.

გამოფენა გაიხსნა პარიზელთათვის კარგად ცნობილ მონა ბისმარკის კულტურულ ცენტრში 25 აპრილს და გასტანს 29 მაისამდე. გამოფენაზე წარმოდგენილია ახალგაზრდა ქართველი მხატვრების — ლევან ჭოღოშვილის, გია ბუღაძის, ლუკა ლასარეიშვილის, ილია ჩიტაძის, აკაკი რამიშვილის, მამუკა და მაია ცეცხლაძეების, აგრეთვე კერამიკოსების ნინო ციციშვილის, ალექსანდრე კაკაბაძის, ლალი ქუთათელაძისა და მალხაზ შველიძის ნამუშევრები. ეს ექსპონატები ნათლად აჩენენ თანამედროვე ქართული ხელოვნების განვითარების ობიექტურ სურათს.

**სტეფანე თარხნიშვილი.**

# იყალთოს ტაძარი

# ანთებს სანთლებს

**იყალთო!** — ჩვენი ძველთაძველი ქართული სოფელი, კულტურის კერა. დღესაც ატყვია მის წმინდა მიწას „ნათთი ძველი დიდებისა" ტაძრებისა და მონასტრების, აკადემიის ნანგრევების სახით. მოდიან სტუმრები, შინაურნი თუ უცხოელი, და გვემატება მათთან საუბარი ჩვენს სახელოვან წარსულზე, ისტორიაზე. მეოთხედ საუკუნეზე მეტია აკადემიის ნაფუძვარზე ხალხმრავალი დღეობა იმართება ხოლმე... მის ტერიტორიაზე მდებარე VIII-IX საუკუნეების „ფერისცვალების" ტაძარი, ანუ, როგორც ადგილობრივი მოსახლეობა უწოდებს, ღვთაება-ამაღლება, კარგა ხანია დუმდა...

იყალთო!
„აქ ჭაბუკ შოთას ხმა ისმის!".
ვინ იცის, რაზე ფიქრობდა.
როცა წერდა:
„ჰე, ღმერთო ერთო, შენ შეჰქმენ
სახე ყოვლისა ტანისა,
შენ დამიფარე, ძლევა მეც
დათრგუნვა მე სატანისა,
მომეც მიჯნურთა სურვილი,
სიკვდიმდე გასატანისა,
ცოდვათა შემსუბუქება,
მუნ თანა წასატანისა".

იმ დღეს კი, მართლაც, უჩვეულო დღე იყო იყალთოში: დიდი ხნის დუმილის შემდეგ კვლავ აღდგა, ახალი სიცოცხლე შეიძინა იყალთოს ღვთაება-ამაღლების ტაძარმა. თელავის მომღერალ გოგონათა ჯგუფის შესრულებით ისმის ძველი გალობა, ეკლესიას აკურთხებენ მისი მაღალ ყოვლადუმღვდელესობა ალავერდელი მიტროპოლიტი გრიგოლი, თეთრი წმინდა გიორგის წინამძღვარი დეკანოზი ალექსი, ამიერიდან იყალთოს ღვთაება-ამაღლების მონასტრის წინამძღვარი ზენონი (ზაურ მანოშვილი იყალთოელი გახლავთ)... დიდძალი მრევლი ესწრება ცერემონიალს, სიხარულს ვერ ფარავენ საპატიო ატლანტილი სტუმრები ამერიკის შეერთებული შტატებიდან. მოქმედ ტაძარს საფუძველი ჩაეყარა ჯერ კიდევ შარშან, როცა იყალთოს ეწვია სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II და გაიმართა შეხვედრა-დიალოგი. მაშინ გამოითქვა აზრი, რომ აღდგეს აკადემიის ძველი შენობა, რომ კულტურის ძეგლთა დაცვის სამმართველოსთან ერთად მის შეკეთებაში მონაწილეობას მიიღებს საპატრიარქოც. მანამდე კი ძველ ტაძარში მოწყობილი ექსპოზიცია სოფლის კულტურის სახლში გადაიტანეს: ელისო მაყაშვილის სამხატვრო გალერეას დაამშვენებს აკადემიის ნაფუძვარზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული უნიკალური ნივთები, ცნობილ მეცნიერთა, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა წიგნები ავტოგრაფებით, ირაკლი ოჩიაურისა და კობა გურულის ლითონმჭანდაკებლობა, ლადო გუდიაშვილის, უჩა ჯაფარიძის, ელგუჯა ამაშუკელის ნამუშევრები, გზაზე ამოკვეთილი რუსთაველი და „ვეფხისტყაოსნის" სიუჟეტი, რომელიც გვაჩუქა დასავლეთუკრაინელმა ასთალოშმა, იყალთოს შოთა რუსთაველის სახელობის სახალხო უნივერსიტეტის 27 წლის მანძილზე მუშაობის ამსახველი მასალები და სხვა.

სულ მალე ღვთაება-ამაღლების ეკლესიის თავზე აღიმართება ჯვარი, ჩამოეკიდება ზარიც. თეთრი ფენა მოეცლება ტაძრის შიდა კედლებს. ფრესკების მოხატვის სურვილი გამოთქვეს თბილისის სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებულებმა.

მალე ახალ ღონისძიებებს ვაპირებთ ამ წმიდათაწმიდა ადგილას: „ჩვენ და ეკოლოგია", „გმირნო მამულის მადიდნო" — ასეთი იქნება თემატური შეკრება, რომელიც მიეძღვნება ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას ხსოვნას. თავის ადგილს დაიკავებს ჩვენი „რუსთველიანა". სასულიერო მსახურნი და სახალხო უნივერსიტეტი ერთობლივად მოვაწყობთ დიალოგს „ჟამი, ეკლესია, მრევლი" და ა. შ.

დიახ, დღეს, ამ რთულ და დაძაბულ ხანაში, ეჭვთად უნდა ვიყოთ ერიცა და ბერიც, ვისაც საქართველოს დამოუკიდებლობა-თავისუფლება სურს, ვინც მისი ნათელი მომავლისათვის იღვწის.

**გიორგი შათირიშვილი,**
იყალთოს შოთა რუსთაველის სახელობის სახალხო უნივერსიტეტის რექტორი.

თელავის რაიონი.

(საქინფორმი).

## კონტაქტები

[illegible]



გაზაფხულის შემდეგ.



სიმონ კილაძის ფოტო.

# ას ხუთი დღე ამერიკელთა „ტყვეობაში“

### ოტავიდან შარლოტამდე ნიუ-იორკის გავლით

[illegible] ეტებ ქალაქებში აკლიმატიზაციის საშუალებაც კი არ გვქონდათ...

— გასტროლი ზოგს სულის მოსალხენი გასეირნება ჰგონია, — სცდებიან. ეს უდიდესი და უმძიმესი დატვირთვაა როგორც მორალური, ისე ფიზიკური თვალსაზრისით. განსაკუთრებით გაგვიჭირდა კანადაში, 40-გრადუსიან ყინვაში, სადაც ჩვენი სამუშაო დღე დილის 7 საათზე იწყებოდა. მარშრუტი კი ისე იყო შედგენილი, რომ ქალაქიდან ქალაქში 8—10-საათიანი გადასვლები გვქონდა. ანსამბლის წევრებმა და დირექტორმა ალეკო ლორთქიფანიძემ ყოველი ღონე იხმარეს საკონცერტო სპექტაკლების მაღალ დონეზე წარმოსადგენად. აკი აღნიშნა კიდეც კანადურმა გაზეთმა „ედმონტონ ჟურნალმა“: „გუშინდელ კონცერტზე მომღერლებისა და მოცეკვავეების მიერ წარმოდგენილი ურთულესი მასობრივი სცენები შექმნილია იმისათვის, რომ მაყურებელი გააოგნონ, რასაც ანსამბლის წევრები დიდებულად ახერხებენო“.

ჩვენ შევეცადეთ სიუიტები ისე აგვეგო, სიმღერა და ცეკვა ბუნებრივად შერწყმულიყო ერთ მთლიანობაში, და თუ ეს ეფექტურად მოხერხდა, ამაში უთუოდ დიდია ქორეოგრაფ ფრიდონ სულაბერიძის წვლილი. მისმა თავდადებამ, პროფესიის ფანატიკურმა სიყვარულმა განაპირობა წარმატება. რეცენზენტები აღნიშნავდნენ, რომ სხვა ანსამბლებისაგან განსხვავებით ფრიდონ სულაბერიძის ნიჭის წყალობით მოცეკვავეთა ანსამბლი ახერხებს ქართული ტრადიციებისა და თანამედროვე გემოვნების ულამაზესად შერწყმასო. კანადის ცენტრალური გაზეთი „ოტავა სიტიზენი“ წერდა: „საქართველო ულამაზესი მთა-გორიანი ქვეყანაა, ნუთუ ასეთი მდიდარი ფოლკლორი, ასეთი დიდი ხელოვნება მარტო სუფთა ჰაერისა და მთიანი ბუნების შედეგია? არა, ეს მომნუსხავი სიმღერები და ცეკვები ქართველებს საუკუნეთა მანძილზე გენებში აქვთ. დიახ, ასეა, ეს დაადასტურა „რუსთავმა“, რომელმაც მრავალსაუკუნოვანი ტრადიციული ხელოვნება ურთულესი და ულამაზესი პროგრამის სახით ერთი ამოსუნთქვით წარმოგვიდგინა, რითაც მაყურებელს სახსოვრად დაუტოვა უდიდესი შთაბეჭდილება“.

პრესა იმასაც აღნიშნავდა, ქართული ხალხური მუსიკა ევროპისა და აზიის მუსიკის საძირკველიაო.

**— თქვენი მოგზაურობა დაემთხვა რუსთაველის სახელობის თეატრის გასტროლს...**

— დიახ, ნიუ-იორკში ჩასულებს იქ დაგვხვდა რუსთაველის თეატრი, რომელსაც უკვე გაემართა ერთი სპექტაკლი. სასტუმროშივე გვაცნობეს მათი წარმატების ამბავი. ძალიან გავიხარეთ. მეორე დღეს ჩვენ და რუსთაველელები ერთმანეთის პარალელურად გამოვდიოდით. პრესამაც და ჩვენმა კეთილისმსურველებმაც აღნიშნეს, ქართველები თავიანთ კულტურის დეკადას მართავენო ნიუ-იორკში.

რობერტ სტურუას შევხვდით ჩიკაგოშიც. აქ გასტროლებზე იყო ვახტანგოვის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი „ბრესტის ზავით“. ჩვენ ერთ შენობაში გამოვდიოდით. ფოიეში იყო სარეკლამო სტენდი, რომლის ერთ მხარეს გამოკრული იყო ფოტოები და რეცენზიები ანსამბლის შესახებ აწერით „ქართველების განსაცვიფრებელი ხელოვნება“, „ფანტასტიკური სპექტაკლი საქართველოდან“, მეორე მხარეს კი [illegible]

[illegible] მა არაჩვეულებრივი ძალით გაიჟღერა, და როცა საქართველოს ხელოვნებას ღვთაებრივს ადარებდნენ, ვახტანგოველთა სპექტაკლს პოლიტიკურ ბომბს უწოდებდნენ. რეცენზენტები იმასაც აღნიშნავდნენ, რომ რობერტ სტურუამ შეძლო მაშინდელი პოლიტბიურო წარმოედგინა შეუნიღბავი სახით. მისი რეჟისორული ხელოვნება კი მსოფლიოს საუკეთესო რეჟისორებისას გაუტოლეს.

ანსამბლის კონცერტებს დაესწრო მსოფლიოში აღიარებული ფოლკლორისტი ალან ლომაქსი, რომლის თქმით „საქართველო მსოფლიოს ხალხური მუსიკის დედაქალაქია“. მისი სურვილია, შემოიაროს ქართული სოფლები და ფირზე აღბეჭდოს ჩვენი სიმღერები და ცეკვები.

არასოდეს დაგვავიწყდება დალასი. ქალაქის მუნიციპალიტეტმა ქართველ ხალხთან პატივისცემისა და მეგობრობის ნიშნად 29 მარტი „რუსთავის“ დღედ გამოაცხადა!

9 აპრილს ნიუ-იორკში ვიყავით. ცხადია, გულგრილნი ვერ ვიქნებოდით ამ თარიღის მიმართ. ქართული ემიგრაციის დახმარებით უკრაინულ მართლმადიდებელ ეკლესიაში პარაკლისი გადავიხადეთ, რომელსაც ესწრებოდნენ ქართული ემიგრაცია და ჩვენი საპატრიარქოს მიერ იქ სასწავლებლად გაგზავნილი ახალგაზრდა ლექსო თანდილაშვილი. მან მნიშვნელოვანი ფაქტი გვამცნო: თურმე იქაურ სამღვდელოებას ეკლესია გამოუყვია და შაბათ-კვირას ლექსო ქართული ემიგრაციისთვის წირავს. პარაკლისის შემდეგ ეკლესიის წინ შევასრულეთ პატრიოტული სიმღერები. მოძრაობა შეჩერდა, ჩვენთან უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი, ყველამ გაიგო ჩვენი საწუხარი. არც აღდგომის აღნიშვნა დაგვვიწყებია, ვიშოვეთ წითელი კვერცხები, ჩამოვიარეთ ალილოზე.

მაყურებლის განსაკუთრებული ოვაციები ეკუთვნოდა ომარ კელაპტრიშვილს. „უაღრესად დახვეწილი ვირტუოზი შემსრულებლის მიერ მგზნებარე სალამურზე ნაზი ტემბრითა და ულამაზესი ბგერებით შესრულებული მელოდიები ბერძნული ღმერთების მუსიკის ჟღერადობას მოგვაგონებსო“, — წერდა მასზე ერთ-ერთი რეცენზენტი.

**— საქართველოს ტელევიზიით შევიტყვეთ, რომ რეკლამასთან დაკავშირებით უსიამოვნო ფაქტს წასწყდომიხართ...**

— მიუხედავად ჩვენი აგიტაციისა — ვინ ვართ და რანი ვართ, ხშირად გვეუბნებოდნენ, — ეს რა ხელოვნება გქონიათ რუსებსო. ცალკე საქართველოს კულტურისა და ტრადიციების შესახებ, მათ ცოტა რამ იციან. ერთ-ერთი ქალაქის გაზეთში რეკლამა წარმოდგენილი იყო ანსამბლის ფოტოებით და დიდი შრიფტით: „რუსები მოდიან“. ჩვენ პროტესტი განვაცხადეთ. კატეგორიულად მოვითხოვე ტელევიზიით გამოსვლა. საუბარს ესწრებოდა თვით იმ გაზეთის წარმომადგენელიც. მან მკითხა: რა განსხვავებაა თქვენსა და რუსეთს შორის? მე ვუპასუხე — ისეთივე, როგორც რუსეთსა და თქვენს შორის-მეთქი. ჟურნალისტებმა ბოდიში მოგვიხადეს. აი, რა საშურია საქართველოს შესახებ ბუკლეტებისა და ცნობარების გამოცემა სხვადასხვა ენაზე თავისი ჭეშმარიტი ისტორიით, გეოგრაფიით, კულტურის ძეგლებით.

[illegible] ტლანოვმა, გენადი როჟდესტვენსკიმ, საქმეს არაფერი ეშველა, რომ იტყვიან, აუღებელი ციხეა. ხელოვნებისადმი უდიერი დამოკიდებულებით „გოსკონცერტი“ საკუთარ ჯიბეს ისქელებს. ბედნიერად ვთვლი თავს, რომ ავერიდეთ მათ. ამიერიდან, როგორც ამჟამინდელი, ისე მომავალი გასტროლების მთელი შემოსავალი საქართველოს კეთილდღეობას მოხმარდება. ამას გარდა ამერიკაში ანსამბლის სახელზე გახსნილია ანგარიში, სადაც ირიცხება გაყიდული ფირფიტებისა და კასეტების პროცენტები. სასიხარულოა, რომ „რუსთავის“ სიმღერების ჩაწერის სურვილი გამოთქვეს სხვადასხვა ქვეყნის ცნობილმა ფირმებმა.

**— ბატონო ანზორ, ჯერ კიდევ ადრე ტელეფონით გვაუწყეთ, რომ საქართველოში ძვირფასი საარქივო მასალა მოგაქონდათ. ცხადია, მას სათანადო მეცნიერული დამუშავება სჭირდება. მაგრამ ვიდრე ყოველივე ეს აღსრულდება, გთხოვთ, ცოტა რამ გვიამბოთ, როგორ მოიპოვეთ ისინი და რამდენად საინტერესოა ჩვენთვის.**

—როდესაც ჩვენი კოლექტივის გასტროლებზე გამგზავრების ამბავი გადაწყდა, ანსამბლის დიდი მეგობრის რეზო თაბუკაშვილისა და ცენტრალური სახელმწიფო არქივის დირექტორის ვახტანგ გურგენიძის რჩევითა და მითითებით შევუდექი ამერიკაში მცხოვრებ ქართველებში ჩვენთვის უცნობი დოკუმენტური მასალებისა თუ ლიტერატურის მოძიებას. ამ მიზნით დავუკავშირდი ვაშინგტონელ ქართველს ლადო ბაბიშვილს. იგი წარმოშობით ფოთელია და ამერიკაში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დასახლებულა. სწორედ მან დამაკავშირა იქაურ ემიგრაციასთან. ძიებამ შემახვედრა მირიან და ნოშრევან გალაშვილებთან, შოთა დუმბაძესთან, ალექსანდრე სულხანიშვილთან. ეს უკანასკნელი ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმში ყოფილა, ახლა 94 წლისაა. როგორც მან მიამბო, ქაქუცა ჩოლოყაშვილს მის ხელში დაულევია სული. მას ღრმად სწამს, რომ საქართველოში უთუოდ ჩამოასვენებენ ქაქუცას ნეშტს, და თავადაც ოცნებობს მის გვერდით დაკრძალვაზე.

დიდძალი მასალები გადმომცა ცნობილმა ისტორიკოსმა ვახტანგ ჯობაძემ. იგი ხომ უცხოეთში ქართულ ძეგლთა გათხრებზე მუშაობს. სწორედ ამ ძიებათა დამუშავებული მასალების ნაწილი გამომატანა. საინტერესო მასალები მომაწოდა გივი კობახიძემ, კერძოდ, ნოე ჟორდანიას არქივიდან, და თვით მისი წიგნები. საარქივო მასალათა უმეტესი ნაწილი ნიკო თოფურიასა და ბონდო კეკელიას ოჯახებიდან წამოვიღეთ. დიდად ვემადლიერებით ექიმ დათა ჩხატარაშვილს, იგი შეგვპირდა, რომ უახლოეს მომავალში გამოგვიგზავნის პოლკოვნიკ დიმიტრი შალიკაშვილის მოგონებებს. ვფიქრობთ, ეს მოგონებები საინტერესო იქნება, რადგან იგი დამოუკიდებელი საქართველოს პერიოდში ნოე ჟორდანიას სამხედრო კონსულტანტი ყოფილა თურქეთთან მოლაპარაკების დროს.

ერთი სიტყვით, ჩამოტანილ არქივში არის მასალები დამოუკიდებელ საქართველოზე, როგორც ქართული ემიგრაციისა, ისე უცხოური ლიტერატურა, რუსეთ-საქართველოს ისტორიული მასალები როგორც პოლიტიკური, მეცნიერულ-დოკუმენტური ლიტერატურა, ისე ფოტო და ვიდეომასალები უცხოეთში მომუშავე პარტიებზე, მაშინდელი ემიგრაციის თვალით დანახული საქართველო. მასალები ცენტრალურ სახელმწიფო არქივს გადავეცი დასამუშავებლად. შეიქმნა კომისია, რომლის შემადგენლობაში მეც ვარ. ამას დრო სჭირდება, მოგვიანებით კი ყველაფერი გამოქვეყნდება. საერთოდ მთელი ტურნე და ქართველ ემიგრაციასთან შეხვედრები ფირზე აღბეჭდა ოპერატორმა იური ბარამიძემ, და მას მალე იხილავს ტელემაყურებელი.

არ შეიძლება არ გამოვყო ჩვენი ამერიკელი იმპრესარიოს დონ ჰიუზის ღვაწლი, რომელიც სათავეში ჩაუდგა არქივის გამოგზავნას და ხარჯებიც თვითონ გაიღო.

საერთოდ კი ამერიკის ქართულ ემიგრაციასთან კონტაქტებს და მასალების აღმოჩენას დიდი ღვაწლი დასდო ბატონმა რეზო თაბუკაშვილმა. მან იქ კარგა ხანს იმუშავა და ჯერაც ბევრი რამ არის მისაგნები. როგორ გვაკლდა ამერიკაში მისი გამოცდილება, ალღო. იმედი გვაქვს ბატონი რეზო მისივე დაწყებულ საქმეს თვითონვე წარმატებით დაასრულებს.

**— ბატონო ანზორ, იქნებ ანსამბლის გეგმებიც გაგვაცნოთ...**

— ანსამბლი სამშობლოში დაბრუნდა თუ არა, მეორე დღესვე მოცეკვავეები რომში გაფრინდნენ იქაური ტელევიზიის მიწვევით. რამდენიმე დღეში ვოკალური ჯგუფი იაპონიას მიემგზავრება ქართული კულტურის დღეებში მონაწილეობის მისაღებად, მერე კი ინგლისში ხალხური სიმღერის ფესტივალში გამოვლენ. საგასტროლო რუკაზეა თურქეთი, ბრაზილია, ავსტრია, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, სამხრეთ აფრიკა, ტაივანი... ეს წლეულს, საგაისოდ კი ვნახოთ...

ესაუბრა
**რუსუდან მუხიგულაშვილი.**






RUSTAVI
First Time in Vancouver
By E. Douglas Hughes
[illegible]
The answer, in the case of Rustavi, is a resounding no . . . no . . . no.
The fact is that Soviet folk artists differ from region to region in that vast nation. The Georgian Republic — an ancient kingdom with its roots in medieval history — borders on the Black Sea and is within easy viewing distance of that famous range of mountains known as the Caucasus. The people who have dwelt in this rugged [illegible]

## ჩვენი ინტერვიუ

# სიმართლე ყველას როდი სჭირდება

[illegible]

[illegible] **პრობლემა ძალიან მტკივნეულად დგას დღის წესრიგში, თქვენ როგორც ეროვნებით უკრაინელს, რომელიც თითქმის ნახევარი საუკუნე ცხოვრობს მოსკოვში და რუსულად წერს, არ გიკიჟინებენ თანამემამულენი? არ გაბრალებენ ერის „მოღალატეობას“?**

— მიკიჟინებენ და მერე როგორ; სხვათა შორის, გარდაქმნას ამ თვალსაზრისით ჩემთვის არავითარი განსაკუთრებული უსიამოვნება არ მოუტანია. ჯერ კიდევ სამოციანი წლების მიწურულს, როცა გამოვეცი წიგნი „ადამიანები ანგელოზები არ არიან“, თანამემამულენი თავს დამესხნენ და დედაენის ღალატი დამაბრალეს. მე უკრაინულ გაზეთში ვუპასუხე და ავუხსენი, რომ თავს არ ვგრძნობ მშობლიურ მიწას მოწყვეტილად, ვთარგმნი უკრაინელ მწერლებს, ვთანამშრომლობ კიევის თეატრებთან, კინოსტუდიასთან, რომ სკოლის მერხიდან წავედი არმიაში, რომლის მშობლიური ენა რუსულია, და ვიმსახურე ოცი წელი. როგორც სამხედრო ჟურნალისტი, ცხადია, რუსულად ვწერდი. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ორმოც წელზე მეტია ვცხოვრობ მოსკოვში, ჩემი მეუღლე რუსია... არასოდეს არ მიგრძვნია ამ უკიდეგანო ქალაქში რომ მე „სხვა“ ვარ; არავის გაუბედავს ჩემი ერის აუგის თქმა, არ მიმიღია შეურაცხყოფა, არავის ჩავუთვლივარ „მეორე ხარისხოვან“ ადამიანად, პირიქით, მხარდაჭერა და სიყვარული მიგრძვნია მუდამ. მე, უკრაინის სოფლიდან ჩამოსული ერთი საშუალო მწერალი, მწერალთა კავშირის მოსკოვის გამგეობის მდივნად ამირჩიეს და წლების განმავლობაში შეხმატკბილებული ვმუშაობდი რუს კოლეგებთან ერთად. კარგად მესმის უკრაინელი ინტელიგენციის დღევანდელი გულისტკივილი. მათ ბოლო წლებში მიაქციეს ყურადღება, რომ ჩვენი მშობლიური ენა იკარგება, ეს კი ერის სახეს ცვლის. ენა ხომ ხალხის დედაა, და კაცი, რომელიც მშობლიურ ენაზე არ ლაპარაკობს, უზნეოა, უგულოა, გადაგვარებულია. ვაი, რომ მშობლიური ენისა და კულტურის ზურგშექცევამ ეროვნული უბედურების [illegible]

[illegible] ზე გამოცემულ წიგნებზე, რომელთა ავტორები ეროვნული კულტურის შემნახველებად ითვლებიან, ყოველთვის როდია მოთხოვნა. ისინი აწყვია წიგნის მაღაზიებში და არავინ ყიდულობს.



ეჭვი არ მეპარება, რომ მარტო უკრაინაში არ არის ასე.

**— რესპუბლიკები ბობოქრობენ, ეროვნულმა მოძრაობამ „დაიპყრო ყველა და ყველაფერი“, ყველა ითხოვს კავშირიდან გასვლას...**

— იმდენად დამცირებული იყო ეროვნული კულტურა, რომ დამნაშავის ძებნაში დაღლილ-დაქანცული ადამიანები ხშირად სწორ ორიენტაციას ვერ იღებენ და ყველაფერს ცენტრს და რუსებს აბრალებენ. გარდა ამისა, როცა ადამიანი ცუდად ცხოვრობს, მისი გაღიზიანება ძალიან ადვილია. რუსეთმა ყველაზე მეტი წვლილი შეიტანა ომის შემდეგ ქვეყნის აღდგენაში და ყველაზე ღარიბი დარჩა. დღეს რუსეთში ყველაზე ცუდად რუსი ცხოვრობს, და არა იმიტომ, რომ ვინმეზე ზარმაცია, ან არ უყვარს მშობლიური მიწა-წყალი...

ისეთი მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობის დროს, როგორიც ჩვენს კავშირს აქვს, განხეთქილება ქვეყანას საერთო გაპარტახებამდე მიიყვანს. რესპუბლიკების გამოყოფაზე ლაპარაკი დღეს ნაადრევად მიმაჩნია, ამას სერიოზული მომზადება სჭირდება. სულ ცოტა, ხუთი წელი მაინც... ძალი- [illegible]

[illegible] წვიმაში“ ხედებიან ნიჭიერი, პატიოსანი, საქმიანი ადამიანები. უპირველესად მწერლები. ბევრმა რედაქტორმა ვერ გაიგო, როგორც ჩანს, დემოკრატია და პლურალიზმი. აქაოდა თავისუფლება მოგვეცაო, ღვარძლსა და შურს ანთხევენ საკუთარი გაზეთებიდან. თუ ასე გაგრძელდა, ინფარქტებითა და ინსულტით დავკარგავთ საზოგადოების საუკეთესო ნაწილს, და იქნებ — ცოდვით მოპოვებულ თავისუფლებასაც. გაზეთმა თუ ჟურნალმა პასუხი უნდა აგოს თავისი პუბლიკაციისათვის, მკითხველს აგრძნობინოს თავისი დამოკიდებულება მოკამათე აზრისადმი. მტკიცება იმისა, რომ მე ვბეჭდავ, თქვენ კი თავი გაანძრიეთ და გაარჩიეთ, ვინ მართალია, ვინ მტყუანი, ავანტიურიზმია. პრესა დღეს სავსეა „დახვეწილი“, „ფაქიზი“ უპასუხისმგებლობით, რომელიც პროვოკაციის მიჯნაზეა. სამწუხაროდ, საზოგადოებრივი აზრით მანიპულირება, ამა თუ იმ დაჯგუფების— მაფიის ინტერესებისათვის ჩვეულებრივ საქმედ იქცა.

**— თქვენ, როგორც რომანისტს, სტალინელობას გაბრალებენ...**

— ჩემთვის სასაცილოდ გამოიყურებიან ისეთი „სიმართლისმოყვარული“ კრიტიკოსები თუ ისტორიკოსები, რომლებიც ამახინჯებენ ჩემს სამხედრო რომანებს და ამბობენ, თითქოს ისინი სავსე იყოს სტალინის აპოლოგიით. სტალინი არასოდეს მინახავს, მასზე შეხედულება ჩამომიყალიბდა პრესიდან და, რაც მთავარია, გამოჩენილი სამხედრო სარდლებისაგან, მეცნიერებისაგან, კრიტიკოსებისაგან, დიპლომატებისაგან... და ისინი სტალინზე კარგად და ბევრს ლაპარაკობდნენ არა მის სიცოცხ- [illegible] თვის, კუზნეცოვისთვის, გრომიკოსთვის და, ბოლოს, მოლოტოვისთვის, რომელთანაც ოცი წლის განმავლობაში მქონდა ურთიერთობა. მოლოტოვი ჩემთვის თავისებური აკადემია იყო. თუმცა მე და ვიაჩესლავ მიხეილის ძეს გვქონდა განსხვავებული აზრი გლეხობის საკითხზე... უბედურება ის არის, რომ სტალინზე წერს დღეს ყველა, აქვს თუ არა ამის მორალური ან პროფესიული უფლება, მას ყველა ერთხმად ასხამს ლაფს. ზოგს პირადი ანგარიში აქვს იმ დროსთან, ზოგი მოდას აჰყვა... სტალინს იმდენი შეცდომები ჰქონდა, რომ მომატება აღარ სჭირდება. როგორ შეიძლება დაეთანხმო ისეთ სისულელეს, თითქოს „სტალინმა დაიწყო ომი გერმანიასთან, რომ ლენინგრადის ბლოკადა სპეციალურად მოაწყო“... სტალინის გონებაგახსნილობამ, ჭკუამ, ნიჭმა, ენერგიამ, წინდახედულობამ, მოთმინებამ, სულიერმა სიმაღლემ მოგვაგებინა ომი და ამის უარყოფა სირცხვილია. ანტისტალინელები პრესაში ამტკიცებენ, რომ ომის დაწყების პირველ დღეებში სტალინი თავის აგარაკზე, კუნცევოში იყო და იქ გაატარაო რამდენიმე დღე. ეს მტკნარი სიცრუეა. 1941 წლის 22 ივნისიდან 30 ივნისამდე სტალინი კრემლიდან არ გასულა, არ გაუხდია, არ უძინია. მის ხელმოუწერლად როგორ მიიღებდნენ 23 ივნისს დადგენილებას უმაღლესი მთავარსარდლობის შტაბის შექმნაზე? მე მაქვს იმათი ჩანაწერები, ვინც იმ დღეებში სტალინთან ერთად იყო და ინაწილებდა მძიმე შრომას. მე ხელში მეჭირა იმ პერიოდში სტალინის ხელმოწერილი განკარგულებები და შემიძლია ამაზე ვედავო, რომელსაც [illegible]

[illegible] მთელი სამეთაურო შემადგენლობა 140 ათასს შეადგენდა, არმიიდან სხვადასხვა მიზეზის გამო გაათავისუფლეს 37 ათასამდე კაცი, ხოლო 1941 წლის 15 ივნისს არმიას დაუბრუნდა 13 ათასი. ამ ფაქტს ადასტურებს კადრების სამმართველოს 1941 წლის 15 ივნისის ცნობა...

რა თქმა უნდა, სამართალმა პური უნდა ჭამოს და უდანაშაულო ადამიანების დახვრეტა არავის არ უნდა ეპატიოს. დაე, ეს გადაწყვიტოს სახალხო სასამართლომ, მაგრამ ამასთანავე აუცილებელია სასამართლო მორალური, პარტიული, მოქალაქეობრივი იმათ მიმართ, ვინც აძლიერებს საერთო ტრაგედიის წინასწარ დაგეგმილი ტყუილით, ვინც სიყალბით უმახინჯებს სულს ჩვენს ხალხს, ახალგაზრდებს, ვინც აბინძურებს ისედაც რთულ ჩვენს ისტორიას...

ახლა ჩემი მთავარი საფიქრალია, ამიერიდან როგორ ვწერო? ეტყობა დღეს სიმართლე ყველას არ სჭირდება, ტყუილის შეთხზვა კი არ მეხერხება...

**— რომანში „ომი“ თქვენ საკმაოდ რელიეფურად გააშუქეთ იაკობ ჯუღაშვილის ფენომენი, მისი ურთიერთობა მამასთან, იაკობი, როგორც მოქალაქე, ჯარისკაცი, საკონცენტრაციო ბანაკის ტყვე — თქვენ გააცანით პირველად რუსულენოვან მკითხველებს. სტალინის გარშემო ატეხილი დავიდარაბა ხომ არ შეეხება მის უიღბლო შვილს და ხომ არ იჩენს იგი „შევიწროვებული“ თქვენი რომანის ახალ გამოცემაში.**

— თქვენმა შეკითხვამ ერთგვარად შეურაცხმყო კიდეც. იაკობს მე ზურგს არასოდეს შევაქცევ, ამას არ იმსახურებს. ვფიქრობ, ძალზე დავუბრუნდე ამ თემას. რაც შეეხება სტალინის მტრებს, იაკობი იმდენად ნათელი, ხალასი, სუფთა, ალალი და ერთგული იყო, რომ მის წინააღმდეგ ვერ ბედავენ ხმის ამოღებას. ან რა უნდა თქვან? როგორ გასწირა გენერალისიმუსმა თავისი ერთადერთი ვაჟიშვილი?

ესაუბრა
**კლარა აბრამია.**

* * *

**სურათზე:** ივანე სტადნიუკი.

## ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

**მოგვყავს მე-7 ტურში გამართულ შეხვედრათა შედეგები: ოზურგეთის „ოზურგეთი“ — წყალტუბოს „სამგურალი“ — 2:1, სამტრედიის „სანავარდო“ — ქუთაისის „ქუთაისი“ — 1:0, ლანჩხუთის „გურია“ — სოხუმის „ცხუმი“ — 3:0, ბათუმის „ბათუმი“ — ხობის „კოლხეთი“ — 3:0, თბილისის „იბერია“ — თბილისის „შევარდენი-1906“ — 2:0, გალის „მზიური“ — ზუგდიდის „ოდიში“ — 0:0, ხაშურის „ივერია“ — ოჩამჩირის „ამირანი“ 2:0, ფოთის „კოლხეთი-1913“ — ცხინვალის „ლიახვი“ — 3:2, რუსთავის „გორდა“ — გორის „დილა“ — 2:0.**

### გათამაშების ცხრილი

#### უმაღლესი ჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ბათუმი“ | 7 | 6 | 1 | 0 | 12-0 | 19 |
| „გურია“ | 7 | 6 | 0 | 1 | 17-1 | 18 |
| „ქუთაისი“ | 7 | 6 | 0 | 1 | 13-6 | 18 |
| „გორდა“ | 7 | 5 | 1 | 1 | 12-4 | 16 |
| „კოლხ.-1913“ | 7 | 5 | 1 | 1 | 12-5 | 16 |
| „იბერია“ | 7 | 4 | 2 | 1 | 19-4 | 14 |
| „სანავარდო | 7 | 4 | 2 | 1 | 11-7 | 14 |
| „ოზურგეთი“ | 7 | 3 | 3 | 1 | 6-3 | 12 |
| „კოლხ.“ (ხ.) | 7 | 3 | 2 | 2 | 8-8 | 11 |
| „ივერია“ | 7 | 3 | 0 | 4 | 6-9 | 9 |
| „დილა“ | 7 | 2 | 1 | 4 | 8-11 | 7 |
| „მზიური“ | 7 | 2 | 1 | 4 | 6-14 | 7 |
| „ცხუმი“ | 7 | 1 | 3 | 3 | 5-8 | 6 |
| „ოდიში“ | 7 | 0 | 4 | 3 | 3-6 | 4 |
| „ამირანი“ | 7 | 1 | 0 | 6 | 1-13 | 3 |
| „სამგურალი“ | 7 | 0 | 2 | 5 | 6-13 | 2 |
| „შევარ.-1906“ | 7 | 0 | 1 | 6 | 4-18 | 1 |
| „ლიახვი“ | 7 | 0 | 0 | 7 | 4-23 | 0 |

### „ბათუმიდან“... „ლიახვამდე“
#### (ჩვენი მიმოხილვა)

**მაშ** ასე, საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში ჭადრაკის ენით რომ ვთქვათ, მიტელშპილში გადავიდა. გუნდებმა წარმოადგინეს „სავიზიტო ბარათები“ და უკვე შეიძლება ლაპარაკი იმაზე, თუ ვის რა პრეტენზია აქვს...

გასაკვირი არაა, რომ ტონს რანგით უფრო მაღლა მდგომი გუნდები იძლევიან. „იბერია“, „ქუთაისი“, „ბათუმი“, „გურია“ დაკომპლექტებული არიან ძლიერი, გამოცდილი მოთამაშეებით. ამიტომაც, სავსებით კანონზომიერია ლიდერთა როლში მათი ყოფნა. თუმცა, ჩემპიონატის დაწყებამდე, სპეციალისტები და გულშემატკივრები კი გამოთქვამდნენ შეშფოთებას, რომ ის კლუბები, რომლებსაც საკავშირო პირველობების უმაღლესი და პირველ ლიგებში უნდა მიეღოთ მონაწილეობა, ეროვნულ ჩემპიონატს ზერელედ მოეკიდებოდნენ. და ეს ვარაუდი თბილისის „იბერიის“ უფერულმა სტარტმა უფრო გააძლიერა: თბილისელებმა აშკარად ვერ შეაფასეს ფოთის „კოლხეთი-1913“-ის, ამ მეტად სიმპათიური გუნდის, შესაძლებლობები, ერთობ თავდაჯერებულნი გამოვიდნენ მოედანზე და დამარცხდნენ კიდეც. ამას მოჰყვა ფრე რუსთავში, „გორდასთან“. მხოლოდ მწვრთნელთა მიერ განხორციელებული ფსიქოლოგიური მუშაობის შედეგად მოახერხა „იბერიამ“ „ამპარტავნობის სენის“ დაძლევა, უმატა თამაშს და ლიდერთა ჯგუფსაც მიუახლოვდა.

თბილისელთაგან განსხვავებით, „გურია“, „ბათუმი“ და „ქუთაისი“ იმთავითვე სერიოზულად მოეკიდნენ საქმეს და, როგორც ცხრილიდან ჩანს, მინიმალური დანაკარგები აქვთ. მაგალითად, ქუთათურებს მეშვიდე ტურამდე ქულა არ დაუკარგავთ, ბათუმელები კი ჯერაც არ დამარცხებულან და არც ბურთი გაუშვიათ საკუთარ კარში. ასევე შთამბეჭდავია „გურიის“ მაჩვენებლები: 17-1 — გატანილ და მიღებულ ბურთთა ეს თანაფარდობა კომენტარს არ საჭიროებს.

ჩემპიონატის სტარტზე კარგ შთაბეჭდილებას ტოვებენ ფოთისა და სამტრედიის გუნდები. ფოთელებმა ზედიზედ ოთხი გასვლითი შეხვედრა მოიგეს და მტკიცედ მოიკიდეს ფეხი ლიდერთა შორის. გუნდი გააზრებულ, სწრაფ ფეხბურთს თამაშობს. იგივე შეიძლება ითქვას „სანავარდოზეც“. მიუხედავად იმ გაჭიანურებული კონფლიქტისა, მოთამაშეებს და ახლა უკვე ყოფილ უფროს მწვრთნელს ჯ. ჯალაღანიას შორის რომ არსებობდა სამტრედიელები საკმაოდ ძლიერ ძალას წარმოადგენენ.

რუსთავის „გორდა“ ჯერჯერობით მეოთხე ადგილზეა სატურნირო ცხრილში. ჩანს გუნდს ძალუძს მაღალი ადგილისათვის ბრძოლა. საკმარისია გადავხედოთ „გორდას“ შემადგენლობას: მეშკოვი, კუდინოვი, ძმები კაპანაძეები, ფანცულაია, მიქაშავიძე.... გუნდის უფროსმა მწვრთნელმა გივი ნოდიამ შეძლო ამ ნიჭიერ ფეხბურთელთა შეთამაშება თანაგუნდელებთან, ერთ ბრძოლისუნარიან კოლექტივად შეკვრა, რაც „გორდას“ მომავალ წარმატებათა საწინდრად მესახება.

თანამედროვე ფეხბურთში, ტექნიკასთან ერთად, მოთამაშეთა შეთანხმებული მოქმედება და სისწრაფე რომ მთავარი კომპონენტებია, ამას მტკიცება არ სჭირდება. ამ მხრივ სავალალო მდგომარეობაა თბილისის „შევარდენი-1906“-ში, რომელიც, ცხინვალის „ლიახვთან“ ერთად, გამოკვეთილი აუტსაიდერია. გუნდის შუა ხაზი მთლიანად გამოცდილი, ინდივიდუალურად ძლიერი ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული. ჟორდანიას, ჟვანიას, ჯოხაძესა და კაკილაშვილს წარდგენა არ სჭირდებათ მკითხველის წინაშე, მაგრამ... სწორედ ნახევარდაცვის სუსტი თამაშის „წყალობაა“, საქართველოს ეს უძველესი საფეხბურთო გუნდი ასე უსუსურად რომ გამოიყურება. დარღვეულია ყოველგვარი კავშირი მცველებსა და თავდამსხმელებს შორის, ფეხბურთელები მეტწილად ინდივიდუალურ თამაშს მიმართავენ, იშვიათია გააზრებული კომბინაციები. ერთი სიტყვით, თუ მწვრთნელებმა სასწრაფოდ არ მიმართეს გადამჭრელ ზომებს, და თავად ფეხბურთელებმაც არ მოინდომეს, თბილისელთა გუნდი ბოლომდე შერჩება აუტსაიდერთა რიგებს.

..უკვე თვეზე მეტია, რაც საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი დაიწყო და ბევრი საინტერესო მატჩის მოწმენიც გავხდით. სულ მალე ჩემპიონობის მაძიებელი გუნდებიც „დაეჯახებიან“ ერთმანეთს და, იმედია, მოთამაშეები ძალ-ღონეს არ დაიშურებენ, რათა ლამაზი ფეხბურთი გვიჩვენონ, ის ფეხბურთი, რომელიც ასე მონატრა ქართველ გულშემატკივარს.

**გია გომართელი.**

## მოკლედ

**ჩოგბურთი.** ჰამბურგში მიმდინარე ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირზე, მესამე წრეში, ესპანელმა არანტა სანჩესმა დასავლეთგერმანელი სილვია ჰანიკე დამარცხა — 6:1, 6:1, ჩეხოსლოვაკიელმა ჰელენა სუკოვამ კი თანამემამულე რეგინა რაიხრტოვას სძლია — 7:6, 6:2. გამარჯვებული ჩოგბურთელები მეოთხედფინალში გავიდნენ. შეგახსენებთ, რომ ცოტა ადრე იგივე უფლება მოიპოვა ლელა მესხმა.

ახალგაზრდა შვეიცარიელი ჩოგბურთელი მარკ როსეტი, რომელმაც მსოფლიო კლასიფიკაციაში ამ ექვსიოდე თვის მანძილზე მე-200 ადგილიდან 47-ზე გადაინაცვლა, წარმატებით აგრძელებს ასპარეზობას მადრიდში „გრან-პრის“ სერიის ტურნირზე. მორიგ შეხვედრაში მან მესამე ნომრად „განთესილი“ ესპანელი ემილიო სანჩესი დაამარცხა — 4:6, 6:4, 6:4. მორიგ წრეში გაიმარჯვეს, აგრეთვე, ეკვადორელმა ანდრეს გომესმა და ჰოლანდიელმა მარკ კოევერმანსმა. ამ უკანასკნელმა ცნობილ ამერიკელ ჩოგბურთელს, ჯიმი არიასს მოუგო — 7:6 (10:8), 6:4.

## აჟღერდა ბულგარეთში

—**თქვენი** მუსიკა ანცვიფრებს ყველას, ვინც კი მას ისმენს. ბედნიერი ვართ, რომ გავეცანით თქვენს მშვენიერ შემოქმედებას“ — ეს სიტყვები ამოღებულია ბარათიდან, რომელიც ამას წინათ მიიღო ქართველმა კომპოზიტორმა შოთა ჯოჯუამ ბულგარეთიდან. მას ხელს აწერს კომპოზიტორი ანგელ ანგელოვი.

საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, თბილისის მეორე სამუსიკო სასწავლებლის პედაგოგი, კომპოზიტორი შოთა ჯოჯუა მრავალი წელია ნაყოფიერად მოღვაწეობს საბავშვო მუსიკის ჟანრში. მისი საბავშვო ოპერები „გასროლა ტყეში“, „გაზაფხულის დილა“, „დათვმა ლხინი გადიხადა“, „დიდება მზეს“ სხვადასხვა დროს იდგმებოდა და დღესაც წარმატებით ჟღერს ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონის კულტურის სახლებში, სასახლეებში, სკოლებში. კომპოზიტორისავე კალამს ეკუთვნის საბავშვო კანტატა და მრავალი სიმღერა.

და აი, ქართველი კომპოზიტორის საბავშვო ოპერა „დათვმა ლხინი გადიხადა“ (ო. რაზმაძისა და თავად შ. ჯოჯუას ლიბრეტო) აჟღერდა ბულგარეთშიც, ქალაქ ტოლბუხინის საბავშვო მუსიკალური თეატრის სცენაზე. როგორც თეატრის ხელმძღვანელი, კომპოზიტორი ანგელ ანგელოვი იტყობინება, ეს სპექტაკლი თეატრმა წარმატებით უჩვენა სხვადასხვა რაიონში, მათ შორის შავიზღვისპირეთში და ყველგან წარმატება ხვდა, სამომავლოდ ბულგარელ მოსწავლეებს გადაუწყვეტიათ დადგან შოთა ჯოჯუას მეორე საბავშვო ოპერაც „დიდება მზეს“ (გ. ჭიჭინაძის ლიბრეტო) და იმედოვნებენ, რომ მალე შეხვდებიან თვით კომპოზიტორსაც.

ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომერი ექვსგვერდიანია.

რედაქტორის მოადგილე
ნოდარ ჯაველიძე.